ჩაძირული გემის მეპატრონე 2 მილიონ ასი ათას დოლარს ითხოვს A2

„სოტბი„ და „კრისტი„ 512 მილიონი დოლარის ჯარიმას გადაიხდიან A4

ადამიანის უფლებებს ყველაზე ხშირად პოლიცია და სასამართლო არღვევს A6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 7 ივნისი, 2002 წელი. №5

ფასი 50 თეთრი


## ვინ და რატომ ქმნის პარამილიტარისტულ დაჯგუფებებს საქართველოში

კობა ლიკლიკაძე,
რადიო თავისუფლება
სპეციალურად 24 საათისთვის

**სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე და ქვეყნის ტერიტორიაზე "ცხელი წერტილების" არსებობა მოსახლეობას საკუთარი თავდაცვითი რაზმების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. საქართველოში დღეისთვის მოქმედებს რამდენიმე პარამილიტარისტული ორგანიზაცია, რომელთა ძირითად მიზანს ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლა და ინვალიდი მებრძოლებისა და მათი ოჯახებისთვის სოციალური დახმარების მოზიდვა წარმოადგენს. თუმცა, დეკლარირებული პრინციპების განხორციელების ნაცვლად, გასამხედროებული კავშირების წევრები უფრო ხშირად პოლიტიკურ ბატალიებში მონაწილეობენ და ეს ტენდენცია, კარგად გამოჩნდა 2 ივნისს, რუსთავსა და ზუგდიდში არჩატარებული არჩევნების დროს.**

გასამხედროებული ორგანიზაციების შექმნის ისტორია საქართველოში საბჭოთა სისტემის რღვევისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების კვალდაკვალ დაიწყო. ხოლო ამ პროცესმა თავის პიკს 1989 წლის 9 აპრილის თბილისის მოვლენების შემდეგ მიაღწია. საბჭოთა სამხედროების მიერ ჩადენილი ვანდალური

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოში ინვესტიციები სტატისტიკიდანაც გაქრა

გვანცა კვინიკაძე

საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს კარგი საშუალება მიეცათ იმისა, რომ ერთმანეთს შეადარონ საკუთარი ეკონომიკის განვითარების დონეები. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში შედგა ევროპის სტატისტიკური უწყების მიერ, "ევროსტატის" დაფინანსებით გამოცემული კრებულის პრეზენტაცია, რომელიც ასახავს სამხრეთ კავკასიის სამი მეზობელი ქვეყნის 2001 წლის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ ოფიცილური მონაცემებით საქართველოს თავმოსაწონებელი არაფერი აქვს - რეგიონის გამოკვეთილი ლიდერი აზერბაიჯანია.

უცხოური ინვესტიციების მხრივ, საქართველოში გაუგებარი და სამარცხვინო სიტუაციაა. ქართულმა ოფიციალურმა სტრუქტურებმა ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების შესახებ ინფორმაცია "ევროსტატსაც" კი ვერ მიაწოდეს. სტატისტიკურ კრებულში, როგორც საერთოდ, ისე ცალკეულ დარგებში განხორციელებული ინვესტიციების შესახებ, მხოლოდ ცარიელი ადგილია მოცემული. თუმცა, ფაქტია, რომ რამდენიმე დარგში (ტელეკომუნიკაციებში, ტრანსპორტსა და ენერგეტიკაში) მნიშვნელოვანი ინვესტიციებია ჩადებული. სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე თემურ ბერიძე ვერ ხსნის ამ ფაქტს. მისი თქმით, საქართველოსთვის უცხოური ინვესტიციების შემოსვლის პიკი 1998 წელს იყო და ესეც ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობას უკავშირდებოდა. მას შემდეგ, ოთხი წლის განმავლობაში, პრაქტიკულად არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების შესახებ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღრიცხვასთან დაკავშირებით.

გაგრძელება A4 გვერდზე

# დაპირისპირება იაპონიაში გრძელდება



გახსოვდეს ფოლკლენდი!

REUTERS

დიმიტრი ობოლაძე

**დღეს მსოფლიო ჩემპიონატზე ომია მოსალოდნელი. ერთმანეთს არგენტინა და ინგლისი ხვდებიან. საპოროს სტადიონი ბრძოლის ველად იქცევა. ვითარება არგენტინელმა ფეხბურთელებმა დაძაბეს.**

1982 წელს, როდესაც ინგლისმა ფოლკლენდის კუნძულები დაიპყრო, ნაკრების დღევანდელი მეკარე პაბლო კავალიერო რვა წლისა იყო. დღეს კავალიერო ამბობს, რომ მარცხი ვერ გადაიტანა და შეეცდება, რევანში მოედანზე აიღოს. "იქნებ არც ღირს ომისა და ფეხბურთის გაიგივება, - ამბობს მეკარე, - მაგრამ თავმოყვარეობა ხომ შეგველახა." ამ შეხვედრაში ნებისმიერი არგენტინელი ისურვებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით ის, ვინც იმ ომში ახლობელი ან ნათესავი დაკარგა. 1982 არგენტინისთვის გლოვის წელი იყო. საოცარია, მაგრამ აგრესიულადაა განწყობილი ინგლისის "მანჩესტერ-იუნაიტედის" ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი. იგი ამბობს, რომ ეს არ არის უბრალოდ ფეხბურთი და დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ფაქტს. საგანგაშო სიგნალი არგენტინისა და ნიგერიის მატჩის დროს გაისმა. სამხრეთამერიკელ გულშემატკივართა ჯგუფს ხელში ტრანსპარანტი ეჭირა: "გახსოვდეთ ფოლკლენდის კუნძულები. ჩვენ კიდევ დავბრუნდებით." ჩემპიონატის ორგანიზატორებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. ტოკიოდან საპოროში 8500 ინგლისელი გულშემატკივარი ჩავიდა. დედაქალაქიდან საპორომდე თვითმფრინავით მგზავრობას მხოლოდ 90 წუთი სჭირდება. ინგლისელთა უმეტესობა ერთ-ერთ ბარში იაპონიის ნაკრების პირველი თამაშის სანახავად შეიკრიბა. ბრიტანელები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ საპოროში, ტოკიოსგან განსხვავებით, ინგლისური მცირე ნაწილმა იცის.

გაგრძელება B3 გვერდზე



## ცესკო გაყალბებული არჩევნების შედეგებს ამტკიცებს

10 ივნისიდან თბილისს ახალი საკრებულო ეყოლება

თამარ მჭედლიშვილი

**"ლეიბორისტული პარტია;" "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი"; "ახალი მემარჯვენეები"; "ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ზურაბ ჟვანიას გუნდი"; "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"; "აღორძინება"; "ერთობა" – ასე გამოიყურება იმ პარტიათა ჩამონათვალი, რომელთა ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული მომავალ არჩევნებამდე თბილისის ბედი და, რაც მთავარია, დედაქალაქის 175-მილიონიანი ბიუჯეტი.**

ცენტრალური საარჩევნო კომისია თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგებს 10 ივნისს დაამტკიცებს. გუშინ კი კომისიამ წერტილი დაუსვა ცხარე დისპუტებს თემაზე: ვინ, როგორ და რა გზებით გააყალბა 2 ივნისის არჩევნები. თანაც, "ცესკომ" კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ჭირვეული და ცვალებადი ხასიათი, როცა ორი დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება შედეგების რევიზიის თაობაზე, ცარიელ სიტყვებად დატოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მაკა ასათიანის მორიგი ექსპერიმენტი

წამყვანი დიზაინერები ერთი სამარკო ნიშნის ქვეშ გაერთიანდებიან

B5



## აჭარაში არჩევნების გადადებას თბილისი უხმაუროდ დაეთანხმა

სოფიკო ბუკია

აჭარაში თვითმმართველობის არჩევნები 16 ივნისს ჩატარდება, საარჩევნო კოდექსი კი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე არჩევნების ერთდროულ ჩატარებას ითხოვს. აჭარის ხელისუფალმა ცენტრისგან დამოუკიდებელი და განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო. ასლან აბაშიძის პოზიციას საკუთარი საარჩევნო პრობლემებით დატვირთული თბილისიც უხმაუროდ დაეთანხმა.

"სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი დავით ყიფიანი ამბობს, რომ აჭარის ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში თავისი განსაკუთრებული სტატუსი გამოიყენა: **"კონსტიტუციაში არ არის განსაზღვრული ის განყოფილება, სადაც რეგიონულ მოწყობაზეა საუბარი. კოდექსში წერია, რომ არჩევნებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრეზიდენტი ნიშნავს, მაგრამ, ამავე დროს, კონსტიტუცია ამ საკითხს არ განსაზღვრავს. ეს უზუსტობა აჭარის ხელისუფლებამ ისე გამოიყენა, როგორც მას აწყობდა და არჩევნებიც თავად დანიშნა. უნდა ითქვას, რომ თბილისიც არ შეკამათებია."** - აცხადებს ყიფიანი.

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 22° |
| ქუთაისი | 21° |
| ბათუმი | 18° |
| სოხუმი | 19° |
| ფოთი | 19° |
| თელავი | 21° |
| ზუგდიდი | 21° |
| გორი | 18° |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0770 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2314 |
| რუბლი | 0.0707 |


"დემოკრატები" - ახალი ფრაქცია პარლამენტში A2

აფხაზეთში რუსებმა ქართული სკოლა და კერძო სახლი დატოვეს A2

რუსები გუდაუთის სამხედრო ბაზას დაგვათვალიერებინებენ A2

ჯართის ექსპორტის აკრძალვით საქართველოში ფერადი ლითონების ქურდობა არ მოსპობილა A2

შაბიამნის ახალი პარტია თავდაცვის სამინისტროსთვის A3

ფინანსთა სამინისტროში საკადრო წმენდა დაიწყო A4

ტერ პეტროსიანს ტერორისტობას აბრალებენ A5

აფრიკას ახალი მეფე ჰყავს - შეეგებეთ სენეგალს! B1

დერიუგინი, ფაჩულია და ამერიკელი აგენტები B3

ტოტალიზატორი B4

ქუთაისის თეატრის გასტროლები B6

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 სამართალი

B3 ფეხბურთი | B4 ტოტალიზატორი | B5 სტილი | B6 კულტურა | B7 კულტურა | B8 სხვადასხვა

## „დემოკრატები„ - ახალი ფრაქცია პარლამენტში

ეკა კვესიტაძე

ზურაბ ჟვანიამ მოქალაქეთა კავშირიდან გამოსვლის პროცესი დაასრულა, ის პარლამენტში ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ფრაქციას ქმნის და ყოფილ პარტიასთან ურთიერთობას წერტილს უსვამს.

ფრაქცია "დემოკრატში" ჟვანიას გუნდის ყველა წევრი გაერთიანდა. ხოლო "მოქალაქეთა კავშირის" ის დეპუტატები, რომლებიც პრეზიდენტთან დაპირისპირებას ერიდებიან, ძველ ფრაქციას ისევ შეინარჩუნებენ.

დამოუკიდებელ დეპუტატად რჩება გიგი წერეთელი. თავის გადაწყვეტილებას ვიცე-სპიკერი საკუთარი თანამდებობიდან გამომდინარე ხსნის და ამბობს, რომ ერთ ფრაქციაში ორი ვიცე-სპიკერის (მისი და ელდარ შენგელაიას) ყოფნა პოლიტიკურად გაუმართლებელი იქნება.

ამ გადაწყვეტილებას ამართლებს ჟვანიაც და აცხადებს, რომ წერეთელი მათ აქტიურ თანამოაზრედ და გუნდის წევრად რჩება.

სავარაუდოა, რომ ფრაქცია "დემოკრატის" შექმნით დასრულდა პარლამენტის ფრაქციებად დაყოფის ის ხანგრძლივი პროცესი, რომელმაც, ფაქტობრივად, პარლამენტის მუშაობის პარალიზება გამოიწვია, ხოლო საკანონმდებლო ორგანო აბსოლუტურად არაქმედითუნარიანი გახადა, რადგან ვერცერთ პრინციპულ და მნიშვნელოვან საკითხზე პარლამენტში ხმათა უმრავლესობის მოგროვება ვერ მოხერხდა.

ამ თვალსაზრისით, ჟვანიას გუნდის ოფიციალური გამოყოფა "მოქალაქეთა კავშირის" ჭრელი შემადგენლობიდან, ვერაფერს შეცვლის. მოსალოდნელი თანამშრომლობა "ნაციონალურ მოძრაობასა" და "ტრადიციონალისტებთან" ვერ აგროვებს ხმათა იმ რაოდენობას, რომელიც კონკრეტული ინიციატივის მხარდასაჭერადაა აუცილებელი.

**"მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ ეს პარლამენტი დარჩენილ წელიწად-ნახევარში ძალიან პროდუქტიული იქნება, მაგრამ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მაინც უნდა შევძლოთ. მე არ ვგულისხმობ მარტო ჩვენს პარტნიორ ფრაქციებს, ყველა ნორმალური პარტიის ინტერესი უნდა იყოს ის, რომ საპარლამენტო არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს. ვინც ამაში მხარს არ დაგვიჭერს, ღიად დაუპირისპირდება ჩვენს საზოგადოებას."** – ამბობს ჟვანია.

მომავალ კვირაში ჟვანია ახალი პარტიის შექმნის შესახებ გააკეთებს განცხადებას. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ გუშინ პარტიების ის არასრული სიაც ჩამოთვალა, რომლებთანაც თანამშრომლობას აპირებს:

**"ეს, პირველ რიგში, იქნებიან "ნაციონალური მოძრაობა", "სახალხო- ტრადიციონალისტები", აგრეთვე, სხვა პარტიები, რომლებსაც ამ ეტაპზე არ დავასახელებ. ასევე - ის ჯგუფები და ცალკეული ადამიანები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოადგენენ და რომელთა მონაწილეობას ამ წამოწყებაში მე გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ. დადგა მომენტი, როცა თავად საზოგადოებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ მომავალზე, რადგან ხელისუფლება, რომელიც პროვინციული ფაშიზმის ჭაობში ჩაიძირა, უარს ამბობს ამ პასუხისმგებლობაზე."**

## აფხაზეთში რუსებმა ქართული სკოლა და კერძო სახლი დატოვეს

ზაზა წულაძე

აფხაზეთში, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ორი საგუშაგოს გაუქმებით, დასრულდა გუშინ ქართულ და აფხაზურ მხარეთა, სამშვიდობოებისა და გაეროს მისიის წარმომადგენელთა ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა სოფელ ჭუბურხინჯში.

როგორც ქართული სამშვიდობო ოპერაციის კოორდინატორის მოადგილემ კლიმენტი თევზაძემ "24 საათს" აცნობა, გაუქმდა უშიშროების 24-კილომეტრიან ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების 103-ე და 105-ე საგუშაგოები. **"103-ე საგუშაგო სოფელ რეფში საქართველოს მოქალაქის გელა გოგოხიას კერძო სახლში იყო განლაგებული, ხოლო 105-ე საგუშაგოს სოფელ ქვემო ბარღებში ქართულ საშუალო სკოლის შენობაში ედო ბინა. თავის დროზე მოსახლეობამ თავად მისცა რუსებს ამის უფლება, თუმცა, იანვრიდან მოყოლებული, ხალხი უკვე მათ გადატანას ითხოვდა."** – გვითხრა თევზაძემ.

ხუთთვიანი ფიქრის შემდეგ, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მეთაურმა გენერალმა ევტეევმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული საგუშაგოები საერთოდ გაეუქმებინა.

**"დღეს შექმნილი ვითარება ამის საშუალებს გვაძლევს, გუშინ კიდევ ერთხელ შემოვიფრინე უშიშროების ზონა და კოდორის ხეობა. მინდა, გითხრათ, რომ პატრულირებისას დამკვირვებლებს შეიარაღებული პირების გადაადგილება არ დაუფიქსირებიათ, კონფლიქტის ზონაში ასეთი სიმშვიდე მაშინებს კიდეც."** – აღნიშნა ევტეევმა.

ამ საგუშაგოების გაუქმების შემდეგ, უშიშროების ზონაში რუსებს 31 საგუშაგოღა დარჩათ. 13 მათგანი მდინარე ენგურიდან ზუგდიდის მიმართულებით არის განლაგებული, დანარჩენი 18 კი - ენგურიდან გალის მიმართულებით.

## ჯართის ექსპორტის აკრძალვით საქართველოში ფერადი ლითონების ქურდობა არ მოსპობილა

მანანა ხიდაშელი

აღმასრულებლები პარლამენტს შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვების გაუქმებას სთხოვენ. ამ ინიციატივით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ მიმართა. აღნიშნული სამინისტროს მიერ, "შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის რეგულირების შესახებ" კანონში შესატანად მომზადებული ცვლილებები, გუშინ, ეკონომიკური პოლიტიკისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა განიხილეს.

შეგახსენებთ, რომ 2001 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ჯართის ექსპორტი მომავალი წლის 31 დეკემბრამდე აკრძალა. ამ წესს ფერადი ლითონების ძარცვა უნდა მოესპო საქართველოში.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, ისეთი დაბალი ადმინისტრირების დონის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, აკრძალვა საქმეს ვერ შეცვლის. სამაგიეროდ, ეს შეზღუდვები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე უარყოფითად მოქმედებს, რადგან ასეთ პირობებში საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. ეს კი, შესაბამისად, სსფ-ს პროგრამას შეაჩერებს. ამ პროგრამიდან ამოვარდნა კი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გრანტების შეწყვეტის წინაპირობა იქნება. სსფ-ს მხარდაჭერის გარეშე, შემოდგომაზე საქართველო პარიზის კლუბის კრედიტორების წინაშე ვალების რესტრუქტურიზაციასაც ვერ მიაღწევს.

ჯართის ექსპორტის შეზღუდვით, საქართველო უხერხულობაში ვარდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთანაც. ასეთი სახის აკრძალვები ცუდად იმოქმედებს საქართველოს იმიჯზეც.

ამ მოსაზრებებს მთლიანდ იზიარებს ფინანსთა სამინისტრო. მინისტრის - მირიან გოგიაშვილის განცხადებით, საქართველოსათვის სსფ-ს პროგრამის გაგრძელებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. **"გთხოვთ მხარი დაგვიჭიროთ, აღდგეს ექსპორტის თავისუფალი რეჟიმი, რათა პრობლემები არ შეგვექმნას საგარეო ვალებთან დაკავშირებით."** - განაცხდა გოგიაშვილმა. აქვე აღინიშნა, რომ ეს აკრძალვა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას არ გამოიწვევს.

გაჩეჩილაძის და გოგიაშვილის მთავარი არგუმენტაცია ის იყო, რომ დღემდე საქართველოდან ჯართის გატანა არ შეჩერებულა. კანონმა, რომელიც ფერადი ლითონების გახშირებული დატაცების წინააღმდეგ იყო მიმართული, ვერ შეასრულა ეს ფუნქცია. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ეკონომიკური ბლოკის მინისტრები ადმინისტრაციული კოდექსის გამკაცრებას გვთავაზობენ.

**"უპრიანი იქნება, ქვეყნის შიგნით ამ სფეროში ვაჭრობის წესები გამკაცრდეს."** -აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

ეს არგუმენტები კომიტეტებმა არ გაიზიარეს. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის დემურ გიორხელიძის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გართულება სუსტი მოტივაციაა იმისათვის, რომ ჯართის ექსპორტზე შეზღუდვები გაუქმდეს. კრიტიკული იყო ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ აბრალავაც.

გიორგი გაჩეჩილაძის მიერ შეთავაზებული კანონპროექტი პარლამენტის სხდომაზე მეორე მოსმენით გავა. შეგახსენებთ, რომ პირველი მოსმენისას კანონპროექტს პარლამენტართა უმეტესობამ მხარი არ დაუჭირა.

## რუსები გუდაუთის სამხედრო ბაზას დაგვათვალიერებინებენ

ზაზა წულაძე

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, გუდაუთის სამხედრო ბაზაზე ქართველი და უცხოელი ინსპექტორები უახლოეს მომავალში იქნებიან დაშვებულნი.

ამის შესახებ გუშინ განაცხადა აფხაზეთში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების მეთაურმა გენერალმა ევტეევმა. **"რამდენიმე დღის წინ გაეროს წარმომადგენლებს არაოფიციალურად დავათვალიერებინეთ გუდაუთის სამხედრო ბაზა, რათა მის სრულ ლიკვიდაციაში დარწმუნებულიყვნენ. ახლა იქ, ფაქტიურად, ყველა სალიკვიდაციო სამუშაო დასრულებულია და მალე ქართველ და უცხოელ ინსპექტორებსაც შეეძლებათ ამაში დარწმუნება."** – განაცხადა რუსმა გენერალმა.

როგორც "24 საათმა" თავდაცვის სამინისტროში შეიტყო, გუდაუთის სამხედრო ბაზაზე ქართველი და უცხოელი ინსპექტორების დაშვების ზუსტი თარიღი თბილისში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის ვალერი ევნეევიჩის ვიზიტის შემდეგ გაირკვევა. იგი საქართველოს რამდენიმე დღეში ეწვევა.

გუდაუთის სამხედრო ბაზა, საქართველოსა და რუსეთს შორის 1999 წელს სტამბულის შეთანხმების მიხედვით, ჯერ კიდევ 2001 წელს უნდა გაუქმებულიყო. რუსეთმა ბაზის გაუქმების შესახებ განცხადება გააკეთა კიდეც, თუმცა თბილისი ამაში დარწმუნებული არ არის, რადგან აქამდე ბაზის შემოწმების საშუალება არ მისცემია.

## თბილისში დამარცხებული პარტიები პოზიციებს რეგიონებში იმყარებენ

მანანა ხიდაშელი

*თბილისის საკრებულოში მოსახვედრად საჭირო 4 პროცენტიანი ბარიერის მიღმა დარჩენილი პოლიტიკური პარტიები რაიონებში მოპოვებული ხმებით იმშვიდებენ თავს. რაიონების შედეგების შესახებ ცესკოს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, რომელსაც გადამოწმება არ ემუქრება, თბილისში დამარცხებულმა ზოგიერთმა პარტიამ, გარკვეულ რაიონებში, სრული გამარჯვება მოიპოვა.*

არჩევნების წინა დღეს "ტრადიციონალისტ" აკაკი ასათიანის მიერ გაკეთებული პროგნოზი გამართლდა. შეგახსენებთ, რომ იგი თბილისის საკრებულოზე დიდ იმედებს არ ამყარებდა, სამაგიეროდ, რიგ რაიონებში პირველი პირის სავარძლებზე აცხადებდა პრეტენზიას. წინასწარი მონაცემების თანახმად, ტრადიციონალისტებმა ვანში, ხონსა და ზესტაფონში სრული გამარჯვება მოიპოვეს. თელავსა და ოზურგეთში მეორე ადგილზე გავიდნენ.

რაიონებში მოპოვებული შედეგებით კმაყოფილები არიან "სოციალისტებიც". მათი რეგიონული შტაბის უფროსის თემურ მოსიაშვილის თქმით, სოციალისტებმა რაიონებში 269 დეპუტატი გაიყვანეს. წინასწარი მონაცემებით, ყვარლის მერიც სოციალისტი ლევან კოკორაშვილი იქნება. თერჯოლასა და ბაღდათში კი "სოციალისტებს" გამგებლები ეყოლებათ. მოსიაშვილის აზრით, რეგიონებში მოპოვებული გამარჯვება, პარტიულზე მეტად, პიროვნულმა მომენტებმა განაპირობა.

რაც შეეხება ედპ-ს, ისინი იმერეთის რაიონში ზეიმობენ გამარჯვებას, რაც მათ ქუთაისის ქალაქის საკრებულოში ორი ადამიანის გაყვანის საშუალებას აძლევს. ედპ კმაყოფილია ახმეტის საკრებულოსათვის ბრძოლის შედეგებითაც. მეტ-ნაკლები წარმატებები აქვთ სამეგრელოსა და ქართლის რაიონებში.

მოქალაქეთა კავშირმა ხმების მოპოვება გარდაბანში, მარნეულში, დმანისში, ბოლნისსა და თეთრიწყაროში შეძლო.

## მამუკა გიორგაძე: „საკრებულოში ისევ აღარ დარჩება არც ერთი ლეიბორისტი„

ლიკა კობალაძე

"სახალხო პარტია" არჩევნების შედეგების გაბათილებასა და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ამის შესახებ, პარტიის ლიდერმა, მამუკა გიორგაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, არჩევნებზე დარღვევებისა და გაყალბების საფუძველი საარჩევნო სიებია. **"ჩვენ დღეს შეგვიძლია, დავასაბუთოთ, რომ ეს არჩევნები მაღალ დონეზე იყო ფალსიფიცირებული. ამის გამო შევიტანეთ სარჩელი საოლქო სასამართლოში, სადაც ვითხოვთ: ამოღებული და შემოწმებული იყოს საარჩევნო სიები, რადგანაც ეს სიები არის უკანონო, ამას ცესკოც ადასტურებს,"**- აღნიშნა მან და იქვე დასძინა, – **"ჩვენთვის მთავარი ამოცანა საარჩევნო სიების გაშიფვრაა, შემდეგ უკვე ადვილი იქნება გამყალბებლების დადგენა, რადგან მიგვაჩნია, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს ეს გაყალბების პროცესი და დამნაშავე უნდა დაისაჯოს."**

პარტიამ სასამართლოში სარჩელი 2 დღის წინ შეიტანა, თუმცა მისი განხილვა ჯერ არ დაწყებულა. გიორგაძე ეჭვობს, რომ სასამართლო დროს განზრახ აჭიანურებს.

პარტიის ლიდერმა აღნიშნა, რომ მათ წამოწყებას არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია მხარს სუტყვით უჭერს, ხოლო, თუ რომელიმე მათგანი საქმით ხელს შეუშლის კანონიერების აღდგენას და საარჩევნო პროცესის ჯანსაღ წარმართვას, "სახალხოელები" იძულებული იქნებიან **"მათ შესაბამისი პასუხი გასცენ"**.

გიორგაძის თქმით, ეს არჩევნები, ისევე, როგორც 1999 წელს, თავიდან ბოლომდე ხელისუფლების მიერ იყო მართული. მან ლეიბორისტები ხელისუფლებასთან ალიანსში დაადანაშაულა, დასტურად კი ბოლო დღეებში ნათელაშვილის **"აღგზნებული გამოსვლები"** მოიყვანა და იქვე გაიხსენა 1998 წელი, როდესაც ლეიბორისტებმა მოიგეს ადგილობრივი არჩევნები, თუმცა, საბოლოო ჯამში, **"ერთი ცოცხალი ლეიბორისტი აღარ დარჩენილა ფრაქციაში"**.

**"ლეიბორისტების ხმები მთლიანად ხელისუფლების მხარდასაჭერად იყო გამოყენებული. ასეა დღესაც. სულ ცოტა ხანში, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების დრო დადგება, დავინახავთ, საით წავა ეს ხმები. ამაში სულ მალე დარწმუნდებით, თუ სასამართლო უარს განაცხადებს ჩვენი სარჩელის დაკმაყოფილებაზე."**- აღნიშნა გიორგაძემ.

## ჩაძირული გემის მეპატრონე 2 მილიონ ასი ათას დოლარს ითხოვს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფო კვინტრაძე

უკვე ოთხი წელია, სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში მიმდინარეობს პროცესი, რომელიც 1998 წლის 14 თებერვალს ქალაქ ფოთში ძლიერი შტორმის შედეგად ჩაძირული გემის "ბეგის" საქმეს ეხება.

გემის მეპატრონე "შალბეგ შიპინგ კომპანის" დირექტორი, რუსეთის მოქალაქე ზურაბ ბობოხიძე საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციას ზარალის ასანაზღაურებლად 2 100 000 დოლარს სთხოვს. საქმეს ქუთაისის საოლქო სასამართლო განიხილავს. როგორც ცნობილია, ბობოხიძის კუთვნილი გემი, ფოთის ნავსადგურის გარე რეიდზე დგომის დროს, ძლიერი შტორმის შედეგად, ლუზას მოსწყდა და ჩაიძირა. გემზე მყოფი ეკიპაჟის ოთხივე წევრი დაიღუპა. შტორმის დაწყებისას ეკიპაჟის წევრებმა პორტის შიდა სადგომზე შეშვება ითხოვეს, მაგრამ, რადგანაც "ბეგს" პორტში დგომის გადასახადი არ ჰქონდა გადახდილი, პორტის მორიგეებმა ის შიდა სადგომზე არ შეუშვეს.

საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის თავმჯდომარის დურსუნ ცინცაძის განცხადებით კი, გემის ჩაძირვაზე მთელი პასუხისმგებლობა მის მეპატრონეს ზურაბ ბობოხიძესა და გემის კაპიტანს ვახტანგ მათითაიშვილს ეკისრებათ. ცინცაძის ინფორმაციით, გემი რეიდზე იდგა საწვავის ავარიული მარაგის გარეშე, რის გამოც მან ვერ შეძლო ვერც პორტში შემოსვლა და ვერც შუა ზღვაში გასვლა. რაც შეეხება კაპიტანს, იგი გემზე არ იმყოფებოდა, რაც საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევად ითვლება.

ამჟამად ფოთის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე კაპიტან ვახტანგ მათითაიშვილის წინააღმდეგ, თუმცა ეს უკანასკნელი გაქცეულია და იძებნება. დურსუნ ცინცაძის განცხადებით, ფოთის ტრანსპორტის პროკურატურა ხელს აფარებს ბობოხიძეს და მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას არ აპირებს. სამაგიეროდ, თავად ბობოხიძე უჩივის საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციას.

"გემი "ბეგი" ბობოხიძემ 1996 წელს 50 000 დოლარად იყიდა სამხრეთ ამერიკაში. ხომალდი 40 წლის იყო და ამდენად - ძალზე მოძველებულიც. შემდეგ ბობოხიძემ მის რემონტს 20-25 ათასი დოლარი დაახარჯა, ახლა კი ამ გემში სახელმწიფოსგან ორ მილიონ ასი ათას დოლარს ითხოვს," - განაცხადა დურსუნ ცინცაძის ადვოკატმა ალექსანდრე ალადაშვილმა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# ვინ და რატომ ქმნის პარამილიტარისტულ დაჯგუფებებს საქართველოში



პირველი გვერდიდან

ხოცვა-ჟლეტის ფაქტმა მძიმედ იმოქმედა შელახულ ეროვნულ თავმოყვარეობაზე. მაშინ ქართველი ოფიცერები პროტესტის ნიშნად მასიურად ტოვებდნენ საბჭოთა არმიის რიგებს და ნებაყოფლობით წევრიანდებოდნენ პარამილიტარისტულ ქართულ ორგანიზაციებში, რომელთა მთავარ ამოცანას ქართველი მოსახლეობის დაცვა და ეროვნული მოძრაობის ლიდერთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ასეთ დაჯგუფებათა შორის პირველ ხანებში განსაკუთრებული აქტიურობით "მხედრიონის", "იმედის", "მერაბ კოსტავას საზოგადოებისა" და "ეროვნული გვარდიის" რეგიონული ორგანიზაციები გამოირჩეოდნენ. თუმცა მათ კრედოს არა ერთიანი სტრატეგიული მიზანდასახულება, არამედ პოლიტიკური კონიუნქტურა განაპირობებდა. თუ "მხედრიონი" ეროვნულ კონგრესში შემავალ ძალებს თანაუგრძნობდა, ხოლო "იმედი" - სახალხო ფრონტს, "ეროვნული გვარდია" და მერაბ კოსტავას საზოგადოების შეიარაღებული რაზმები მთლიანად "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებდნენ.

ასეთ "ფარვატერში" მოქმედ პარამილიტარისტულ დაჯგუფებებს შორის კი, ბუნებრივია, ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი დაპირისპირებას პოლიტიკურ ნიადაგზე, რასაც მათ რიგებში არსებული აგენტურაც უწყობდა ხელს.

ეს დაპირისპირება განსაკუთრებით გამწვავდა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, როდესაც არჩევნებში გამარჯვებულმა ბლოკმა "მრგვალმა მაგიდამ", მისი მხარდამჭერი სამხედრო ძალების ბაზაზე "ეროვნული გვარდიის" ფორმირება დაიწყო, ხოლო ორგანიზაცია "მხედრიონი", რომელსაც ეროვნული კონგრესის მხარე ეჭირა, კომუნისტურ ძალებთან ალიანსში დაადანაშაულა.

ამას მალე მოყვა "მხედრიონის" დარბევა შავნაბადაზე, რაშიც ამიერკავკასიის ჯარების დაჯგუფების სამხედრო ტექნიკა და პირადი შემადგენლობა მონაწილეობდა. სამხედრო ოპერაციის შედეგად "მხედრიონის" ბაზა ლიკვიდირებული იქნა, ხოლო ამ ორგანიზაციის ლიდერები, და მათ შორის ჯაბა იოსელიანი ხელისუფლებამ დაპატიმრა.

მაგრამ ზვიად გამსახურდიასთვის გაცილებით საშიში მისივე ბრძანებით შექმნილი სამხედრო ძალა და მისი ამბიციური ხელმძღვანელი თენგიზ კიტოვანი აღმოჩნდა, რომელმაც ორად გახლიჩა "ეროვნული გვარდია" და გადამწყვეტი როლი შეასრულა პირველი პოსტკომუნისტური ქართული ხელისუფლების დამხობაში.

ამ პერიოდიდან საქართველოში თითქმის იმდენი პალამილტარისტული დაჯგუფება გაჩნდა, რამდენი პოლიტიკური ძალაც არსებობდა. შესაბამისად, ისინი ლოიალური იყვნენ განწყობილი მათი პირადი ხელმძღვანელის და არა კანონის წინაშე, რაც, საბოლოო ჯამში, აფხაზეთის დაკარგვით დასრულდა.

და ეს მაშინ, როცა სხვადასხვა მონაცემებით 1992-93 წლების ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს მხრიდან 50 000 ზე მეტი სამხედრო მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ დაქსაქსული და ერთმანეთზე სამტროდ გადაკიდებული პარამილიტარისტული დაჯგუფეფები იატაქვეშა არსებობას აფხაზეთის მარცხის შემდეგაც განაგრძობდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსებმა მათზე გავლენა შეასუსტეს, ისინი სულ უფრო აქტიურად ეძებენ დაკავშირების გზებს.

შარშან 17 ოქტომბერს შერიგების მანიფესტს ყველაზე დაპირებულმა ძალებმა - "მხედრიონმა" და ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი. პრესისთვის გაკეთებულ მიმართვაში, ჯაბა იოსელიანმა და ბადრი ზარანდიამ აღნიშნეს, რომ ისინი ქმნიან "სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირს", რომელიც არ აპირებს პოლიტიკაში ჩარევას და საჭიროების შემთხვევაში, მზად არის მჭიდროდ ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან.

გაერთიანების ინიციატივით გამოვიდა მიმდინარე წლის 16 მარტს ვეტერანთა 16 არასამთავრობო ორგანიზაცია. იმავე დღეს საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე გამართულ ფიცის მიღების ცერემონიალზე დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენელმა მეომრებმა განაცხადეს, რომ ამიერიდან წყვეტენ კავშირს პოლიტიკურ პარტიებთან და არც სხვებს მისცემენ უფლებას პოლიტიკური დაპირისპირების არენად გადააქციონ საქართველო.

მაგრამ, როგორც ირკვევა, სამხედროებს პოლიტოსთა ფარვატერიდან გამოსვლა და მიუკერძოებელი არსებობა ძალზე უჭირთ.

პირველად ბრჭყალები ბადრი ზარანდიას მომხრეებმა გამოაჩინეს, რომლებიც, რამდენჯერმე, არაპოლიტიკური მეთოდებით გაუსწორდნენ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს. ხოლო პარამილიტარისტული გაერთიანების - "ვეტერანთა სათათბიროს" - უკან მდგარ ძალებს შორის სულ უფრო იკვეთება ქვემო ქართლის გუბერნატორის, ლევან მამალაძის ფიგურა. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სწორედ ზუგდიდსა და რუსთავში, შეაიარაღებული პირების მიერ საარჩევნო უბნების დარბევისა და ბიულეტენების მოპარვის გამო ჩაიშალა.

გარდა ამისა, პანკისის მოვლენების დროს რეგიონული ნიშნით გასამხედროებული ორგანიზაცია შეიქმნა კახეთში და რიგში დგას იმერეთი, რომლის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი ცნობილია თავისი მილიტარისტული სულისკვეთებით და აფხაზეთის გასათავისუფლებლად მხარს უჭერს პარტიზანულ მოძრაობას.

ყოველივე ამას, ანუ ჯინის ბოთლიდან ამოსვლის პროცესებს, ჯერჯერობით მშვიდად ადევნებს თვალს საქართველოს პრეზიდენტი, რომელაც საკუთარ თავზე არაერთხელ გამოსცადა, თუ რით მთავრდება ასეთი ექსპერიმენტები.

# შაზიამნის ახალი პარტია თავდაცვის სამინისტროსთვის

თენგიზ გოგიტიძვილი

ვისაც "ცისფერი მთებიდან" შაზიამნის ახალი პარტიის ამბავი ახსოვს, ზუსტად მიხვდება, დღეს რა ხდება თავდაცვის სამინისტროსა და პარლამენტს შორის. ჯარს არ სჭირდება იმდენი ახალწვეული, რამდენიც საქართველოში შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ მაინც ჯიუტად ითხოვს შეღავათების გაუქმებას პრაქტიკულად ყველასთვის, ვისაც კი სამხედრო სამსახურის გადავადება ან მისგან გათავისუფლება ეკუთვნის.

ასეთი კი ქვეყანაში 56 ათასამდეა. ყველა მათგანს აქვს სრულიად კანონიერი საფუძველი, არ წავიდეს ჯარში. ყველა მათგანისთვის შეღავათი პარლამენტის დაწესებულია, რადგან ან სწავლობს (კომერციული სასწავლებლების მომრავლების უმთავრესი მიზეზი სწორედ სტუდენტების ჯარიდან გათავისუფლების პერსპექტივაა), ან დედისერთაა, ან ცოლ-შვილი ჰყავს და ა.შ.

რაკი ყველა სამხედრო თუ ნახევრადსამხედრო უწყება წელიწადში 12-13 ათას წვევამდელზე მეტს ვერ ითვისებს, გამოდის, რომ რჩება უზარმაზარი მასა, რომელსაც სახელმწიფო ვერ აძლევს კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას.

ამიტომ თავდაცვის სამინისტრომ ხერხი იხმარა და ამ აუთვისებელი მასის სხვაგვარად გამოყენება მოიფიქრა. გენერლების ახალი იდეის მიხედვით, შეღავათების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს, სამაგიეროდ, უნდა შემოვიდეს ახალი ტიპის ცდუნება - ჯარიდან თავის დაღწევის საშუალება მიეცემა ყველას, ვინც კი წელიწადში 200 ლარს გადაიხდის.

კანონის თვალსაზრისით, ამით კონსტიტუციური მოვალეობა არ ირღვევა - უბრალოდ, სამხედრო ვალდებულების ერთ-ერთ ფორმად სამხედრო ბეგარა ჩაიწერება. ეს იქნება და ეს. წაგებულიც არავინ დარჩება - არც წვევამდელი, რომლის მამაც იმ ფულს (ხშირად მეტსაც) მაინც უკუჭავდა ჯიბეში სამხედრო კომისარს, არც არმია, რომელსაც ის წვევამდელი მაინც არ მისდიოდა და არც კომისარი, რომელიც, თავდაცვის სამინისტროს იდეით, საერთოდ არ უნდა არსებობდეს.

გაწვევა კი, ახალი კანონპროექტის მიხედვით, ადგილობრივმა გამგეობებმა უნდა ჩაატარონ. ისინი ამ პროცესში ისედაც მონაწილეობდნენ, რაკი კომისრებს ამარაგებდნენ მოსახლეობის სიებით, მუდმივად "აძლიერებდნენ" ქუჩაში ბიჭების დამჭერი პოლიციელებით, უსხამდნენ ბენზინსა და სხვა.

თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სამხედროებს ამ პროექტში საერთოდ არა აქვთ გათვალისწინებული ადგილობრივი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა, გაწვევის შესაძლო ჩაშლისთვის - გეგმის არშემსრულებელი კომისრის მოხსნა თავდაცვის მინისტრს უპრობლემოდ შეუძლია, არჩეულ გამგებელთან კი მთელი თავისი არმიითა და კარატედოთიც ვერაფერს გახდება.

გაწვევის უზრუნველმყოფი სქემიდან კომისრების ამოვარდნას ბევრი კორუფციული ფორმების დახვეწითაც ხსნის - ამიერიდან ფულის განაწილების სქემაში ნაკლები ხალხი იქნება, ე.ი. დარჩენილებს მეტი ერგებათ.

თუმცა, სახელმწიფოსთვის დაგეგმილი მოგება, ამ ვარაუდების გამართლების შემთხვევაშიც კი, შთამბეჭდავი იქნება - 56 000 წვევამდელისთვის თავის დაძვრენის უფლების მიცემით, სპეცანგარიშზე წელიწადში 15-16 მილიონი ლარი შევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო ბიუჯეტი სულ 36 მილიონი ლარია და მისი მკვეთრი ზრდა ჩვენს პირობებში წარმოუდგენელია. იოლი მისახვედრია, რომ შედეგი შეიძლება სერიოზული იყოს.

ახალი გათვლებით, რომლებიც ამერიკული წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დაწყების შემდეგ გაკეთდა, ეს თანხა საკამრისია კონტრაქტით მომსახურეთა მთელი ბრიგადის შესანახად. თანაც, იმ ხელფასით, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინს ნებისმიერს გაუჩენს - 400 ლარი ჯარისკაცებს, 800 - ოფიცრებს.

ამერიკელები თავისი გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის განსაკუთრებულ პირობებსა და ხელფასებს ითხოვენ. მათი ლოგიკა მარტივია: ის, ვინც სპეცმომზადებას გაივლის და ტერორიზმთან ბრძოლის ინსტრუქტორი გახდება, არ შეიძლება, ჯარიდან წელიწად-ნახევარში წავიდეს. სულ ცოტა, 3 წელი მაინც უნდა იმსახუროს, რათა გაამართლოს ძია სემის მიერ გაწეული ხარჯი და ახალწვეულებსაც გაუზიაროს გამოცდილება, რათა, მისი ჯარიდან წასვლის შემდეგ, ვაკუუმი არ შეიქმნას.

დღევანდელი კანონმდებლობა კი ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამიტომ თავდაცვის სამინისტროში ჯერ კიდევ ორი წლის წინ შემუშავებულ კანონპროექტს "ტუზი" სწორედ ახლა დაეცა - კონტრაქტით სამსახურის დაშვებასთან ერთად, სამხედროებს გაუჩნდათ შანსი, სხვა ცვლილებებიც "გააპარონ", მაგალითად, სამხედრო კათედრების გაუქმების ინიციატივა, რომლებიც წელიწადში 5 000-ზე მეტ უმცროს მეთაურს უშვებენ. გენშტაბის გაანგარიშებით, რეზერვში საკმარისია 400 უმცროსი ლეიტენანტი და 300 სერჟანტი. გამოდის, რომ დანარჩენი მასა არმიისთვის ყველანაირად დაკარგულია – როგორც ჯარისკაცი, რადგან სტუდენტს სავალდებულო სამსახური არ ეკუთვნის, და როგორც ოფიცერი, იმიტომ, რომ არავის სჭირდება. თუმცა, ინიციატივებს პარლამენტში დიდი სირთულე უკვე აქვს გარანტირებული. სტუდენტების ჯარიდან გათავისუფლებასა და კათედრებს ლობისტები ყველა ფრაქციაში ჰყავს - თუნდაც იგივე კობა ამირხანაშვილი, რომელსაც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე არ დაუმალავს საკუთარი პოზიცია არცთუ უნაკლო კანონპროექტთან დაკავშირებით. მისი პოზიცია მით უფრო ბუნებრივია, რომ ამირხანაშვილის ძმა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კეთედრის უფროსია.

კრიტიკოსები თავიანთ პოზიციას სიფრთხილით ხსნიან – ვაითუ, ჯარში სამსახურს ყველამ ფულის გადახდა ამჯობინოს და დაგვრჩნენ ბეგარით გამდიდრებული გენერლები ჯარისკაცების გარეშეო. თუმცა, გამჭრიახმა ხელისუფლებამ გამოსავალი წინასწარვე მოძებნა - გუშინ იუსტიციის სამინისტროს მიერ პრეზიდენტისადმი წარდგენილი კანონპროექტით, ჯარში სამსახური იძლევა საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებას.

არავის ეგონოს, რომ ეს პრივილეგია არ არის - ყველას მაშინვე გაახსენდა მესხი მაჰმადიანები, ჩვენში "თურქებს" რომ უწოდებენ, და ევროსაბჭო, რომელიც მათ საქართველოში დაბრუნებას გვაძალებს - ესეც კიდევ ათობით ათასი წვევამდელი, რომლის მონდომებაც უკვე გარანტირებულია. თანაც, გაითვალისწინეთ პოლიტიკური ფაქტორი - ჩააყენეთ ერთი "მესხური" ბატალიონი მათსავე ისტორიულ მიწებზე და სამუდამოდ დაივიწყეთ სომხური სეპარატიზმის პრობლემა.

მოკლედ, ამერიკელთა ერთი გასროლით თავდაცვის სამინისტრო ბევრი კურდღლის მოკვლას აპირებს. რა გამოუვა, ამას საპარლამენტო მოსმენებზე ვნახავთ. თუმცა, იგი ამ ბრძოლაში მარტო არ არის, ამიტომ ძირითად პუნქტებში წარმატებას მიაღწევს. ძია სემი მაინც ძია სემია - პარლამენტი თევზაძეს რასაც აკადრებს, იმას ძია სემს ვერ გაუბედავს.

# ცესკო გაყალბებული არჩევნების შედეგებს ამტკიცებს

## 10 ივნისიდან თბილისს ახალი საკრებულო ეყოლება

პირველი გვერდიდან

**„ასეთი უბინძურესი გარიგება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჯერ არ მომხდარა. ყველა გაიყიდეთ და ამისთვის ქვეყნის წინაშე ადრე თუ გვიან პასუხს აგებთ",** – ასეთი ბრალდება წაუყენა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა დავით შუკაკიძემ კომისიის იმ წევრებს, რომლებმაც ბიულეტენების დათვლის წესის მიღება არ ისურვეს. ანალოგიური ბრალდება ისმოდა "სოციალისტებისა" და "სახალხოელების" მხრიდანაც. ამის მიუხედავად, გუშინ კომისიაში უპირატესობას არჩევნების შედეგების დაუყოვნებლივ დამტკიცების მომხრეები ფლობდნენ.

ბიულეტენების დათვლის წესის თაობაზე დადგენილების ჩავარდნას ლამის ოვაციით შეხვდნენ ქართველი "ლეიბორისტები". ცესკოს სხდომას, ნათელაშვილის გარდა, პარტიის ყველა პირველი პირი ესწრებოდა.

ცესკოს, ალბათ, მოუწევს არჩევნების შედეგების რევიზიის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. თუმცა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გია ზესაშვილი ამბობს, რომ **"ბიულეტენების გადასინჯვა, შესაძლოა, შედეგების დამტკიცების შემდეგ მოხდეს".**

გუშინდელი სხდომა პოლიტიკური განცხადებების სიმძაფრითა და მათი რაოდენობით გამოირჩეოდა. ცესკოში ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა ელმირა მესხიშვილმა, რომელიც აქტიურობით არასოდეს გამოირჩეოდა, ასეთი სახის განცხადება გააკეთა: **"ბოლო დროს ქვეყანაში გააქტიურდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაკვეთით მოქმედებენ. ქრისტიან-კონსერვატიული პარტია გრძნობს, რომ არჩევნების შედეგების გადასინჯვა ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს და ამიტომ ამ პროცესის წინააღმდეგია".**

გუშინ საკმაოდ საინტერესოდ ვითარდებოდა პროცესები ცენტრალური საარჩევნო კომისიის კულუარებში. ყველა პარტიის წარმომადგენელი პერიოდულად ეკონტაქტებოდა პარტიულ ბოსებს და კონსულტაციებს მართავდა თვით ცესკოს წევრებთან.

როგორც „სახალხოელმა" გოჩა ჯოჯუამ "24 საათს" უამბო, **"მთელი დღის მანძილზე ცესკოს წევრები ჩიხიდან გამოსასვლელ გზას ეძებდნენ. ბოლოს აღარავის უნდოდა ბიულეტენების გახსნა და მათი ხელახალი დათვლა. იცოდნენ, რომ ყველა წააგებდა, ყველას დაუმტკიცდებოდა გაყალბება. ამიტომ იძულებული გახდნენ, გარიგებულიყვნენ. ისინი ახლა შეიმუშავებენ დათვლის წესის რამდენიმე ვარიანტს და საბოლოოდ არც ერთს არ მიიღებენ. ზოგს ერთი ფორმულირება არ მოეწონება, ზოგს – მეორე. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ამით არჩევნებს შლიან. ჩვენ სასამართლოს გზით შევეცდებით იმის დამტკიცებას, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა".**

**"ხმების დათვლა იმათ ეშინიათ, ვინც იციან, რომ წააგებენ. მე ამ აბსურდის თეატრში მონაწილეობის სურვილი არ მაქვს. მოვუწოდებ კომისიის თავმჯდომარეს და მის ყველა წევრს, გადადგნენ",** - აცხადებდა სოციალისტი დენის დავითაშვილი.

სხვათა შორის, არჩევნების ჩაშლის მცდელობაზე საუბრობენ კომისიის ის წევრებიც, როლებმაც მხარი არ დაუჭირეს არჩევნების რევიზიის წესს, ოღონდ დესტაბილიზაციის მცდელობში მათ ადანაშაულებდნენ, ვინც ბიულეტენების გახსნის მომხრე იყვნენ. კომისიის მდივნის მამუკა კოპალეიშვილის თქმით, იგი თავიდანვე არჩევნების შედეგების გადასინჯვის წინააღმდეგი იყო, **"რადგან პრეტენზიებს უმეტესად ის პარტიები აყენებდნენ, რომლებმაც ვერ გადალახეს ოთხპროცენტიანი ბარიერი. მათ სურდათ არჩევნების ჩაშლა, რათა გარიგებების წყალობით თბილისის საკრებულოში მოხვედრის შანსი გასჩენოდათ".**

# აჭარაში არჩევნების გადადებას თბილისი უხმაუროდ დაეთანხმა

პირველი გვერდიდან

ასლან აბაშიძის ეს გადაწყვეტილება ძალიან მოსწონს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარეს ნუგზარ ნავაძეს. მისი თქმით, ორი კვირით გადადება არჩევნების უფრო ხარისხიან მომზადებას შეუწყობს ხელს, ანუ აჭარა არ აღმოჩნდება იმ სამარცხვინო სიტუაციაში, როგორშიც დღეს თბილისი და საქართველოს სხვა რეგიონებია. **"ორი კვირა სავსებით საკმარისია საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. კარგი იქნებოდა, ასლან აბაშიძის მაგალითისთვის სხვებსაც მიებაძათ. ცალსახად ვეთანხმები აჭარის ლიდერს, გონივრული გადაწყვეტილებაა,"** - დასძენს ნავაძე.

"ნაციონალისტმა" კობა დავითაშვილმა ასლან აბაშიძის ამ გადაწყვეტილებაში გონივრული ვერაფერი დაინახა, პირიქით, მას კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს. **"აჭარის ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, დაამტკიცა, რომ საქართველოს კონსტიტუციას არღვევს. ასლან აბაშიძისგან თბილისის მორჩილებას არავინ ითხოვს, მთავარია, კონსტიტუციას დაემორჩილოს,"** - რჩევას იძლევა კობა დავითაშვილი.

"აღორძინების" ლიდერი გიორგი თარგამაძე აჭარის ხელმძღვანელობის საქციელში ცუდს ვერაფერს ხედავს. მისი მტკიცებით, 2 კვირა ასლან აბაშიძეს ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად სჭირდება. თარგამაძე აღნიშნავს, რომ, აჭარის კონსტიტუციის თანახმად, ავტონომიის ხელისუფალს თავად შეუძლია არჩევნების დღის დადგენა, **"ასე რომ, კონსტიტუცია არავის დაურღვევია."** - აცხადებს იგი.

# საქართველოში ინვესტიციები სტატისტიკიდანაც გაქრა

პირველი გვერდიდან

სამაგიეროდ, ამ სფეროში ბედს არ უჩივიან ჩვენი მეზობლები. მოზიდული ინვესტიციების მოცულობის მიხედვით კვლავ აზერბაიჯანი ლიდერობს. 2000 წელს სომხეთში - 190.1, ხოლო აზერბაიჯანში – 927 მილიონი დოლარის ინვესტირება განხორციელდა. დარგების მიხედვით აზერბაიჯანში, რა თქმა უნდა, სამთო-მომპოვებელი დარგი ლიდერობს, სადაც 596.5 მილიონი დოლარის მოცულობის უცხოური კაპიტალია დაბანდებული. სომხეთში საკმაოდ სერიოზული ინვესტიციებია განხორციელებული ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის წარმოების დარგებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეკონომიკის სიჯანსაღისა და საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობაზე მეტყველებს – აზერბაიჯანში შესული უცხოური ინვესტიციების დიდი წილი, 664.1 მილიონი დოლარი, პირდაპირ ინვესტიციებზე მოდის.სამხრეთ კავკასიის ყველაზე დიდი ქვეყნის, აზერბაიჯანის (მასზე რეგიონის ფართობის 47 და მოსახლეობის 48 პროცენტი მოდის), ლიდერობას მის ენრგოპოტენციალს უკავშირებენ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის შეფასებით, გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში აზერბაიჯანი საქართველოსა და სომხეთზე ნაკლებად დაზარალდა, ამიტომ ამ ქვეყანას გაცილებით უკეთესი სასტარტო პოზიციები ჰქონდა. ამგვარად აიხსნება ის ფაქტი, რომ შარშან რეგიონის სამივე ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 52 პროცენტი აზერბაიჯანზე მოდის. საქართველოს მშპ 3159 მლნ დოლარის ტოლია. ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებელს (5717 მლნ დოლარი) საგრძნობლად ჩამორჩება, ხოლო წლების განმავლობაში იზოლაციაში მყოფი სომხეთისას მხოლოდ ერთი მილიარდი დოლარით აღემატება. 1995 წელთან შედარებით ყველაზე მაღალი ტემპით აზერბაიჯანის მშპ გაიზარდა: ეს მაჩვენებელი 55 პროცენტს შეადგენს, რაც საქართველოსას - 16, ხოლო სომხეთისას – 14 პროცენტით აღემატება. საქართველო აზერბაიჯანს მნიშვნელოვნად ჩამორჩება ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მშპ-ს მიხედვითაც. აზერბაიჯანში ეს ინდიკატორი 715, საქართველოში 682, ხოლო სომხეთში – 557 დოლარს შეადგენს.

საქართველო თავის მეზობლებს ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვითაც "უსწრებს", როგორიც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტია. 2001 წელს საქართველოს სეკვესტრირებული ბიუჯეტის დეფიციტმა 90.3 მილიონი დოლარი შეადგინა; სომხეთის ბიუჯეტი 83.2 მილიონი დოლარით, ხოლო აზერბაიჯანის მხოლოდ – 24.4 მილიონით გაირღვა.

აზერბაიჯანმა ასევე შეძლო საქართველოსთვის უკვე ტრადიციულად ქცეული უარყოფითი სავაჭრო ბალანსისგან თავის დაღწევა. 2000 და 2001 წლებში ჩვენ მეზობელს დადებითი სავაჭრო სალდო ჰქონდა და, ამავე დროს, მისი საგარეო ვაჭრობის მოცულობა ჩვენი ქვეყნისას, დაახლოებით, ოთხჯერ აღემატებოდა. ბოლო პერიოდში ფიქსირდება სამივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ტენდენცია, ისინი, დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით აქტიურად ვაჭრობენ სხვა განვითარებულ ქვეყნებთან. უფრო სასურველი პროზიცია, ამ მხრივაც, აზერბაიჯანს აქვს.

აზერბაიჯანთან შედარებით მეტად არასახარბიელოდ გამოიყურება საქართველოსთვის ერთ-ერთი საამაყო დარგი - ტრანსპორტიც. შარშან საქართველომ ყველა სახის ტრანსპორტით 60 მილიონი ტონით ნაკლები ტვირთი გადაზიდა,ვიდრე მისმა უახლოესმა პარტნიორმა"ტრასეკას" დერეფნის პროექტში, აზერბაიჯანმა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ქვეყნის მთავარმა სტატისტიკოსმა არ იცის, რა მოცულობის ინვესტიცია შემოვიდა საქართველოში.*

საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს თითქმის ერთნაირი პრობლემები აქვთ აღურიცხაობასა და ჩრდილოვან ეკონომიკასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენი მეზობლები მათ უფრო წარმატებით ართმევენ თავს. პრეზენტაციაზე დამსწრე ევროსტრუქტურების წარმომადგენლები დიპლომატიურად მოერიდნენ სამი კავკასიური ქვეყნის შედარებას, თუმცა, ისედაც ცხადია, რომ ამ შედარებით საქართველოსთვის სასარგებლო დასკვნები არ გაკეთდებოდა.

# „სოტბი„ და „კრისტი„ 512 მილიონი დოლარის ჯარიმას გადაიხდიან

სოფო კვინტრაძე

*მსოფლიოში ცნობილი ორი გიგანტური აუქციონი "სოტბი" და "კრისტი" დიდ სკანდალში გაეხვივნენ. მათ ბრალი ედებათ მსოფლიო ანტიკვარიატის ბაზრის მონოპოლიზებაში, რაც აშშ-ს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევად ითვლება. სასამართლომ "სოტბის" ყოფილი თავმჯდომარე, 78 წლის* ალფრედ ტაუბმანი, *კონკურენტებთან შეთანხმებასა და საკომისიოების ხელოვნურად გაზრდაში დაადანაშაულა.*

"სოტბის" აუქციონი 1744 წელს დაარსდა ინგლისში. მისი "ოქროს საუკუნე" კი იწყება 1955 წლიდან, ანუ იმ დღიდან, როცა აშშ-ში "სოტბის" განყოფილება გაიხსნა. იგი ანტიკვარიატით ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრად გადაიქცა. გარდა ამისა, "სოტბი" ძვირადღირებული სახლებითაც ვაჭრობს. 1990 წელს "სოტბის" კაპიტალბრუნვამ 2,5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

მეორე გიგანტური აუქციონი "კრისტი" 1766 წელს დაარსდა ინგლისში. მისი მფლობელები ბრიტანეთის სამეფო კართან და არისტოკრატიასთან დაახლოებული პირები იყვნენ. ისინი ცნობილი ადამიანების ნივთებითა და კოლექციებით ვაჭრობდნენ.

1997 წელს ბრიტანელმა ჟურნალისტმა პიტერ ვატსონმა გამოსცა წიგნი, სახელწოდებით "სოტბი-ს – ისტორია შიგნიდან" (Sotheby-s the inside story). წიგნში მოთხრობილი იყო, თუ როგორ მანიპულირებდა კომპანიის ხელმძღვანელობა შემოსავლის გაზრდის მიზნით. აქვე ვატსონმა პირველად გაახმაურა "სოტბისა" და "კრისტის" შორის არსებული შეთანხმებაც.

აშშ-ს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ წიგნის გამოსვლის შემდეგ "სოტბის" საქმიანობაზე მეთვალყურეობა დააწესა. სწორედ ამ პერიოდში აშკარა გახდა, რომ "სოტბი" და "კრისტი" ერთმანეთთან შეთანხმებულად ზრდიდნენ საკომისიოებს. თუმცა, არასაკმარისი სამხილების გამო, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საქმე შეაჩერა.

1998 წელს "კრისტის" აუქციონი იყიდა ფრანგმა მაგნატმა ფრანსუა პინომ, რომელმაც კომპანიის მენეჯერთა შეცვლა დაიწყო. ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ქრისტოფერ დევიჯმა ახალ ხელმძღვანელობას "სოტბისთან" არსებული ფარული შეთანხმების შესახებ მოუთხრო. პინო, ყველასათვის მოულოდნელად, პოლიციას წარუდგა. მან მთავარ დამნაშავედ კომპანიის ყოფილი მმართველი ენტონი ტენანტი დაასახელა.

"სოტბიში ამის შესახებ მანამ არ იცოდნენ, სანამ 1999 წელს გაზეთმა "ფაინენშალ ტაიმსმა", აუქციონის ფარული საქმიანობის თაობაზე, სტატია არ გამოაქვეყნა. გაზეთის პირველ გვერდზე სოტბის აღმასრულებელი დირექტორის დიანა ბრუკსის ფოტო დაიბეჭდა. პანიკაში ჩავარდნილმა ბრუკსმა დახმარება ალფრედ ტაუბმანს სთხოვა, თუმცა ამ უკანასკნელმა მისი თხოვნა უგულვებელყო.

დიანა ბრუკსი, ქრისტოფერ დევიჯთან ერთად, დათანხმდა ხელშეუხებლობის გარანტიით ჩვენება მიეცა. მან დაადასტურა საიდუმლო გარიგების ფაქტი და გამოძიებას შეატყობინა ალფრედ ტაუბმანისა და ენტონი ტენანტის 12 საიდუმლო შეხვედრის შესახებ. აგრეთვე, ბრუკსმა გაახმაურა იმ კლიენტთა 50 კაციანი სია, რომელთათვის განსაკუთრებით მაღალი საკომისიოები ჰქონდათ დაწესებული.

2000 წელს ბრუკსი და ტაუბმანი თანამდებებიდან გადადგნენ., "სოტბის" აქციების ფასი 45 დოლარიდან 14 დოლარამდე დაეცა.

ამჟამად, "სოტბის" და "კრისტის" ადმინისტრაციების წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებაში ჩაერთო ბრიტანეთის ანტიმონოპოლიური კომიტეტი, ევროპისა და ავსტრალიის კომიტეტები.



«REUTERS»

ფარული საქმიანობის შედეგად "სოტბიმ" და "კრისტიმ" 1993-1999 წლებში 400 მილიონი დოლარის მოგება ნახეს. ამჟამად კი, ტაუბმანს, მიუხედავად მისი ასაკისა და სუსტი ჯანმრთელობისა, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და 156 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს. ხოლო "კრისტისა" და "სოტბის" საერთო საჯაროიმო თანხა 512 მილიონ დოლარს შეადგენს. თანაც, "სოტბიმ" 45 მილიონი დოლარი აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს უნდა გადაუხადოს.

## „ტოიოტა„ „ახალი„ ჩინელებისათვის

იაპონური ავტოწარმოების გიგანტი "ტოიოტა" მოლაპარაკებებს ჩინურ FAW ჯგუფთან აწარმოებს. იაპონელების მიზანია, ჩინური ბაზრისთვის მდიდრული მანქანები დაამზადოს. ორი ფირმა 2005 წლისთვის ტიანძინში საერთო ქარხნის აგებას გეგმავს. საერთო საწარმოში დაამზადებენ "ტოიოტასა" და FAW-ის მაღალი კლასის ბაზრისთვის განკუთვნილ ავტომობილებს Hong Qi-ს.

ერთი სიტყვით, იაპონურ-ჩინური წამოწყება უმიზნებს ჩინური ბაზრის მაღალ სეგმენტს, რომელიც უფრო დამაიმედებლად გამოიყურება, ვიდრე მასობრივი ბაზარი. გამდიდრებულ ჩინელებში განსაკუთრებით პოპულარულია "ტოიოტას" "ლენდ კრუიზერი".

ტიანძინის ქარხანაში თავიდან 50-60 ათას ავტომობილს დაამზადებენ. ბუნებრივია, წარმოება თანდათან გაიზრდება. ბიზნესის აწყობის შემდეგ პარტნიორები ჩანგჩუნში ქარხნის გახსნას გეგმავენ, სადაც სხვა ტიპის მდიდრულ მანქანებს აწარმოებენ.

სხვათა შორის, მხოლოდ "ტოიოტა" როდი დაინტერესდა ჩინური ავტობაზრით. ჩინეთისკენ თვალი უჭირავთ იტალიურ "ფიატს" და ბრიტანულ "ემჯისაც".

## „აიბიემი„ 1500 თანამშრომელს ამცირებს

"აიბიემს" რესტრუქტურიზაცია მილიარდები უჯდება. დაახლოებით 2.5 მილიარდი დოლარი გათვლილია შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლების ხელფასებსა და ბიზნესის რესტრუქტურიზაციაზე. ცვლილებების განხორციელებით კომპანია ცდილობს, აქციების კურსის ვარდნა შეაჩეროს. წელს "აიბიემის" აქციები მესამედით გაიაფდა. არადა, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის სფეროში "აიბიემის" ზარალი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე მისი კონკურენტი ფირმებისა. თუმცა, როგორც ჩანს, კრიზისს ბოლომდე მშვიდობიანად ვერც "აიბიემმა" დააღწია თავი. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, შემცირებაში მოყვება 1500 თანამშრომელი, რომლებიც მიკროელექტრონული პროდუქციის წარმოებაზე მუშაობდნენ. საერთოდ კი, კომპანია გეგმავს 300 ათასიანი სამუშაო შტატიდან, ათი ათასის გაუქმებას.

"აიბიემის" გეგმებით კმაყოფილნი დარჩნენ ანალიტიკოსებიც. ცვლილებებისკენ სწრაფვა ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლას ნიშნავს – მიიჩნევენ ისინი. ბაზრის რეალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კომპანია დახურავს მიკროელექტრონული კომპონენტების საწარმოს და მეტ ყურადღებას დაუთმობს არასტანდარტული ჩიპების დამზადებას, რაც კონკრეტული შეკვეთებით ხორციელდება.

## ინფორმაცია

### კონტროლის პალატა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მუშაობით უკმაყოფილოა

კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა გუშინ საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს შემოწმების მასალებზე იმსჯელა და სამინისტროს არაეფექტურ მუშაობაზე გაამახვილა ყურადღება.

კონტროლის პალატის დასკვნით, 2000-2001 წლებში საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ ვერ მოახერხა ისეთი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ქვეყანაში ფინანსურ წესრიგს დაამყარებდა, მთელ რიგ შემთხვევებში, ხელიდან იყო გაშვებული სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების რეალური პერსპექტივა.

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდა ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი. მისი თქმით, კონტროლის პალატის დასკვნა რეალურ მონაცემებს ეყრდნობა და იგი ყველა ღონეს იხმარს, რათა არსებული ხარვეზები გამოსწორდეს.

კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა პრეზიდიუმის სხდომაზე აღნიშნა, რომ შემოწმების მასალების ასეთი სახის განხილვები ახალ ხელმძღვანელობას დარღვევების თავიდან აცილებაში დაეხმარება.

სულხან მოლაშვილის თქმით, კონტროლის პალატის პრეზიდიუმი ფინანსთა სამინისტროს შემოწმების მასალებს მომავალ კვირაში განიხილავს. *(მედია-ნიუსი)*

### ფინანსთა სამინისტროში საკადრო წმენდა დაიწყო

გუშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ თანამდებობიდან გაათავისუფლა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე ლევან ქისტაური, რომელიც ამ პოსტზე შარშან 12 დეკემბერს დაინიშნა. ქისტაურს საბაჟოს უფროსის თანამდებობაზე ალეკო ასლანიკაშვილი შეცვლის, რომელიც მანამდე საგანგებო ლეგიონის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. საკადრო გადაადგილება საგადასახადო დეპარტამენტშიც მოხდა. ამ სამსახურის უფროსად იასე ზაუტაშვილი დაინიშნა, მისი წინამორბედი ლევან ჩრდილელი კი მირიან გოგიაშვილმა პირველ მოადგილედ გადაიყვანა. აქამდე ფინანსთა სამინისტროში ეს თანამდებობა ზურაბ სოსელიას ეკავა. ჯერჯერობით უცნობია, გოგიაშვილის კიდევ ოთხი მოადგილის ვინაობა. ფინანსთა სამინისტროს ახალი სტრუქტურის მიხედვით, ფინანსთა მინისტრს ხუთი მოადგილე უნდა ჰყავდეს.

### სტივენ მანი: შეერთებული შტატები კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს ბაქო-ჯეიჰანის პროექტს

"ბაქოში ჩემი ყოველი ჩამოსვლისას გარკვეული წინსვლა შეინიშნება ენერგეტიკულ პროექტებში. დღესაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობის პროექტის განხორციელება მალე დაიწყება. მინდა განვაცხადო, რომ შეერთებული შტატები კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს აზერბაიჯანული ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტებს", — განაცხადა ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა მრჩეველმა კასპიის რეგიონის ენერგეტიკული პოლიტიკის საკითხებში სტივენ მანმა.

ამერიკელი დიპლომატი მონაწილეობდა ბაქოში ახლახან დასრულებულ სემინარში, რომლის მიზანი აღნიშნულ პროექტებში ინვესტორების მოზიდვა იყო. *(მედია-ნიუსი)*

### მირიან გოგიაშვილი საგადასახადო ბაზის დადგენას აპირებს

ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი უკმაყოფილოა იმით, რომ ქვეყანაში საგადასახადო ბაზა დაანგარიშებული არ არის. მისი განცხადებით, ამჟამად სამინისტროში ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

„სამი დღის წინ მივიღეთ ინფორმაცია მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოშობის შესახებ, თუმცა ეს რეგიონების მიხედვით არ არის გათვლილი", — განაცხადა გოგიაშვილმა.

მინისტრის თქმით, ფინანსთა სამინისტრო უახლოეს ხანში მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოშობას რეგიონების მიხედვით დაალაგებს და რეალურ საგადამხდელო ბაზას განსაზღვრავს. „მომზადებულია საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლებიც გადასახადების ამოღებისთვის ადმინისტრირების გაუმჯობესების მექანიზმებს მოიცავს", — თქვა გოგიაშვილმა.

მისივე აზრით, კოდექსში განხორციელებული ხშირი ცვლილებები ადმინისტრირების შესაძლებლობებს არ იძლევა. „საგადასახადო კოდექსის 65-ე მუხლში 25 მაჩვენებელი შეიცვლება. უახლოეს დღეებში ცვლილებების პაკეტი განსახილველად პარლამენტს წარედგინება", — განაცხადა გოგიაშვილმა.

საკანონმდებლო ორგანო, კოდექსში ადმინისტრირების გაძლიერების მიზნით შესატანი ცვლილებების საკომიტეტო განხილვებს, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში დაიწყებს. *(მედია-ნიუსი)*

### "ელმავალმშენებელზე" ტენდერი გამოცხადდა

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელზე" ტენდერი გამოცხადდა, — აცნობა „მედია-ნიუსს" სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს პრივატიზაციის ორგანიზების სამმართველოს უფროსმა გიორგი თოდუამ.

ტენდერის პირობების თანახმად, საწარმოს სიმძლავრეების აღდგენისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვისთვის 1 მილიონ დოლარამდე ინვესტიციების ჩადებაა საჭირო.

„თბილისის „ელმავალმშენებელი" ორიენტრირებული იყო საბჭოური ტიპის ელმავლების წარმოებაზე. გადაიარაღება საწარმოს ევროპული ტიპის ელმავლების გამოშვებისა და მსოფლიო ბაზარზე გასვლის საშუალებას მისცემს." — თქვა თოდუამ.

მისივე თქმით, ინვესტორები მსგავსი საწარმოებით ნაკლებად არიან დაინტერესებული, რადგან გარკვეული თანხის ჩადება მათ სწრაფ შედეგებს და მოგებას ვერ მოუტანს. „ამისთვის გარკვეული დროა საჭირო," - აცხადებს თოდუა.

ტენდერში მონაწილეობისთვის დოკუმენტების მიღება ივლისის ბოლომდე გაგრძელდება. გიორგი თოდუას თქმით, ჯერჯერობით, საკონკურსო კომისიაში არც ერთი განაცხადი არ არის შეტანილი. *(მედია-ნიუსი)*

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 1-7 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6849 | 0.648 | 0.0055 |
| US$ | 1.46 | | 0.9462 | 0.0081 |
| €uro | 1.5431 | 1.0569 | | 0.0085 |
| ¥en | 181.27 | 124.17 | 117.49 | |

### 2002 წლის 6 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0770 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2314 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4128 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.5470 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1777 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4566 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3812 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1457 ლარი |

ინფორმაცია

## „ექსონმობილი„ აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვების პროექტს წყვეტს

საერთაშორისო სანავთობე კომპანია "ექსონმობილის" წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მომავალი წლიდან კომპანია აღარ განაახლებს ექვსიდან ერთ-ერთ პროექტს, რომელიც ოფშორული საბადო "ოღუზის" ექსპლუატაციას ითვალისწინებდა. "ექსონმობილის" წარმომადგენელმა ნიკი კაზიმოვამ "როიტერის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ საბადოში საკმარისი რაოდენობით ნავთობი და გაზი ვერ აღმოაჩინეს. **"ექსონმობილმა" აზერბაიჯანში ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია დააბანდა, რაც იმის დასტურია, რომ ამ რეგიონს ჩვენ სტრატეგიულად მივიჩნევთ,"** – განაცხადა მან.

აზერბაიჯანმა საერთაშორისო კომპანიებთან 21 საბადოს დამუშავების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 60 მილიარდ დოლარს აღწევს. მათგან რამდენიმე უკვე გაუქმდა კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ სექტორში არასაკმარისი რაოდენობით რესურსების აღმოჩენის გამო. გასულ წლებში რამდენიმე პროექტი მიატოვეს "ტოტალფინაელფმა" და "აგიპმა". ჯერჯერობით კვლავ ძალაშია 15 შეთანხმება, რომელთა საერთო ღირებულება 48 მილიარდ დოლარს აღწევს.

დღესდღეობით აზერბაიჯანული საბადოებიდან პროდუქციას მხოლოდ ერთი, "აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის" საბადო იძლევა, რომელსაც "ბრითიშ პეტროლიუმი" და საერთაშორისო კონსორციუმი ამუშავებენ.

## ნატო-ს თავდაცვის მინისტრთა შეხვედრა ბრიუსელში

ხუთშაბათს დაიწყო ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა ბრიუსელში, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეიარაღებული ძალების რადიკალური რეორგანიზების წინადადებების განხილვას ეძღვნება. იგეგმება ნატო-ს სამეთაურო სტრუქტურის ისეთი სახით რეფორმირება, რომ ახალი საფრთხის, მათ შორის, ტერორიზმის მოგერიებისათვის ორგანიზაციის სამხედრო შესაძლებლობები გაიზარდოს. შეხვედრას აშშ-ს თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდიც ესწრება. რამსფელდი, სავარაუდოდ, თავის ევროპელ კოლეგებს მოუწოდებს, გაზარდონ შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაზე გაწეული ხარჯები.

გარდა ამისა, ბრიუსელში შედგება ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვთან. მინისტრები უსაფრთხოების ახალი ფორუმის, ნატო-რუსეთის საბჭოს ფარგლებში ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის წინადადებებს განიხილავენ. 11 სექტემბრის შემდეგ მოსკოვსა და ნატო-ს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა, ბრიუსელის შეხვედრამდე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა საკმაოდ არასასიამოვნო განცხადება გააკეთა. ივანოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი ნოემბერში არ დაესწრება ნატო-ს პრაღის სამიტს, რომელზეც ახალი წევრების მიღებაა დაგეგმილი, რადგან რუსეთი ალიანსის ახალი გაფართოების წინააღმდეგია. (Reuters)

## შირაკი საპრეზიდენტო არჩევნების მწარე გამოცდილებას ითვალისწინებს

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში 9 და 16 ივნისს დაგეგმილ არჩევნებთან დაკავშირებით საფრანგეთის მოქალაქეებს ტელევიზიით მიმართა. მან მოუწოდა ფრანგებს არჩევნებზე მივიდნენ და გაახსენა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, რომლებმაც "რესპუბლიკის ფუნდამენტური ფასეულობები საფრთხის წინაშე დააყენა". შირაკმა ფრანგებს თხოვნით მიმართა, რომ საკანონმდებლო ორგანოებში "ნამდვილი უმრავლესობის" ყოლის შესაძლებლობა მისცენ. ამავე დროს, მან მოუწოდა ფრანგებს, არ მისცენ ხმა ნაციონალურ ფრონტს. მისი განცხადებით, ნებისმიერი "პრეზიდენტის უმრავლესობის კავშირის" კანდიდატი, რომელიც ნაციონალურ ფრონტთან რაიმე გარიგებაზე წავა, **"არა მარტო კავშირიდან, არამედ ნებისმიერი საპრეზიდენტო უმრავლესობიდან"** ავტომატურად გაირიცხება. (Le Mond)

## ერაყს მალე მასობრივი განადგურების იარაღი ექნება

აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა ლონდონში ვიზიტის დროს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ერაყმა, შესაძლოა, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროგრამა განახორციელოს. მისი განცხადებით, ყველასთვის ცნობილია სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიერ ამგვარი იარაღის შექმნის სურვილი. ერაყში შემოდის მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისთვის. ამგვარად, უახლოეს მომავალში პროგრამის დასრულება სრულიად შესაძლებელია. ("რია ნოვოსტი")

## ადამიანებით ვაჭრობა

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ადამიანებით ვაჭრობის შესახებ მოხსენებაში აღნიშნა, რომ მთელ მსოფლიოში შარშან იყიდეს, გაყიდეს ან საზღვარგარეთ იძულებით გაიყვანეს 700 000-მდე ადამიანი. მოხსენებაში ნახსენებია 19 ქვეყანა, რომელიც, პაუელის აზრით, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის არასაკმარის ღონისძიებებს ატარებს ან ამ პრობლემის არსებობას საერთოდ არ ამჩნევს. ამ ქვეყნების უმრავლესობა აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაშია. თუმცა, სიაში ოთხი ევროპული სახელმწიფოც არის ნახსენები – ბელარუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, საბერძნეთი და რუსეთი. ადამიანებით მოვაჭრე ქვეყნების ნუსხაში შეყვანილია სომხეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთიც. (ინტერფაქსი)

## ირანის და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ეჯახება

რუსეთის უდიდესი ნავთობკომპანიის "ლუკოილის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპანია დაინტერესებულია, აითვისოს კასპიის ზღვის ნავთობის ის საბადო, რომელიც ირანს თავის საკუთრებად მიაჩნია. "ასოშიეტედ პრესის" ცნობით, ბაქოში გამართულ კასპიის ნავთობისა და გაზის კონფერენციაზე "ლუკოილის" უცხოური ოპერაციების ხელმძღვანელმა ანდრეი კუზიაევმა განაცხადა, რომ მზადაა ინვესტიციები ჩადოს "არაზ-ალოვ-შარგის" საბადოში, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს.

"ლუკოილი" მზადაა, კასპიის აზერბაიჯანული ნავთობის საბადოების ათვისებაში უახლოეს 15 წელიწადში, დაახლოებით, 12-17 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადოს.

ამ საბადოს ათვისება აზერბაიჯანის სიდიდით მეორე პროექტია და 9 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ირანი საბადოს თავისად მიიჩნევს და გასულ წელს სამხედრო გემებიც კი გამოიყენა აზერბაიჯანული გემების საბადოს აკვატორიიდან გასაძევებლად.

ირანისა და რუსეთის ინტერესები, რომლებიც აქამდე სტრატეგიულ მოკავშირეებად გამოდიოდნენ რეგიონში, სულ უფრო მეტად შორდება ერთმანეთს. ორი ქვეყნის პოზიცია კასპიის ზღვის გაყოფის საკითხთან დაკავშირებით, ბოლო დროს ერთმანეთს აღარ ემთხვევა.

# კარაჯიჩი დანებებას არ აპირებს


REUTERS

*ბოსნიელი სერბების ბელადმა რადოვან კარაჯიჩმა ნატო-ს სამშვიდობო ძალებს წერილი გაუგზავნა, რომლის შინაარსიც გასაიდუმლოებულია.*

ამ სურათზე გამოსახულ რადოვან კარაჯიჩსა და ბოსნიელი სერბების მთავარსარდალ რატკო მლადიჩს 1992-95 წლებში, ბოსნიის ომის დროს ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებებში ედებათ ბრალი. მათი ხელმძღვანელობით განხორციელდა სარაევოს ალყა, ხოლო 1995 წელს 7500 მუსლიმი მამაკაცი და ბიჭი გაიჟლიტა.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ხუთშაბათს კარაჯიჩის მეუღლემ - ლილიანამ ბოსნიაში განლაგებული საერთაშორისო სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები სახლში მიიწვია და მათ კარაჯიჩისაგან გამოგზავნილი წერილი გადასცა. წერილის შინაარსი გასაიდუმლოებულია, მაგრამ დიპლომატები ფიქრობენ, რომ კარაჯიჩი ნამდვილად არ ცდილობს, ჰააგის ტრიბუნალზე სლობოდან მილოშევიჩის გვერდით აღმოჩნდეს.

კარაჯიჩის დაკავებისათვის 5 მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდოა აღთქმული. როგორც ფიქრობენ, მართლმსაჯულებას იგი ბოსნიის სერბული რესპუბლიკისა და ჩერნოგორიის მთებში ემალება.

კარაჯიჩი დღემდე სერბი ნაციონალისტების კერპია. მას არაერთხელ მოსთხოვეს ჰააგის სამხედრო დანაშაულებათა ტრიბუნალის წინაშე წარდგომა, მაგრამ კარაჯიჩი ყოველთვის აცხადებდა, რომ საერთაშორისო მართლმსაჯულებას არასოდეს დანებდება.

# არაფატი გადარჩა და იმუქრება


REUTERS

გიორგი სულაშვილი

*ისრაელის სატანკო იერიშს გადარჩენილი იასირ არაფატი აცხადებს, რომ პალესტინელი ხალხი დაუმარცხებელია.*

ისრაელის არმიის მიერ არაფატის შტაბ-ბინის დაბომბვის შედეგად იასირ არაფატის დაზვერვის ერთი ოფიცერი დაიღუპა და უშიშროების სამსახურის რამდენიმე წევრი დაიჭრა.

ხუთშაბათს, გამთენიისას, ისრაელის არმიის ტანკებმა იერიში მიიტანეს რამალაში განლაგებულ პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციულ შენობებზე და ნახევარი საათის განმავლობაში ჭურვებითა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით ბომბავდნენ არაფატის საცხოვრებელს. ებრაულმა ბულდოზერებმა ადმინისტრაციის სამი ნაგებობა დაანგრიეს, რომელთაგან ერთი უშუალოდ არაფატის ბინას ესაზღვრებოდა.

თავად იასირ არაფატი არ დაშავებულა, რადგან მიწისქვეშა ბუნკერში ჩასვლა მოასწრო, მაგრამ მისი დაცვის თანამშრომლები ტყვიის წვიმაში მოყვნენ. დილით, ტანკების წასვლის შემდეგ, არაფატი სიტყვით გამოვიდა მის მხარდასაჭერად შეკრებილი ასამდე პალესტინელის წინაშე: **"არავის შეუძლია პალესტინელების დამარცხება",** – სახალხოდ განაცხადა არაფატმა.

ისრაელის არმიის რეიდი განაპირობა ოთხშაბათს 16 წლის პალესტინელი თვითმკვლელი ტერორისტის მიერ ებრაელი ჯარისკაცებით სავსე ავტობუსის აფეთქებამ, რამაც 17 ებრაელის სიცოცხლე შეიწირა და 38 ადამიანი დაასახიჩრა. მოკლულთა უმრავლესობას ახალგაზრდა ებრაელი ჯარისკაცები წარმოადგენდნენ. მომხდარ ტერორისტულ აქტში ისრაელის მთავრობამ პირადად იასირ არაფატი დაადანაშაულა.

აფეთქება იასირ არაფატისა და შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს დირექტორის ჯორჯ ტენეტის შეხვედრას მოჰყვა. ტენეტმა არაფატი გააფრთხილა, რომ მორიგ ტერორისტულ აქტს ისრაელის მწვავე რეაქცია მოჰყვებოდა და ამერიკის ადმინისტრაცია ველარ შეაკავებდა ებრაელებს.

აფეთქების შემდეგ ისრაელის რამდენიმე მინისტრმა მოითხოვა არაფატის ქვეყნიდან გაძევება. მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრების აზრით, არაფატის გაძევება ტერორიზმის დაცხრომას არ გამოიწვევს. მეტიც, ისრაელის სპეცსამსახურები მომდევნო თვეებში ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა რიცხვის ზრდას ელოდებიან. მათი ცნობით, პალესტინელი ტერორისტები უარს ამბობენ ტერორის ისეთ ტრადიციულ საშუალებებზე, როგორიცაა ქამარში დამონტაჟებული ბომბები. ისინი აფეთქების საშუალებებს ამრავალფეროვნებენ. სწორედ ამის დასტურია ოთხშაბათის ტერაქტი: ტერორისტმა-კამიკაძემ ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანა მოძრავ სამიზნეს, ავტობუსს, შეაჯახა.

# ტერ-პეტროსიანს ტერორისტობას აბრალებენ

მოსკოვის იურისტთა გილდიის წევრმა ოლეგ იუნოშევმა სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანს ადმინისტრაციას ბრალი დასდო 1999 წლის ოქტომბერში სომხეთის პარლამენტში მომხდარ ტერორისტულ აქტში მონაწილეობაში.

"ინტერფაქსის" ცნობით, იუნოშევმა ოთხშაბათს პრეს-კონფერენცია გამართა ერევანში, სადაც ამ სენსაციური განცხადებით გამოვიდა. იურისტი მოკლული პრემიერ-მინისტრის ვაზგენ სარქისიანის ძმის, არამ სარქისიანის ინტერესებს იცავს. იუნოშევმა განაცხადა, რომ მის ხელთაა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ტერ-პეტროსიანის ყოფილი მრჩეველი ალექსან არუთუნიანი პრეზიდენტს ტერორისტული აქტის ორგანიზებაში ადანაშაულებს. იუნოშევის მცდელობის მიუხედავად, მოსამართლემ და სამხედრო პროკურორმა მის მიერ წარდგენილი ნივთმტკიცების საქმის მასალებში ჩართვაზე უარი განაცხადეს.

1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში შეჭრილმა რამდენიმე ტერორისტმა ავტომატური იარაღიდან გასროლით მოკლა სომხეთის პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი და კიდევ ექვსი მაღალი თანამდებობის პირი. დამნაშავეთა სასამართლო პროცესი თითქმის ერთი წელია, გრძელდება, მაგრამ მკვლელობის შემკვეთები ჯერ კიდევ არ დაუსახელებიათ.

საინტერესოა, რომ ტერ-პეტროსიანის წინააღმდეგ მიმართული სენსაციური ბრალდება მას შემდეგ გაისმა, რაც აზერბაიჯანულმა გაზეთმა "იენი მუსავატმა" დაბეჭდა პრეზიდენტ ალიევის ყოფილი მრჩევლის ვაფა გულუზადეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ტერ-პეტროსიანი მალე შეიძლება ხელისუფლებაში დაბრუნდეს: **"სომხეთის პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანს აიძულებენ, გადადგეს და მას ყოფილი პრეზიდენტი ტერ-პეტროსიანი შეცვლის. შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ამის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს,"** – განაცხადა გულუზადემ. მისი აზრით, შეერთებული შტატები მოწადინებულია, რომ ხელისუფლებაში დააბრუნოს ყოფილი პრეზიდენტი, რაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შერიგებას დააჩქარებს. სომხური გაზეთი "აზგი" ირონიულად შენიშნავს, რომ **"სამწუხაროდ, გულუზადეს არ მიუნიშნებია, თუ როდის აპირებს ხელისუფლებაში დაბრუნებას ტერ-პეტროსიანი".**

# ინდოეთი ომს ორ კვირაში დაიწყებს



REUTERS

უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ინდოეთის ჯარი ქაშმირის პაკისტანურ ნაწილში ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებებს დაიწყებს - ისლამისტი ექსტრემისტების განადგურების მიზნით. ეს ინფორმაცია ინდოეთის შეიარაღებული ძალების წყაროებმა გაავრცელეს. სამხედრო ოპერაცია აშშ-ს მიერ ავღანეთში ჩატარებული ოპერაციის მსგავსი იქნება. იგეგმება ქაშმირის პაკისტანურ ნაწილზე ჯერ საჰაერო იერიშების მიტანა, რომლებსაც ვერტმფრენების მეშვეობით ინდური ჯარების სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების გადასხმა მოჰყვება. ოპერაციის დროს იგეგმება ჩინეთიდან და პაკისტანიდან ექსტრემისტთა ბანაკებში შეიარაღებისა და ტყვია-წამლის მიწოდების გზების განადგურება. ამჟამად ინდოეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში მდებარე საჰაერო ბაზებზე ოპერაციისთვის მოიერიშეების მომზადება მიმდინარეობს. ინდოეთის შეიარაღებული ძალების წყაროს ინფორმაციით, აშშ და ბრიტანეთი თავის 60,000 მოქალაქეს ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვებას ურჩევენ, რადგან აქვთ ინფორმაცია, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყება გარდაუვალია. ინდოეთის სამხედრო მართვის პროგნოზით, დაგეგმილი ოპერაცია, დაახლოებით, ერთ კვირას გაგრძელდება, სანამ აშშ და სხვა ქვეყნები არ აიძულებენ მხარეებს შეწყვიტონ სამხედრო მოქმედებები. ინდოეთი ოპერაციის დასრულებას წვიმების სეზონის დაწყებამდე, ივლისის პირველ ნახევარში გეგმავს, რადგან გადაუღებელი წვიმები ოპერაციის შემდგომ ჩატარებას შეუძლებელს გახდის. სავარაუდოდ, ინდოეთს დიდი დანაკარგები ექნება, რადგან მის სამხედრო ვერტმფრენებს პაკისტანელთა თანამედროვე რადარებით აღჭურვილი თავდაცვის ოთხი ხაზის გადალახვა მოუწევთ. (Daily Telegraph)

"სრულიად ინდოეთის ანტიტერორისტული ფრონტის აქტივისტი ანტიპაკისტანური ლოზუნგებით გამოდის ნიუ-დელიში 5 ივნისს გამართულ დემონსტრაციაზე. დემონსტრანტები, სხვა ლოზუნგების გარდა, ქაშმირში ომის დაუყოვნებლივ დაწყებასაც მოითხოვენ. ინგლისური გაზეთის "დეილი ტელეგრაფის" ცნობით, უახლოეს ორ კვირაში ინდოეთის ქაშმირის პაკისტანურ ნაწილში სპეციალური სამხედრო ოპერაციის განხორციელებას აპირებს. ("როიტერის" ფოტო).

# რუსთავის საქმე

## პოლიტიკური შეფერილობის საარჩევნო კრიმინალი

ინგა ალავიძე

*დღეს პარლამენტს საარჩევნო ანგარიშს ჩააბარებენ გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე და შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ტრიბუნასთან მიწვეული ორი სამართალდამცველი უწყების თავკაცი სამართლებრივ რეზიუმეს გააკეთებს 2 ივნისის საარჩევნო დარღვევების თაობაზე.*

დღევანდელ სხდომაზე, ძირითადად, რუსთავში მომხდარ ინციდენტს განიხილავენ. საუბარია 2 ივნისს გიგანტის დასახლების გადასახვევთან სამარშრუტო ტაქსზე მომხდარი თავდასხმის შესახებ, როცა საარჩევნო ბიულეტენები გაიტაცეს.

რუსთავის საქმეს ახლა გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატი იძიებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქმეს ახალი დეტალები ჯერ არ შემატებია. გამოძიება, ჯერჯერობით, მოწმეებს კითხავს. თუმცა, ზოგიერთი კანონდამცველი, საქმის პოლიტიკური ელფერის გამო, მისი გახსნის პერსპექტივას ვერ ხედავს.

ასე არ ფიქრობს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ბადრი ბიწაძე, რომელმაც ორი დღის წინ ქვემო ქართლის პროკურორებისგან რუსთავის საქმე მოისმინა: **"საქმეში სერიოზული მასალები არსებობს, არიან მოწმეები, რომლებმაც დაასახელეს თავდასხმაში მონაწილე, "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტებით შეიარაღებული პირები, "მერსედესის" მარკის თეთრი ფერის ავტომანქანის ნომერი, რომელსაც ერთ-ერთი თავდმსხმელი მართავდა. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ საქმის გასახსნელად საკმარისი მტკიცებულებები არსებობს. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ის აქამდეც უნდა გახსნილიყო. გამოთქმული ეჭვი, რომ საქმე პოლიტიკური მოტივების გამო არ გაიხსნება, უსაფუძვლოა. ვინც არ უნდა იყოს შემკვეთი, საქმე აუცილებლად შედეგით დასრულდება. ახლა ყველაფერი ოპერატიული სამსახურის მუშაობაზეა დამოკიდებული, მარტო გამოძიება ვერაფერს გააკეთებს..."** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ბადრი ბიწაძემ.



ბესო გულაშვილის ფოტო

მიუხედავად მოადგილის ოპტიმისტური განწყობილებისა, გენერალური პროკურორი დღეს პარლამენტში მაინც "ხელცარიელი" მივა. ნუგზარ გაბრიჩიძე რუსთავის საქმეზე პარლამენტარებს ახალს ვერაფერს ეტყვის.

# არჩევნებით გართულ პოლიტიკოსებს ამომრჩევლები დაავიწყდათ

## ადამიანის უფლებებს ყველაზე ხშირად პოლიცია და სასამართლო არღვევს

სოფიკო ჩხაიძე

არჩევნების პერიპეტიებით ქართველი პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, ისე არიან დაკავებულნი, რომ ვერ მოიცალეს მოესმინათ ის, რაც მათ ამომრჩეველთა უდიდეს ნაწილს ყველაზე მეტად აწუხებს — ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული დარღვევები. არადა, არჩევნებიდან არჩევნებამდე პოტენციურ ამომრჩეველთა უმეტესობა იმ პრობლემების წინაშე დგას, რომლებზეც საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გუშინ პარლამენტისთვის წარდგენილ ანგარიშშია საუბარი.

2001 წლის მეორე ნახევრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სფეროში არსებულ დარღვევათა ჩამონათვალსა და ანალიზს უფრო წარმოადგენს. მიუხედავად ამ საკითხის მნიშვნელობისა, გუშინ ნანა დევდარიანს მოხსენების გაკეთება თითქმის ცარიელი დარბაზის წინაშე მოუხდა. თუმცა, იქ მყოფთა შორისაც ცოტა თუ მოასწრებდა იმ შთამბეჭდავი მოცულობის მქონე (148 გვერდიანი) დოკუმენტის წაკითხვას, რომლის ზოგად მიმოხილვასაც ომბუდსმენის მოხსენება შეიცავდა. შესაბამისად, ყველა სიტყვით გამოსული დეპუტატი იმ საკითხებს შეეხო, რომლებზეც კარგა ხნის წინ ჰქონდათ ჩამოყალიბებული საკუთარი აზრი. ასეთ საკითხებს შორის დომინირებდა რასობრივი დისკრიმინაციისა და რელიგიურ უმცირესობათა შევიწროვების თემები.

ფრაქცია „21-ე საუკუნის" წევრი ელდარ ნადირაძის აზრით, **"ზოგიერთს საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებათა ვითომდა დარღვევების შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება სურს. ამას თავად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები კი არა, გაურკვეველი ეროვნული ნიშნის ადამიანები ცდილობენ."**

ამავე ფრაქციის ლიდერს ვახტანგ ბოჭორიშვილს დევდარიანის სახელის გაგონებაც არ სურს, რადგან გაარკვია, რომ საქართველოში არსებული დარღვევების შესახებ უცხოელებს ინფორმაცია ომბუდსმენმა მიაწოდა. თავის მხრივ, ფრაქცია "მრეწველების" წევრს გურამ შარაძეს ვერ გაუგია, რატომ იცავს სახალხო დამცველი იეღოველებს და არ იცავს მართლმადიდებლებს: **"დევდარიანი ამბობს, რომ ირღვევა სექტანტთა უფლებები, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ იეღოველების მიერ ირღვევა ადამიანის უმთავრესი უფლება—სიცოცხლის უფლება. სად იყვნენ მაშინ, როცა მომაკვდავის დედას ვეხვეწებოდი, უფლება მიეცა ექიმებისთვის, მისი შვილისთვის სისხლი გადაესხათ და ვერ დავითანხმე,** - ამბობს გურამ შარაძე, **- იეღოველების რელიგია ჯარში სამსახურს კრძალავს. ნუთუ ეს ფაქტი წართმეულტერიტორიებიანი ქვეყნის მოქალაქის მიერ დაწერილ ანგარიშში არ უნდა ასახულიყო? ან იეღოველთა წიგნების დაწვას რომ მისტირიან, ეს ხომ კონტრაბანდული ლიტერატურაა. თუ კონტრაბანდული სიგარეტი, კანონის თანახმად, უნდა დაიწვას, რატომ არ უნდა დაიწვას სხვა სახის კონტრაბანდა."**



ბესო გულაშვილის ფოტო

ეს ის ერთადერთი საკითხია, რაშიც დევდარიანი შარაძეს ნაწილობრივ მაინც ეთანხმება: **"თუ დადგინდება, რომ ბიბლიური ლიტერატურა კონტრაბანდულია, მაშინ მათ შესაბამისი უწყებები უნდა შეებრძოლონ,"** - ამბობს იგი.

სახალხო დამცველის აზრით, რელიგიის თავისუფლების საკითხის წამოწევა ამ თემის აქტუალობას უკავშირდება. **"რელიგიის თავისუფლების თემაზე კამათი ამდენი ხნის მანძილზე არ წყდება. თავად, დეპუტატების მხრიდან, ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება იმას ნიშნავს, რომ ისინი შინაგანად გრძნობენ - რაღაც წესრიგში არ არის. ჩემი აზრით, საჭიროა, სახელმწიფო, საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები და ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტები გაერთიანებული ძალით შეებრძოლონ ისეთ საშიშ მოვლენას, როგორიცაა სინდისის, რელიგიის თავისუფლების უფლებების უხეში დარღვევა. საქართველოში, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით, უზრუნველყოფილია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ამ ფონზე კიდევ უფრო აუტანელია ის მდგომარეობა, რომელიც რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში ბოლო სამი წლის განმავლობაში შეიქმნა."**

სხვათა შორის, ბოლო ექვს თვეში სახალხო დამცველის ოფისში შესულ განცხადებებს შორის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის გამო მომჩივნები მთელი რაოდენობის მხოლოდ 1,8 პროცენტს შეადგენენ. სოციალური დაცვის სფეროში საჩივართა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. მთლიანობაში კი 2001 წლის 1 ივნისიდან ომბუდსმენისთვის 3918 ადამიანს მიუმართავს. მომჩივანთა უმეტესი ნაწილი თბილისელია, რაიონებში მოქალაქეობრივი აქტივობა შედარებით დაბალია. თუმცა, ნანა დევდარიანის თქმით, თუ პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევამ და დაკავებულთა ცემაწამებამ თბილისში მნიშვნელოვნად იკლო, რაიონებში ასეთი ფაქტების რიცხვი იზრდება. სახალხო დამცველი განსაკუთრებულ გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თითქმის თანაბარი რაოდენობის მომჩივნები ჰყავს პოლიციას და სასამართლო ორგანოებს.

**"მიკვირს, რატომ არ მოხვდა პროკურატურა უხეშ დამრღვევებს შორის. ჩვენს კომიტეტში პროკურატურაზეც იმდენივე საჩივარი შემოდიოდა, რამდენიც შსს-სა და სასამართლოზე,** - ამბობს ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, **- მართალი გითხრათ, ანგარიშს დეტალურად ჯერ ვერ გავეცანი. იმის მიხედვით, რასაც გადავხედე, შემიძლია ვთქვა, რომ, რამდენიმე ფაქტის გარდა, ადრინდელისგან განსხვავებული ვერაფერი ვიპოვე. ამასთანავე მიკვირს, დარღვევის ფაქტებზე საუბრისას რატომ არ ასახელებს ომბუდსმენი კონკრეტულ დამრღვევთა ვინაობას. არ ვლაპარაკობ მხოლოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე, წვრილ მოხელეებსაც ვგულისხმობ. უმეტეს შემთხვევაში სწორედ ისინი არღვევენ ადამიანის უფლებებს."**

**"მართალია, ჩვენში სახალხო დამცველის ინსტიტუტი ძალზე შორს დგას იმ კრიტერიუმებისგან, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნები აყენებს, მაგრამ, მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული წინსვლა ამ სფეროში შეინიშნება. ეს ნანა დევდარიანის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშიდანაც ჩანს"**, - ასე აფასებს სახალხო დამცველის მუშაობას "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან რამიშვილი.

*სასამართლო დარბაზი*

# მკვლელობა თვითმკვლელობის ვერსიით

ხათუნა ჯანბირაშვილი

ორი წლის წინ რკინიგზის სადგურ "ძირულას" ტერიტორიაზე ნაპოვნი, ხეზე ჩამოკიდებული სამხედრო აკადემიის კურსანტის ვიქტორ ბიჩუკის მკვლელობის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ვიქტორ ბიჩუკი ფოთი-თბილისის სამგზავრო მატარებლიდან გადმოაგდეს. შემდეგ მკვლელებმა ლიანდაგებს შორის ნაპოვნი მისი გვამი იქვე ახლოს ხეზე ჩამოკიდეს და თვითმკვლელობის ინსცენირება მოაწყვეს.

ვარლამ აფხაძეს, კონსტანტინე გვენეტაძეს, შოთა წულეისკირსა და ზაზა ფაილოძეს ბრალად ედებათ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა. გამოძიების მტკიცებით, მათ, ფოთი-თბილისის სამგზავრო მატარებელში ძალადობითა და მუქარით ჩადენილი ხულიგნობის შემდეგ, ვიქტორ ბიჩუკს სასმელის შოვნა მოსთხოვეს და, უარის მიღებით განრისხებულებმა, ბიჩუკი ტამბურში გაიყვანეს, სცემეს და მიმავალი მატარებლიდან გადააგდეს.

სადგურ "ძირულასთან" გაჩერებული მატარებლიდან აფხაძე, ფაილოძე, გვენეტაძე და წულეისკირი ბიჩუკის მოსაძებნად ჩავიდნენ. დაახლოებით 600 მეტრის მოშორებით, ლიანდაგებს შორის, მართლაც იპოვეს ვიქტორ ბიჩუკის გვამი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბიჩუკი თავის ქალის ფუძის მოტეხილობის შედეგად გარდაიცვალა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მკვლელებმა თვითმკვლელობის ვერსია სასწრაფოდ შეიმუშავეს - გვამი იქვე ხეზე ჩამოკიდეს და ბიჩუკის მაგივრად ბარათიც დაწერეს, რომლის შინაარსი თვითმკვლელობაზე მიანიშნებდა.

ამ დღეებში სასამართლო პროცესზე მოწმეებს დაკითხავენ.

*დანაშაული და სამართალი*

# ხობელი პოლიციელები სადისტობენ

ხათუნა ჯანბირაშვილი

ერთი თვის წინ, გვიან ღამით, ხობის რაიონის პოლიციის შენობასთან შემთხვევითმა გამვლელებმა იპოვეს სასტიკად ნაცემი, უგონო მდგომარეობაში მყოფი ჯუმბერ ქირია, რომელიც საავადმყოფოში წაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნასვამმა პოლიციის უფროსის მოადგილემ კობა შუშანიამ, ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა ბისმარკ კემულარიამ და სამძებროს ინსპექტორმა რუსლან ჭითავამ, ღამის პირველ საათზე, ჯუმბერ ქირია სახლიდან გაიყვანეს, ხობის პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს და გამთენიისას, ცემისაგან თითქმის უგონოდ მყოფი, ქუჩაში დააგდეს.

მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ პოლიციის განყოფილებაში ქირიას სხვადასხვა ბლაგვი საგნით სცემდნენ, რის გამოც მან მიიღო სხეულის სერიოზული დაზიანებები.

"დილის ექვს საათზე საავადმყოფოში მიყვანილ ქირიას აღენიშნებოდა მარჯვენა თვალბუდის ჰემატომა, მრავლობითი ესკორაციები სახეზე და მუხლის სახსარზე, სისხლნაჟღენთები შუბლის ზედაპირზე, თავის ქალის დახურული დაზიანება და ტვინის მძიმე ფომის შერყევა. "აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია ბლაგვი საგნის მეშვეობით", — ასეთია ექსპერტიზის დასკვნა.

თანასოფლელებისა და ახლობლების მტკიცებით, ჯუმბერ ქირიას ოჯახი ტერორის ქვეშ იმყოფება, რის გამოც პოლიციისგან დაზარალებული, უარესი შედეგის შიშით, ჩვენებას არ იძლევა.

ჯუმბერ ქირიას თანასოფლელებმა, მომხდართან დაკავშირებით, პრეზიდენტის, პარლამენტის, გენერალური პროკურატურისა და შსს-ს სახელზე გაგზავნეს 574 კაცის მიერ ხელმოწერილი განცხადება, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ამ განცხადებას ჯერჯერობით რეაგირება არ მოჰყოლია.

"რეაგირების ნაცვლად, ჯუმბერ ქირიას სხვისი პირით შემოუთვალეს, რომ არ მიეცა ჩვენება და დაემალა პოლიციელების ნამოქმედარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მის ოჯახს უარეს "სიურპრიზს" დაჰპირდნენ", - ამბობს საქართველოს ისტორიულ "საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა" საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ხელმძღვანელი ეთერ მგალობლიშვილი, რომელიც თავად შეხვდა ჯუმბერ ქირიას. მისივე განცხადებით, ქირიას წამებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი პოლიციელი, რომელმაც გვიან ღამით სახლიდან გამოიყვანა ქირია, ხობის ცენტრში კვლავ ნახეს იარაღმომარჯვებული. მან სრულიად უდანაშაულო მოქალაქეს თავში ჩაარტყა პისტოლეტი.

ჯუმბერ ქირიას საქმეში ჩართულ "თავისუფლების ინსტიტუტს" შსს-ს გენერალურ ინსპექციაში განუცხადეს, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოეპოვებათ, თუმცა ეთერ მგალობლიშვილი ირწმუნება, რომ მან განცხადება ნამდვილად მიაწოდა სამინისტროს.

მომხდართან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტმა" რამდენიმე დღის წინ განცხადებით მიმართა გენერალური ინსპექციის უფროსს დავით ჯინჯოლავას, გენერალურ პროკურორს, სახალხო დამცველს და უშიშროების მდივნის თანაშემწეს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

*ქრონიკა*

# გვირაბს სულ ორი მეტრი დააკლდა

სატუსაღოდან მორიგი გაქცევის მცდელობა, კვლავ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაიგეგმა. ამჯერად, გაქცევის მსურველებმა ჩვეული ტრადიცია შეცვალეს და, არაპატიმარ მეგობართა დახმარებით, გვირაბი გარედან გათხარეს.

გუშინ საღამოს რეჟიმის სამსახურმა გათხრილი გვირაბის ხვრელი აღმოაჩინა საავადმყოფოს კედელთან - აკრძალულ ზოლში. გვირაბის სიგრძე, რომლიც ციხის სიახლოვეს მდებარე ტყის მხრიდან ითხრებოდა, 20 მეტრია. საავადმყოფოს ტერიტორიაზე შესაღწევად გამთხრელებს რამდენიმე საათის სამუშაო ჰქონდათ დარჩენილი - სულ რაღაც 2 მეტრის გათხრა.

ციხის ადმინისტრაცია დეტალურ ინფორმაციას მომხდართან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არ ფლობს. მიმდინარეობს მოკვლევა იმის დასადგენად, თუ რომელმა პატიმარმა დაგეგმა გაქცევა და ვინ იყო დანაშაულის უშუალო შემსრულებელი.

# მოკლეს პოლიციელი

ორშაბათს, გვიან ღამით, ისანი-სამგორის პოლიციის განყოფილების შემოვლითი ჯგუფი ქურდებს წააწყდა.

ვარკეთილი-3-ის მესამე მიკრორაიონის 301-ე კორპუსთან მისულმა პოლიციელებმა შენიშნეს ორი პირი, რომლებიც მანქანის გატეხვას და მაგნიტოფონის მოპარვას ცდილობდნენ. პოლიციელებმა ქურდების დაკავება სცადეს. ქურდებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ერთ-ერთი სამართალდამცველი გულმკერდის არეში დანით დაჭრეს. პოლიციის უმცროსი ინსპექტორი სამველ სტეპანოვი, მასთან ერთად მყოფმა თანამშრომლებმა, პირველ საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და პოლიციელი საავადმყოფოში გარდაიცვალა. დამნაშავეებმა კი მიმალვა მოახერხეს. თუმცა, პოლიციელის მკვლელობის საქმე უკვე გახსნილია. გამოძიებამ უკვე დაადგინა მკვლელობაში ეჭვმიტანილთა ვინაობა და მათ დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები.

*კითხვა-პასუხი*

**მოქალაქის კითხვა:** *ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთები არ დაუბრუნებიათ სასამართლოს დასრულების შემდეგაც. გთხოვთ, აგვიხსნათ: ვალდებულია თუ არა გამოძიება, დააბრუნოს ნივთმტკიცების სახით ამოღებული პირადი ნივთები?*

## ნივთმტკიცების ბედს წყვეტს სასამართლო

საერთოდ, ნივთმტკიცების ამოღების პროცედურას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამართალდამცველს უფლება აქვს, ამოიღოს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი ან დოკუმენტი. ამოღების აქტი, მხოლოდ და მხოლოდ, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ტარდება.

კანონდამცველი, რომელიც ატარებს ამოღების პროცედურას, ვალდებულია მოქალაქეს, ვისთანაც ტარდება ამოღება, გააცნოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ამოღების დროს უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ: ამოღების ჩამტარებელი, პირი, ვისგანაც ამოღება ტარდება და ორი მოწმე.

ამოღების პროცედურის ერთი რომელიმე მუხლის დარღვევის შემთხვევაში ამოღებული ნივთი კარგავს ნივთმტკიცების ძალას და უბრუნდება მფლობელს.

ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრესა თუ მფლობელს არ უბრუნდება, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

**თუ ნივთმტკიცება ეკუთვნის დაზარალებულ მხარეს, მას მისი მოთხოვნის კანონიერი უფლება აქვს. ნივთმტკიცების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში ნივთის მესაკუთრე იღებს ფულად კომპენსაციას.**

ეს წესი არ ვრცელდება მსჯავრდებულის ქონებაზე, თუ ქონება ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას, განადგურებას ან სამოქალაქო სარჩელის ანაზღაურებას, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯავრდებულს (მის რწმუნებულს) სრული უფლება აქვს, მოითხოვოს ნივთების დაბრუნება.

არის შემთხვევები, როდესაც ამოღებული ნივთი სისხლის სამართლის საქმეზე დართულ ნივთმტკიცებათა ნუსხაში არ არის შეტანილი და არ დაბრუნებია მფლობელს, რაც საგამოძიებო ორგანოებს უკანონო ქმედებად ეთვლებათ. ასეთ შემთხვევაში ნივთის მფლობელმა უნდა მიმართოს სასამართლოს.

(თუ ნივთმტკიცების დაბრუნებასთან დაკავშირებით პრობლემები შეგექმნათ, მიმართეთ იურიდიულ კონსულტაციას ან წაიკითხეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე, 122-ე, 316-ე, 318-ე, 326-ე მუხლები).

**P.S.** რუბრიკით "კითხვა-პასუხი" სისტემატურად გამოქვეყნდება კომპეტენტური პასუხი მოსახლეობისგან შემოსულ ყველა იმ კითხვაზე, რომელიც სამართლებრივ საკითხებს შეეხება. კითხვას შეიძლება ჰქონდეს ზოგადი ან კონკრეტული ხასიათი. კითხვები შეგიძლიათ დაგვისვათ ტელეფონით: 32-23-71, გაზეთ "24 საათი", სამართლის განყოფილება

ან გამოგვიგზავნოთ ინტერნეტით: schkhaidze@24hours.ge

# 16?

პირველად საქართველოში

## კიდევ ერთი სიახლე ჯეოსელისაგან!

**ჯეოსელის მენიუ**— საშუალება იოლად შეიტყოთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია:

ვალუტის კურსი
ამინდის პროგნოზი
ქვეყნებისა და ქალაქების კოდები
სასწრაფო დახმარების, აფთიაქებისა და ავტოსერვისების მისამართები
თვითმფრინავებისა და რკინიგზის განრიგი
კინოსა და თეატრების ანონსი
რესტორნების მისამართები
ყოველდღიური ჰოროსკოპი
ანეკდოტები და სხვა...

**ჯეოსელის მენიუთი** სარგებლობისათვის საჭიროა: *ჯეოსელის ქსელში ჩართული 16 კილობაიტიანი სიმ-ბარათი. თუ თქვენი სიმ-ბარათი არ არის აღნიშნული მოცულობის, უფასოდ შეცვალეთ* იგი 16 კილობაიტიან სიმ-ბარათზე 31 მაისამდე.*

**სიმ-ბარათის შეცვლისას თქვენი ნომერი (და ბარათზე შენახული ინფორმაცია) არ იცვლება*

**ჯეოსელის მენიუს** გააქტივებისათვის მიაკითხეთ ჯეოსელის თბილისის ოფისებს შემდეგ მისამართებზე:

**კოსტავას ქუჩ. 35**
**ალმაშენებლის ქუჩ. 157/ბაქოს ქ.2**
**გამსახურდიას ქუჩ. 24**
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ნომრებზე: **928 ან 822 770177**

ჯეოსელის მენიუ

www.geocell.com.ge





## მხიარული არდადეგები

### რას ვაკეთებთ ჩვენი შვილებისთვის

ნაადრევი არდადეგების მიზეზი მიწისძვრა იყო, მაგრამ თუ არდადეგები უსიხარულოდ ჩაივლის ჩვენი შვილებისთვის, მიზეზი ჩვენში ვეძებოთ.

ბავშვთა ფსიქოლოგები გვირჩევენ, დავივიწყოთ არჩევნები, ფეხბურთი და სხვა ყველაფერი, შვილების გარდა.

დღეს, ხვალ და ზეგ ცირკში, კონცერტზე "მხიარული არდადეგები" გეპატიჟებათ თიკა ჯამბურია, მარიკა თხელიძე, ზუკა ხუციშვილი, მარიამ როინიშვილი... დუტა სხირტლაძეც თქვენთან ერთად გაატარებს არდადეგებს.

კონცერტი საქველმოქმედოა. დაესწრებიან ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კავშირი "რევიუ", არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰააგის კლუბი", საქველმოქმედო ორგანიზაცია "დედის ძახილი" და SOS "ბავშვთა სოფელი"


ძვირფასო ბავშვებო

მხოლოდ 3 დღით 7 , 8 და 9 ივნისს, 16 საათზე იმიჯ-ცენტრი
გიწვევთ ცირკში საბავშვო კონცერტზე

მხიარული არდადეგები

დუტა სხირტლაძის,
თიკა ჭამბურიას,
ზუკა ხუციშვილის
მარიკა თხელიძის,
მარიამ როინიშვილის
ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია "მეტეხის"
ანსამბლ "საგალობელის"
და სხვა მრავალი შემსრულებლის
მონაწილეობით



ქართული პაპების მამა B5

საფიჩხიელებმა მოცლილი მაყურებელი დაიბრუნეს B5

კროსვორდი, TV პროგრამა B8



# წითელი ბარათი საფრანგეთს



REUTERS

## აფრიკას ახალი მეფე ჰყავს – შეეგებეთ სენეგალს!

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად 24 საათისათვის

თუმცა, სენეგალელთა ბედნიერებას კამერუნი ვერ იზიარებს. მათი ბედი მსოფლიო ჩემპიონატზე გაურკვეველია. მოკლედ, სიტუაცია ასე შეიძლება შეჯამდეს: A ჯგუფში სენეგალმა დანიასთან თამაშით პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა. E ჯგუფში კი საუდის არაბეთთან წაგებული მატჩის გამო კამერუნმა ეს ვერ მოახერხა.

ფაქტობრივად, დანია-სენეგალის თამაში ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც მათგან ველოდით – ზუსტად ასე თამაშობენ გუნდები, რომელთაც ჯგუფში ძველი მსოფლიო ჩემპიონები ჰყავთ. მეტისმეტად თბილმა საღამომ მატჩი კიდევ უფრო დაძაბა - ფეხბურთელები თავიანთ ღირსებას 30-გრადუსიან სიცხეში იცავდნენ. სიცხე და მატჩის პირველი ნახევრის დაბალი ტემპი დანიელთა სასარგებლოდ მუშაობდა – მათ გამოკვეთილი ვარსკვლავები არ ჰყავთ და რაღაცით ირლანდიელებს ჰგვანან. სენეგალმა თამაში ერთადერთი თავდამსხმელით, ჰაჯი დიუფით დაიწყო, კიდევ ორი ფორვარდი მეორე ტაიმში დაამატა და თამაში დამსახურებლად მოიგო.

საინტერესო ფიგურა აღმოჩნდა სალიფ დიაო. 75 წუთის განმავლობაში მან მოახერხა, გუნდი ჯერ ჩაეფლავებინა, შემდეგ სუპერ-გმირად ქცეულიყო და ბოლოს, თავისი უხეშობის წყალობით, მოედნიდანაც გაეძევებინათ.

თუმცა, სენეგალი სწორედ დიაოს უნდა უმადლოდეს მეტოქის კარში გატანილ ბრწყინვალე გოლს, რომელიც, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო გოლადაც იქცეს.

საფრანგეთს კი ჩემპიონატზე ვერავინ ცნობს. მართალია, გუნდს აშკარა პრობლემები აქვს – ტრავმირებული ზინედინ ზიდანი მოედანზე კვლავაც არ ჩანს, ფრანკ ლებეფიც დაიმტვრა, ტიერი ანრი კი ურუგვაისთან მატჩის პირველივე ნახევარში გააძევეს. თუმცა, 1998 წლის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი რამდენიმე ფეხბურთელზე დამოკიდებული მაინც არ უნდა იყოს - ნაკრებს უკეთესი თამაშის საჩვენებლად კლასი ისედაც უნდა ყოფნიდეს. ეს კი ურუგვაისთან გუშინდელ თამაშში საფრანგეთის ნაკრებმა ვერ დაგვანახა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ, სიტუაციის გამოსასწორებლად, საფრანგეთმა დანია ერთ ბურთზე მეტი სხვაობით უნდა დაამარცხოს.

თუმცა, ფრანგების პრობლემები სენეგალელთათვის მორიგი კარნავალის მოწყობის მიზეზი ხდება. შესაძლოა, როგორც გუნდი, სენეგალი ოდნავ უცნაური, მიამიტი და არეული იყოს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი მამაცები, პირდაპირები და გამბედავებიც არიან. არც ის დაგავიწყდეთ, რომ სენეგალმა ამ სეზონზე აფრიკული ქვეყნების თასის ტურნირში ფინალამდეც კი მიაღწია.

ვფიქრობ, სენეგალი ურუგვაის ერთ გოლს მაინც გაუტანს, ეს კი შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ეყოფა.

რაც შეეხება აფრიკის კონტინენტის ჩემპიონს, კამერუნს – სავარაუდოდ, მალე შინ გამგზავრება მოუწევს. კამერუნელებს შეეძლოთ საუდის არაბეთის დამარცხება, მაგრამ ამისთვის გოლები სჭირდებოდათ, მათ კი ერთზე მეტი ვერ გაიტანეს.

გერმანიასთან სამარცხვინოდ წაგების შემდეგ საუდის არაბეთი არც გუშინდელ მატჩში გრძნობდა თავს კარგად. საბოლოოდ, სამუელ ეტოომ ნავსი გატეხა და თავისი მეთორმეტე საერთაშორისო გოლი გაიტანა.

მოკლედ, გერმანიამ საუდის არაბეთი 8:0 დაამარცხა, შემდეგ გერმანია-ირლანდიის შეხვედრა ფრედ - 1:1 დამთავრდა, ირლანდია-კამერუნის მატჩშიც 1:1 დაფიქსირდა. ამ ფონზე კამერუნის შანსი ერთობ ულიმღამოდ ჩანს. მან, უბრალოდ, თავი ვერაფრით გამოიჩინა. ბუნებრივია, ეს ირლანდიას გაახარებს. ირლანდია შემდეგ ეტაპზე აუცილებლად გავა, თუ საუდის არაბეთს დაამარცხებს...

# ფრანგები კაპიტულაციის ზღვარზე




## საფრანგეთი 0–0 ურუგვაი




*მსაჯი: რამოს რისო (მექსიკა).*
*სტადიონი: ბუსან ასიადი.*
*38289 მაყურებელი.*

მუნდიალის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ საფრანგეთის ნაკრებს ასეთი დღე დაადგებოდა. 26 მაისს ზინედინ ზიდანმა კორეელებთან ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო და სამფეროვნების დაღმასვლაც მაშინ დაიწყო.

ფრანგებმა სენეგალთან მარცხი შემთხვევითობას დააბრალეს, მაგრამ ურუგვაელებთან ფრემ ცხადყო, რომ მდგომარეობა უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე ჯერ გოლიც კი არ გაუტანია და, თუ ბოლო ტურში დანიის ნაკრებს ორი ბურთის სხვაობით, ან ისეთი ანგარიშით არ მოუგო, როგორიც 3:2 და 4:3-ია, ჯგუფიდან ვერ გააღწევს.

***როჟე ლემერი*** *(საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ჩვენ საკუთარ თავს გადავაჭარბეთ. ჩემი ქათინაურები ჩემს გუნდს, რომელიც დიდხანს იძულებული იყო, 10 კაცით ეთამაშა. წარმატების იმედი გვრჩება. ახლა ერთი კარგი თამაში და დიდი ანგარიშით მოგება გვჭირდება. სამწუხაროდ, გოლი ისევ ვერ გავიტანეთ. ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ აღარ არის".*

***ვიქტორ პუა*** *(ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "მატჩის დასაწყისი ჩვენთვის რთული იყო, მაგრამ ტიერი ანრის გაძევების შემდეგ თამაშის გათანაბრება შევძელით. მეორე ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ და გოლის გატანის შანსიც გვქონდა. საბოლოოდ ფრე სამართლიანი ანგარიშია".*


REUTERS

# სენეგალს კინაღამ დანიაც ემსხვერპლა




## დანია 1:1 სენეგალი




*გოლები: 1:0 იონ დალ ტომასონი (16` პენ.), 1:1 სალიფ დიაო (52`)*
*მსაჯი: ბატრეს კარლოსი (გვატემალა)*
*სტადიონი: "დეგი ვორდ კაპ სტადიუმი"*
*43500 მაყურებელი*

ეს უკვე სასაცილო და სახუმარო აღარ არის. ასე შეიძლება, სენეგალის ნაკრები ჩემპიონატის მთავარ აღმოჩენად იქცეს. სენეგალელთა მიერ პირველ მატჩში მსოფლიო ჩემპიონთა დამარცხებით გამოწვეული სენსაციის ექო ჯერ არ განელებულა და აფრიკელებმა კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზეს - ფრე დანიის ნაკრებთან. არადა, თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ალოგიკური სულაც არ იქნებოდა, სენეგალის ნაკრებს ამ შეხვედრაშიც გაემარჯვა. ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრაში სენეგალს ერთი ქულაც ეყოფა იმისთვის, რომ მერვედფინალის საგზური მოიპოვოს.

***მორტენ ოლსენი*** *(დანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ამ ერთი ქულით უკმაყოფილო ვარ, თუმცა, ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს. პირველ ნახევარს ჩვენ ვაკონტროლებდით, მეორე ტაიმში კი სენეგალმა მოიპოვა უპირატესობა. ისინი ძალზე სახიფათონი იყვნენ, რადგან მთელი ძალებით გვიტევდნენ. ასეთ სიცხეში თამაშის მიწურულს მათ ფიზიკური მომზადებითაც გვაჯობეს. ამ შედეგის შემდეგ ჩვენს ჯგუფში ძალზე დაიძაბა ვითარება და ყველაფერს მესამე ტური გადაწყვეტს".*

***ბრუნო მეცუ*** *(სენეგალის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ამ ყაიმის შემდეგ კვლავაც შეგვიძლია მერვედფინალში გასვლაზე ვიოცნებოთ. დებიუტანტის კვალობაზე ეს ურიგო სულაც არ არის. ბოლო შეხვედრაში ერთი ქულაც გვყოფნის მიზნის მისაღწევად. პირველმა ორმა მატჩმა საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა და დადებითი ფსიქოლოგიური ფონი შეგვიქმნა. კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს დამშვიდების საბაბს არ გვაძლევს".*


REUTERS

# საუდის არაბეთი მუნდიალს დაემშვიდობა




## კამერუნი 0–1 საუდის არაბეთი




*გოლი: 1:0 – ეტო`ო (65).*
*მსაჯი: ჰაუგე ტერიე (ნორვეგია)*
*სტადიონი: საიტამა.*
*52328 მაყურებელი*

მიმომხილველთა აზრი გამართლდა: საუდის არაბეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე სუსტი გუნდი აღმოჩნდა. არაბებმა ვერც კამერუნის წინააღმდეგ გამოიჩინეს ფხა და, ფაქტობრივად, გამოეთიშნენ პლეი-ოფისთვის ბრძოლას. უფრო მეტიც, მათ ჯერ გოლი არ გაუტანიათ და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეჯგუფის ბოლოს ირლანდიელებს უნდა შეხვდნენ, შეიძლება ვერც გაიტანონ.

რაც შეეხება კამერუნს, გუნდმა კი გაიმარჯვა, მაგრამ ურთულეს მდგომარეობაშია. იმ შემთხვევაში, თუ ირლანდიის ნაკრები არაბებს დაამარცხებს, ვილფრიდ შეფერის შეგირდებს მერვედფინალში გასასვლელად გერმანელების დამარცხება მოუწევთ.

***ვილფრიდ შეფერი*** *(კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "დღევანდელი მატჩის ანგარიში იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, რადგან გერმანიის დამარცხება ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ გუნდმა ბრძოლის უნარი არ დაკარგოს, საკუთარი თავის რწმენა შეინარჩუნოს. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ, მეტოქის კართან მისულებს, სიზუსტე გვღალატობს".*

***ნასერ ალ-ჯოჰარი*** *(საუდის არაბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "გერმანიასთან წაგებამ ყველა შოკში ჩაგვაგდო, მაგრამ დღეს მინდორზე სულ სხვა გუნდი ვიხილეთ. ამისთვის მადლობელი ვარ ჩემი ფეხბურთელების. კამერუნის ნაკრები ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. მართალია, ჩვენ გავვარდით, მაგრამ ირლანდიის წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში ყველაფერს ვიღონებთ, რომ ყველა მუსულმანის ღირსება დავიცვათ".*


REUTERS

# დერიუგინი, ფაჩულია და ამერიკელი აგენტები

დიმიტრი ოზოლაძე

ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისმა, რომელიც შაბათს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება, მრავალ ცნობილ კალათბურთელს მოუყარა თავი. სხვებთან ერთად მოედანზე გავა თურქეთის "ულქერის" 18 წლის ქართველი ლეგიონერი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დრაფტზე მდგომი ზაზა ფაჩულია.

დაიბადა 1984 წლის 10 თებერვალს

თამაში დაიწყო 1990 წელს "მართვეში" (მწვრთნელი: ზურაბ სამხარაძე)

"ვითა" (თბილისი): 1996-1998 (მწვრთნელი: ზურაბ ტომარაძე)

"ულქერი" (თურქეთი): 1998-დან დღემდე

ზაზა ფაჩულია თურქეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღით ჩამოვიდა თბილისში. მისმა გუნდმა, "ულქერმა" ჩემპიონატის ფინალური სერია დაძაბულ ბრძოლაში, 2:4 წააგო "ეფეს-პილზენთან". ფაჩულიამ პირველი შეხვედრა გამოტოვა, დანარჩენი მატჩები კი მაღალ დონეზე ჩაატარა. ევროპულმა საკალათბურთო პრესამ, რომელიც თვალყურს ადევნებს თურქეთის ჩემპიონატს, მაღალი შეფასება მისცა ქართველი კალათბურთელის თამაშს. ფაჩულიამ განსაკუთრებით კარგად ითამაშა დაცვაში. იგი "ეფესის" ლიტველ ცენტრალურ თავდამსხმელს, კამბალას და უკვე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წევრს, თურქ მეგეთ ოქურს მეურვეობდა. ეს უკანასკნელი უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებშია და მომდევნო სეზონს ცნობილი კლუბის "დეტროიტ პისტონზის" შემადგენლობაში ითამაშებს. 18 წლის ქართველს თურქეთში ორი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული: ერთი - ფედერაციასთან და მეორე - კლუბ "ულქერთან". მთავარია ფედერაციასთან კონტრაქტი, რომლის ვადაც ამოიწურა და ფაჩულია უკვე თავისუფალია. თავად კალათბურთელის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობა თანახმაა, რომ ის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციში გადავიდეს.

ახლა - რაც შეეხება ქართველი კალათბურთელის მომავალს: დერიუგინის საბენეფისო მატჩის შემდეგ ფაჩულია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება. ტურნე, რომელიც ნიუ-იორკში იწყება, რვა ქალაქში ჩატარდება. ყოველდღიურ მრავალჯერად ვარჯიშებს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ცნობილი სკაუტები და აგენტები დაესწრებიან. "ტურნე მომქანცველი იქნება, - განაცხადა ფაჩულიამ ჩვენთან საუბარში, - გაუთავებელი ფრენა და ვარჯიშები. თუმცა, ამ ვარჯიშებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. წარმატების შემთხვევაში იზრდება სადრაფტო ნომერი და ყველა კალათბურთელს შეუძლია, ძლიერ კლუბზე იოცნებოს."

ფაჩულიას თამაშის სანახავად თურქეთის ჩემპიონატის მატჩებს "დეტროიტ პისტონზის", "სან-ანტონიო სპურსის" და "ფინიქს სანზის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ასოციაციის დრაფტზე დგას კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი.

რაც შეეხება ჩვენს ევროპელ სტუმრებს: თბილისში პირველი ჩამოვიდა მოსკოვის "დინამოს", მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ყოფილი კალათბურთელი ჰოსე ბირიუკოვი. მან აეროპორტიდან პირდაპირ საკალათბურთო აკადემიის დარბაზს მიაშურა და ფაჩულიასთან და სხვა ქართველ კალათბურთელებთან ერთად ორი საათის განმავლობაში ივარჯიშა. "ჩემთვის თბილისში ჩამოსვლა მართლაც სასიამოვნოა. აქ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილან ჩემი მეგობრები. საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ჩემი ძველი თანაგუნდელები მუშაობენ და ვიცი, რომ ბევრის გაკეთება შეუძლიათ. სიამოვნებით მივიღე მათი მოწვევა და კიდევ ერთხელ სიამოვნებით ვითამაშებ თქვენი სპორტის სასახლის მოედანზე. იმედია, ტრიბუნები ისევ სავსე იქნება. ქართული კალათბურთი ხომ პროგრესს განიცდის. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის თუნდაც დრაფტზე ერთდროულად ორი კალათბურთელის მოხვედრა დიდ პოტენციალზე მეტყველებს."

დღეს და ხვალ თბილისში იოვაიშა, ტკაჩენკო, კურტინაიტისი, ვოლკოვი, ტარაკანოვი, სალნიკოვი, ტიუზინი და მიგლინიეკსი ჩამოვლენ. სტუმართა პრესკონფერენცია ხვალვე, გაზეთ "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართება. "ღამის კურიერში" კი მაყურებელი ლიტვისა და უკრაინის ყოფილ სპორტის მინისტრებს, ალექსანდრ ვოლკოვსა და რიმას კურტინაიტისს შეხვდება.




## გახსოვდეს ფოლკლენდი!

### დაპირისპირება იაპონიაში გრძელდება

პირველი გვერდიდან

ფოლკლენდის კუნძულების თითქოს მოძველებულ თემას იაპონური პრესაც გამოეხმაურა. გაზეთები წერენ, რომ ასეთი ფონი 1974 წლის შემდეგ, როდესაც ერთმანეთს გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები შეხვდნენ, არც ერთ შეხვედრას ჰქონდა.

დიეგო მარადონა,რომელსაც ერთხელ, ინგლისელებთან "ღმერთის ხელიც" დაეხმარა, დღესაც მონაწილეობს არგენტინის ნაკრების ცხოვრებაში, თუმცა, მისი აქტიურობა ნამდვილად არ უწყობს ხელს სიტუაციის სტაბილიზაციას. მან ვერონს მიმართვა გაუგზავნა: "დღეს ჩემი მეგობრები დაამტკიცებენ, რომ ინგლისელები შეშინებულნი არიან. ვერონს კი ვურჩევ, არავის უსმინოს და თავისი ფეხბურთი ითამაშოს. ინგლისი ვერასოდეს მოუგებს არგენტინას."

არგენტინელი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მშვიდობიანი განწყობაა გულშემატკივართა შორის. სამხრეთამერიკელი ტურისტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ინგლისელ ფეხბურთელებს არავითარი კავშირი არა აქვთ ფოლკლენდის ტრაგედიასთან. ფანების წინამძღოლმა დიეგო სიროვიცმა აღნიშნა, რომ მაშინ ყველა ნორმალური ადამიანი ფსიქოლოგიურად დაზარალდა და მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში არ ღირს 1982 წლის გახსენება.

არგენტინელთა მსგავსად, პრეტენზიები პარაგვაელებსაც გაუჩნდათ. თუმცა, ეს ერთი წლის წინათ მოხდა. ცნობილმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა ბრაზილიას 1870 წელს წართმეული მიწების დაბრუნება მოსთხოვა.

მოკლედ, დღეს, საღამოს, თამაშობს ინგლისი-არგენტინა. ბრიტანელები მშვიდად არიან. ისინი არც პოლიტიკაში ერევიან და არც მარადონას შეურაცხმყოფელ განცხადებებს უპასუხებენ. ჟურნალისტთა აზრით, საპოროს დაპირისპირება ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იქნება.

დღის დაიჯესტი

## ზაჰოვიჩი მიდის

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ სლოვენიის ნაკრების მწვრთნელს სრეჩკო კატანეცსა და ზლატკო ზაჰოვიჩს შორის მომხდარი უსიამოვნების გამო კატანეცმა განაცხადა, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თანამდებობიდან გადავდგებიო. როგორც ჩანს, მწვრთნელს გადადგომა აღარ მოუწევს. ზლატკო ზაჰოვიჩმა თავად გამოთქვა მსოფლიო ჩემპიონატის დატოვების სურვილი.

სლოვენიური პრესის ცნობით, ფორვარდი აღშფოთებულია იმის გამო, რომ კატანეცი ბოლომდე არ ენდობა და ესპანეთის ნაკრებთან შეხვედრისას, მეორე ტაიმში შეცვალა კიდეც. გასახდელში ჭირვეულ ფეხბურთელს ცოტა დააკლდა, რომ მუშტი-კრივი გაემართა. მან მწვრთნელს პირდაპირ მიახალა, ხორვატი ხარ და სლოვენიელების არაფერი გენაღვლებაო. "მე სლოვენიელი ვარ და მეამაყება, რომ ხორვატი მშობლები მყავდა", – უპასუხა სრეჩკო კატანეცმა. როგორც ჩანს, ზლატკო ზაჰოვიჩი მსოფლიო ჩემპიონატს დატოვებს.

## რეაქტიული ფსიქოზი

ქალაქ ვლადიმირის მილიციამ გახსნა ადგილობრივი მოქალაქის მკვლელობის ფაქტი. მოკლული მისივე ბინაში აღმოაჩინეს. გვამს ყელი აქვს გამოჭრილი და სხეულზე ცემის კვალი ეტყობა. გამოძიებამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ადრე სამჯერ ნასამართლევი, მოკლულის მეზობელი დააკავა. დაკავებულმა აღიარა, რომ გარდაცვლილმა იგი საფრანგეთისა და სენეგალის მატჩის საყურებლად დაპატიჟა. მალე მასპინძელს ფეხბურთი მობეზრდა და ტელევიზორი სხვა არხზე გადართო. სწორედ ამ დროს დაემართა მკვლელს რეაქტიული ფსიქოზი.

## ბექჰემი პროვოკაციებს მოერიდება

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ, რაც უნდა მოხდეს, პროვოკაციას არ აყვება, რათა არ გამეორდეს ოთხი წლის წინანდელი ისტორია, როცა ბექჰემი არგენტინელი დიეგო სიმეონეს პროვოკაციას წამოეგო და მინდვრიდან გააძევეს. მაშინ ინგლისელები დამარცხდნენ. ბექჰემი კი ანტიგმირად იქცა.

"არგენტინელებს, რაც უნდა ეცადონ, არაფერი გამოუვათ. მე, უბრალოდ, გავბრუნდები და წავალ. ოთხი წლის წინათ მხოლოდ 23 წლის ვიყავი და გამოცდილება არ მეყო. ახლა ნაკრების შემადგენლობაში 50 მატჩი მაქვს ჩატარებული და ბევრი რამ ვისწავლე. ასე რომ, ჩემი მოთმინებიდან გამოყვანა ძნელი იქნება. ერთხელ მარადონამ თქვა, არგენტინის ნაკრები სხვაზე უკეთესი არ არის, ის, უბრალოდ, სხვაზე ცბიერიაო. დიეგო, ალბათ, მართალია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყნებს შორის ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ეს ყველაფერი გვერდზე უნდა გადავდოთ და ფეხბურთი ვითამაშოთ", – განაცხადა დევიდ ბექჰემმა.

## მორიენტესი ძირითადში ითამაშებს

ხოსე ანტონიო კამაჩომ განაცხადა, რომ პარაგვაის წინააღმდეგ მატჩში მინდორზე გამოვა იგივე შემადგენლობა, რომელმაც სლოვენიის წინააღმდეგ ითამაშა. ერთადერთი ცვლილება შეიძლება დიეგო ტრისტანის ტრავმით იყოს განპირობებული. ამ შემთხვევაში ტრისტანს მადრიდის "რეალის" ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი შეცვლის.

## „მეჯიკი„ და პეტროვიჩი დიდების დარბაზში

კალათბურთის შემქმნელის, ლეგენდარული მასწავლებლის ჯეიმს ნეისმიტის სახელობის საკალათბურთო დიდების დარბაზს ორი ახალი სახელი შეემატა. ეს პატივი წილად ხვდათ 80-იანი წლების ვარსკვლავებს, ამერიკელ "მეჯიკ" ჯონსონსა და იუგოსლავიელ დრაჟენ პეტროვიჩს. საგულისხმო და სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ჯონსონისა და პეტროვიჩის დიდების დარბაზში მოხვედრა "ლეიკერსისა" და "ნიუ-ჯერსის" ფინალს დაემთხვა. ჯონსონმა, რომლის კარიერაც შიდსის ვირუსის გამო შეწყდა, საუკეთესო წლები სწორედ კალიფორნიაში გაატარა. პეტროვიჩი კი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე "ნეტსის" ღირსებას იცავდა.

ჯონსონის დებიუტი ასოციაციაში, 20 წლის ასაკში, 1979 წელს შედგა."ლეიკერსი", "მეჯიკის" ბრწყინვალე თამაშის წყალობით, ხუთჯერ გახდა ჩემპიონი. 1991 წელს კი გაირკვა, რომ დიდი კალათბურთელი შიდსით იყო ავად. ბარსელონას ოლიმპიური თამაშები 32 წლის ჯონსონისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. ხუთი წლის შემდეგ იყო "ლეიკერსში" დაბრუნების მცდელობა. ჯონსონი მწვრთნელობასაც ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. დღეს თანამედროვე კალათბურთის ლეგენდა ირვინ "მეჯიკ" ჯონსონი დანიაში, სამოყვარულო კლუბში აგრძელებს კარიერას. დრაჟენ პეტროვიჩი კი, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი პროფესიულ კალათბურთში, 1993 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

NBA




## „ლეიკერსის„ პირველი ნაბიჯი

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ფინალური სერია დაიწყო კალიფორნიელი შაკილ ონილის მორიგი ტრიუმფით. "ლეიკერსსა" და "ნიუ-ჯერსი ნეტსს" შორის პირველი მატჩი ლოს-ანჟელესში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით- 99-94 დასრულდა. ონილმა 36 ქულა დააგროვა, 16-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთები და 4-ჯერ დააფარა მეტოქე გუნდის კალთბურთელებს. მიუხედავად ანგარიშში სხვაობისა( "ლეიკერსმა" მხოლოდ 5 ქულით მოიგო), ყველაფერი ფაქტობრივად პირველ მეოთხედში დასრულდა. ლოს-ანჯელესელებმა 15 ქულის სხვაობით, 29-14 გაიმარჯვეს და ამის შემდეგ თავისუფლად თამაშობდნენ. იმდენად თავისუფლად, რომ მეტოქე გუნდის ლიდერს, ჯეისონ კიდს "ტრიპლ-დაბლის" შესრულების საშუალება მისცეს. კიდმა 23 ქულას, 10-10 მოხსნა და ზუსტი გადაცემა დაუმატა. ეს იყო ნიუ-ჯერსელთა ერთადერთი წარმატება ამ შეხვედრაში. ჯეისონ კიდი 1993 წლის შემდეგ გახდა პირველი კალათბურთელი, რომელმაც ფინალში სამმაგ წარმატებას მიაღწია. 10 წლის წინათ იგივეს გაკეთება "ფინიქს სანზის" ლიდერმა , ჩარლზ ბარკლიმ შესძლო. შედარებით მოკრძალებულად ითამაშა კობი ბრაიანტმა,რომელიც "მხოლოდ" 22 ქულა მოიპოვა და არც ფარზე ბრძოლით გამოუჩენია თავი.ფოქსმა და ფიშერმა , შესაბამისად 14 და 13 ქულა მოიპოვეს. სპეციალისტთა უმრავლესობა და მაყურებელი, დაძაბული ნახევარფინალების შემდეგ იმედგაცრუებული დარჩა- "ლეიკერსმა" ძალიან ადვილად მოიგო და ფინალურ სერიაში 1-0 დაწინაურდა. მეორე შეხვედრა პარასკევს გაიმართება.

# პრეზიდენტები და ფეხბურთი



მიხეილ აბაიშვილი

იმის თქმა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე "სამფეროვანთა" თამაშმა მთელ საფრანგეთს იმედი გაუცრუა, ნიშნავს, რომ არაფერი გვითქვამს. მარცხი ლამის ეროვნულ ტრაგედიად იქცა. მსოფლიო ჩემპიონმა უსახურად ითამაშა, დაცვა-ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის ურთიერთკავშირი მოიშალა. ალბათ, უადგილოა იმის შეხსენება, რომ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო ზიდანმა. თქმა არ უნდა, ფრანგების სუსტი თამაში ნაწილობრივ ამითაც შეიძლება აიხსნას. მეორე მხრივ, იმ გუნდის სიძლიერეზე ხმის ამოღებაც კი არ შეიძლება, რომელიც მხოლოდ ერთ ფეხბურთელზეა დამოკიდებული და უმისოდ საშუალო დონის გუნდს ვერ ამარცხებს.

საფრანგეთის ნაკრების წარუმატებლობის გამო ჟაკ შირაკიც შეწუხდა. გუშინ მუსიე პრეზიდენტმა, ურუგვაისთან შეხვედრის დაწყების წინ, საფრანგეთის ნაკრების ბანაკში დარეკა. იგი პირადად ესაუბრა მწვრთნელებს და ფეხბურთელებს, გაამხნევა ისინი და შეეცადა, მათთვის საკუთარი თავის რწმენა დაებრუნებინა.

"მთელი საფრანგეთი თქვენს გვერდით დგას. ჩვენ, ყველანი, დარწმუნებულნი ვართ, რომ საფრანგეთის ნაკრები იმსახურებს ტრიუმფს და ჩვენ ამის მოლოდინში ვართ", - თქვა შირაკმა სატელეფონო საუბარში.

როდესაც პრეზიდენტს ჰკითხეს, ადევნებდა თუ არა იგი თვალს მატჩს, მან უპასუხა: "ამას რა შეკითხვა უნდა?"

მუსიე პრეზიდენტთან ყველაფერი გარკვეულია. ჯერ კიდევ 4 წლის წინათ შირაკი 23-ნომრიანი მაისურით გულშემატკივრობდა ტრიუმფის გზაზე შემდგარ ზიდანს და კომპანიას.

თქვენ წარმოიდგინეთ, არც მისტერ პრეზიდენტი ყოფილა უემოციო კაცი. მოგეხსენებათ, ევროპული ფეხბურთი, ანუ სოკერი, როგორც მას ამერიკელები უწოდებენ, აშშ-ში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. ამის მიუხედავად, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ძალზე გაახარა მისი ქვეყნის ეროვნული გუნდის სენსაციურმა გამარჯვებამ პორტუგალიის ნაკრებზე. "პრეზიდენტიც მხარს უჭერს აშშ-ს ნაკრებს და მისი გამარჯვება ძალიან გაუხარდა", - განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა სკოტ მაკკლილანმა.

უფრო ადრე პრეზიდენტის მთავარმა პრეს-მდივანმა არი ფლეშერმა აღნიშნა: "მართალია, ეჭვი მეპარება, რომ პრეზიდენტმა თამაშის ნახვა მოახერხა, რადგან ამ დროს მას მნიშვნელოვანი თათბირი ჰქონდა, მაგრამ ამ გამარჯვებას პრეზიდენტისთვის შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. გარწმუნებთ, ჯორჯ ბუშისთვის ცნობილი გახდა ეს ამბავი და მან აღნიშნა, რომ აშშ სპორტის ყველა სახეობაში ძლიერია".

## დღის დაიჯესტი

### კამაჩო მეტოქეს აფასებს

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ აზრი გამოთქვა თავისი გუნდის მოწინააღმდეგე პარაგვაის ნაკრებზე. "პარაგვაელები გრძელ გადაცემებს ანიჭებენ უპირატესობას და ეს ძალიან კარგადაც გამოსდით, – მიიჩნევს კამაჩო, – ისინი სახიფათონი არიან კარის სიახლოვეს საჯარიმო დარტყმების დროსაც. მთავარია, მათ ამის საშუალება მოვუსპოთ".

### მთავარია რწმენა

პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა ჟოზე დურაო ბაროსომ თანამემამულეებს მოუწოდა, ამერიკელებთან განცდილი მარცხის გამო ცხვირი არ ჩამოუშვან და ნაკრებს ჩვეული შემართებით უქომაგონ. "დიდი გუნდები სწორედ ასეთ დროს ავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს", – განაცხადა ბაროსომ. ამერიკის ნაკრებთან დამარცხება პრემიერმა უიღბლობას დააბრალა. "ჩვენ თითქმის დავეწიეთ მოწინააღმდეგეს, – ამბობს იგი, – კიდევ 15 წუთი და, ანგარიში გათანაბრდებოდა".

### თურქები შურისძიებაზე ფიქრობენ

ბრაზილიასთან განცდილი მარცხის გამო თურქები არ ცხრებიან. ისინი მიიჩნევენ, რომ დაიჩაგრნენ და შურისძიების სურვილი ახრჩობთ. "ჩვენ სასოწარკვეთას არ მივცემივართ, – ამბობს თურქეთის ნაკრების მწვრთნელი შენოლ გიუნეში, – ახლა ჯგუფში ორი დარჩენილი მატჩის მოგება გვჭირდება. ვოცნებობთ, რომ ნახევარფინალში ბრაზილიას შევხვდეთ".

### ზიდანი შეიძლება საერთოდ ვერ ვიხილოთ

თუ საფრანგეთის ნაკრები პლეიოფში ვერ მოხვდება, გულშემატკივარმა შეიძლება ზიდანი საქმეში ვერც კი იხილოს. საქმე ის არის, რომ, ექიმების თქმით, ზიდანის გამოჯანმრთელებაზე ჯერ ძალიან ადრეა საუბარი. ახლა სიტყვა მწვრთნელზეა. გარისკავს თუ არა ლემერი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ფაქტია, რომ საფრანგეთმა დანია უნდა დაამარცხოს, თანაც, სულ ცოტა, ორი ბურთის სხვაობით.

### შვედების ლაზარეთი იზრდება

ნიგერიის ნაკრების წინააღმდეგ დღევანდელ შეხვედრაში, პატრიკ ანდერსონთან ერთად, შესაძლოა, მისმა მოგვარემ - დანიელმაც არ მიიღოს მონაწილეობა. მან გუშინდელ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ითამაშებენ თუ არა ანდერსონები. საბოლოო გადაწყვეტილებას მწვრთნელები მატჩის დაწყებამდე მიიღებენ.

## მორიენტესი ძირითადში ითამაშებს

მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მიროსლავ კლოზემ ირლანდიასთან მატჩში მუხლი იტკინა. მეორე დღეს მან ვარჯიში გამოტოვა. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა განმარტა, რომ კლოზეს ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ მან ფორვარდს აღდგენისთვის აუცილებელი დასვენების საშუალება მისცა. თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა აგრეთვე მცველი კრისტოფ მეტცელდერი, რომელმაც ხელი დაიზიანა, მაგრამ, წინასწარი ინფორმაციით, კამერუნის წინააღმდეგ ითამაშებს.

## ინგლისელები იაპონელებს დასცინიან

და მათ აქვთ კიდეც ამის საფუძველი. ჩემპიონატის პირველი ხულიგანი, რომელიც პოლიციამ დააკავა, ინგლისელი ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქე კი არა, იაპონელი აღმოჩნდა. თუმცა, რაც მოხდა, იმის ახსნაც შეიძლება. შუახნის აზიელი იაპონია-ბელგიის მატჩის ბილეთის ასაღებად, რამდენიმე საათის განმავლობაში, რიგში იდგა. როდესაც სალაროს მიუახლოვდა, ყველა ბილეთი გაყიდული იყო. უიღბლო ფანმა მინები ჩაამსხვრია და მოლარეს უთავაზა კიდეც. პოლიციამ წესრიგის დამრღვევი დააკავა და საპყრობილეში ჩასვა. როგორც ამბობენ, მას ერთკვირიანი საზოგადოებრივი სამუშაო ელოდება.

## „ტოტო 2000" 07-06 2002

მსოფლიო ჩემპიონატი. II ტური.

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | 12 | X2 | 2,5მეტ | 2,5ნაკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 07/06 | 11:30 | 021 | შვედეთი - ნიგერია | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.42 | 1.80 | 1.70 |
| 07/06 | 14:00 | 022 | ესპანეთი - პარაგვაი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.08 | 1.22 | 1.97 | 1.75 | 1.75 |
| 07/06 | 16:30 | 023 | არგენტინა - ინგლისი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.27 | 1.25 | 1.50 | 1.80 | 1.70 |
| 08/06 | 11:30 | 024 | ს. აფრიკა - სლოვენია | 2.90 | 3.10 | 2.30 | 1.48 | 1.26 | 1.30 | 1.75 | 1.75 |
| 08/06 | 14:00 | 025 | იტალია - ხორვატია | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.06 | 1.22 | 2.04 | 1.75 | 1.75 |
| 08/06 | 16:30 | 026 | ბრაზილია - ჩინეთი | 1.15 | 6.00 | 12.00 | | | 3.98 | 1.40 | 2.10 |
| 09/06 | 11:30 | 027 | მექსიკა - ეკვადორი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.28 | 1.28 | 1.48 | 1.80 | 1.70 |
| 09/06 | 14:00 | 028 | თურქეთი - კოსტა რიკა | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.25 | 1.72 | 1.75 | 1.75 |
| 09/06 | 16:30 | 029 | იაპონია - რუსეთი | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.40 | 1.75 | 1.75 |
| 10/06 | 11:30 | 030 | კორეა - აშშ | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.27 | 1.53 | 1.80 | 1.70 |
| 10/06 | 14:00 | 031 | ტუნისი - ბელგია | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.21 | 1.09 | 1.80 | 1.70 |
| 10/06 | 16:30 | 032 | პორტუგალია - პოლონეთი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.08 | 1.20 | 2.07 | | |

## „კოპა" 07-06 2002

მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 045 | 07-06-2002 | 11:30 | შვედეთი-ნიგერია | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.47 | 1.28 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 047 | 07-06-2002 | 14:00 | ესპანეთი-პარაგვაი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.09 | 1.95 | 1.24 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 049 | 07-06-2002 | 16:30 | არგენტინა-ინგლისი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.52 | 1.30 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 051 | 08-06-2002 | 11:30 | ს. აფრიკა-სლოვენია | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 053 | 08-06-2002 | 14:00 | იტალია-ხორვატია | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 2.13 | 1.23 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 055 | 08-06-2002 | 16:30 | ბრაზილია-ჩინეთი | 1.10 | 6.00 | 12.00 | - | 4.00 | 1.01 | 1.40 | 2.5 | 2.20 |
| 057 | 09-06-2002 | 11:30 | მექსიკა-ეკვადორი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.47 | 1.30 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 059 | 09-06-2002 | 14:00 | თურქეთი-კოსტა რიკა | 1.75 | 3.00 | 4.20 | 1.11 | 1.75 | 1.24 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 061 | 09-06-2002 | 16:30 | იაპონია-რუსეთი | 2.50 | 2.90 | 2.60 | 1.34 | 1.37 | 1.27 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 063 | 10-06-2002 | 11:30 | კორეა-ა.შ.შ. | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.22 | 1.57 | 1.30 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 065 | 10-06-2002 | 14:00 | ბელგია-ტუნისი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.05 | 2.21 | 1.20 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 067 | 10-06-2002 | 16:30 | პორტუგალია-პოლონეთი | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 2.13 | 1.23 | 1.65 | 2.5 | 1.85 |

ვინ უკეთ ითამაშებს (II ტური)

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X |
|---|---|---|---|---|---|
| 210 | 06-06-2002 | 14:00 | ბრაზილია-კამერუნი | 1.70 | 1.80 |
| 211 | 07-06-2002 | 11:30 | შვედეთი-მექსიკა | 1.75 | 1.75 |
| 212 | 07-06-2002 | 14:00 | ესპანეთი-იტალია | 1.80 | 1.70 |
| 213 | 07-06-2002 | 16:30 | არგენტინა-სლოვენია | 1.75 | 1.75 |
| 214 | 09-06-2002 | 14:00 | თურქეთი-კორეა | 1.70 | 1.80 |
| 215 | 10-06-2002 | 14:00 | ბელგია-პორტუგალია | 1.75 | 1.75 |

### ცოცხალი

შვედეთი - ნიგერია | 07/06 | 11:30

| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 321 | Iტაიმის შედეგი | 1 2.40 | X 1.50 | 2 2.70 | * |
| 322 | ვინ დაიწყებს | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 323 | პირველ აუტს მოაწვდის | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 324 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1 1.75 | | 2 1.85 | |
| 325 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1 1.80 | | 2 1.80 | |
| 326 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 327 | პირველი დაჯარიმდება | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 328 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ 1.80 | 11--12 3.00 | 13და მეტი 1.80 | |
| 329 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1 1.75 | თანაბრად 3.00 | 2 1.85 | |
| 330 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ 1.80 | 11 3.50 | 12და მეტი 1.80 | |
| 331 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1 1.80 | თანაბრად 3.50 | 2 1.80 | |
| 332 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი 1.95 | თანაბრად 3.50 | II ტაიმი 1.65 | |
| 333 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ 1.95 | 6 3.50 | 7 და მეტი 1.65 | |
| 334 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1 1.70 | თანაბრად 3.00 | 2 1.90 | |
| 335 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ 1.80 | 34-35 3.50 | 36 და მეტი 1.80 | |
| 336 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1 1.80 | თანაბრად 5.00 | 2 1.80 | |
| 337 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1 1.80 | | 2 1.80 | |
| 338 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1 1.80 | თანაბრად | 2 1.80 | |
| 339 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ 1.80 | 4 3.00 | 5 და მეტი 1.80 | |
| 340 | წითელი ბარათი | კი 3.00 | | არა 1.15 | |
| 341 | პენალი | კი 3.00 | | არა 1.15 | |
| 342 | I შეცვლას გააკეთებს | 1 1.80 | | 2 1.80 | |
| 343 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი 2.50 | შესვენებაზე 2.20 | II ტაიმი 1.70 | |
| 344 | I გოლს გაიტანს | 1 1.75 | | 2 1.85 | |
| 345 | ვინ გაიტანს | ორივე 1.65 | | ერთერთი 1.85 | |
| 346 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ 1.15 | | 2და მეტი 2.00 | * |
| 347 | გოლების რაოდენობა | 0-1 2.80 | 2-3 1.70 | 4-6 3.30 | * |
| 348 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი 3.00 | თანაბრად 2.80 | II ტაიმი 1.90 | * |
| 349 | I გოლი გავა | 1-30წთ. 1.80 | 31-90წთ. 1.80 | არ გავა 5.00 | * |

" * " -ით აღნიშნული პოზიციები არ ებმება ერთმანეთს ერთ მოთამაშეზე მეორე ყვითელი ბარათი ითვლება მხოლოდ წითლად.

ცოცხალზე მოგებები გაიცემა ფიფას ოფიციალური ოქმის (fifaworldcup.yahoo.com) გამოქვეყნების შემდეგ

### ცოცხალი

არგენტინა - ინგლისი | 07/06 | 16:30

| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 381 | Iტაიმის შედეგი | 1 2.30 | X 1.50 | 2 2.80 | * |
| 382 | ვინ დაიწყებს | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 383 | პირველ აუტს მოაწვდის | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 384 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1 1.70 | | 2 1.90 | |
| 385 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1 1.70 | | 2 1.90 | |
| 386 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 387 | პირველი დაჯარიმდება | 1 1.90 | | 2 1.90 | |
| 388 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ 1.80 | 11--12 3.00 | 13და მეტი 1.80 | |
| 389 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1 1.70 | თანაბრად 3.00 | 2 1.90 | |
| 390 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ 1.80 | 11 3.50 | 12და მეტი 1.80 | |
| 391 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1 1.70 | თანაბრად 3.50 | 2 1.90 | |
| 392 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი 1.95 | თანაბრად 3.50 | II ტაიმი 1.65 | |
| 393 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ 1.95 | 6 3.50 | 7 და მეტი 1.65 | |
| 394 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1 1.80 | თანაბრად 3.00 | 2 1.80 | |
| 395 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ 1.80 | 34-35 3.50 | 36 და მეტი 1.80 | |
| 396 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1 1.80 | თანაბრად 5.00 | 2 1.80 | |
| 397 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1 1.80 | | 2 1.80 | |
| 398 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1 1.80 | თანაბრად | 2 1.80 | |
| 399 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ 1.80 | 4 3.00 | 5 და მეტი 1.80 | |
| 400 | წითელი ბარათი | კი 3.00 | | არა 1.15 | |
| 401 | პენალი | კი 3.00 | | არა 1.15 | |
| 402 | I შეცვლას გააკეთებს | 1 1.80 | | 2 1.80 | |
| 403 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი 2.50 | შესვენებაზე 2.20 | II ტაიმი 1.70 | |
| 404 | I გოლს გაიტანს | 1 1.70 | | 2 1.90 | |
| 405 | ვინ გაიტანს | ორივე 1.55 | | ერთერთი 1.95 | |
| 406 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ 1.15 | | 2და მეტი 2.00 | * |
| 407 | გოლების რაოდენობა | 0-1 3.00 | 2-3 1.70 | 4-6 3.00 | * |
| 408 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი 3.00 | თანაბრად 2.80 | II ტაიმი 1.90 | * |
| 409 | I გოლი გავა | 1-30წთ. 1.80 | 31-90წთ. 1.80 | არ გავა 5.00 | * |

### ც ო ც ხ ა ლ ი

შვედეთი - ნიგერია | 11:30

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5250 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5251 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5252 | 1 კუთხური | 1.70 | | 1.80 |
| 5253 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5254 | 1 გოლი | 1.70 | | 1.80 |
| 5255 | 1 გაფრთხილება | 1.85 | | 1.65 |
| 5256 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5257 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5258 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.80 | | (31-90)- 1.70 |
| 5259 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 5260 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

ესპანეთი - პარაგვაი | 14:00

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5270 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5271 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5272 | 1 კუთხური | 1.65 | | 1.85 |
| 5273 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5274 | 1 გოლი | 1.50 | | 2.00 |
| 5275 | 1 გაფრთხილება | 1.85 | | 1.65 |
| 5276 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5277 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 1.90 |
| 5278 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5279 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 5280 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.70 | | ერთ-ერთი 1.80 |
| 5281 | რაული * | გაიტანს 2.10 | | ვერ გაიტანს 1.45 |
| 5282 | ჩილავერტი * | გაიტანს 3.50 | | ვერ გაიტანს 1.10 |

არგენტინა - ინგლისი | 16:30

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5290 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5291 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5292 | 1 კუთხური | 1.70 | | 1.80 |
| 5293 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5294 | 1 გოლი | 1.65 | | 1.85 |
| 5295 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 5296 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5297 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5298 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5299 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 5300 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.60 | | ერთ-ერთი 1.90 |
| 5301 | კრესპო * | გაიტანს 2.30 | | ვერ გაიტანს 1.35 |
| 5302 | ოუენი * | გაიტანს 2.30 | | ვერ გაიტანს 1.35 |

ჯგუფური ცოცხალი

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5305 | კუთხურები 3 თამაშში | 30და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 32და მეტი- 1.90 |
| 5306 | ბარათები 3 თამაშში | 12და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 0- 0.00 | 14და მეტი- 1.80 |
| 5307 | გოლები 3 თამაშში | 7და ნაკლ.- 1.70 | ზუსტად 0- 0.00 | 8და მეტი- 1.80 |

# მაკა ასათიანის მორიგი ექსპერიმენტი

## წამყვანი დიზაინერები ერთი სამარკო ნიშნის ქვეშ გაერთიანდებიან



ვერა ნეფარიძე

ქართული მოდის გიგანტები დასავლეთში აპრობირებულმა შემოქმედებითი გაერთიანების იდეამ შეიპყრო. ნოვატორად ბოლო დროს ექსპერიმენტებით გამორჩეული მაკა ასათიანი მოგვევლინა. ათამდე წამყვანი და დამწყები დიზაინერი მაკა ასათიანის სამარკო ნიშნით გაერთიანდება. ექსპერიმენტი ჩვენების სახით, თვის ბოლოს გაიმართება.

ყველაზე პოპულარულმა ქართველმა დიზაინერმა, მაკა ასათიანმა დიდხანს არ ალოდინა ქართული მოდის ქომაგები და საზოგადოების ყურადღება კვლავაც მიიპყრო. პანკისის გახმაურებული ჩვენების შემდეგ ალბათ, არანაკლებ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს მისი მორიგი ინიციატივა, საკუთარი სამარკო ნიშნის ქვეშ გააერთიანოს ათამდე ქართველი დიზაინერის ცხელ-ცხელი კოლექცია. ნამუშევრები თვის ბოლოს დაგეგმილი ჩვენებისთვის საგანგებოდ იკერება; ჩვენების შემდეგ ისინი მაკა ასათიანის მაღაზიაში გაიყიდება. “გავბედე და ჩემს თავზე ავიღე მეცენატობა; შევარჩიე ჩემი აზრით, გენიალური დიზაინერები, რომლებსაც არ ეძლევათ საშუალება, იმუშაონ ამ სფეროში თამამად”, – შემოქმედებით სითამამეში ახალგაზრდა დიზაინერი სამუშაო პირობებს გულისხმობს. ამ პირობებს – მასალასა და საკუთარ სამკერვალო სივრცეს, ასათიანი რჩეულ დიზაინერებს სთავაზობს.

ასათიანის ექსპერიმენტი გარკვეულწილად, “კასტინგია” დიზაინერებს შორის, საიდანაც ორი მათგანი მაკასთან გააგრძელებს თანამშრომლობას და მონაწილეობას მიიღებს “ლონდონის პროექტში” (პროექტის მიხედვით, მაკა ასათიანის პროდუქცია ბრიტანულ ბაზარზე უნდა დამკვიდრდეს). მაკა ასათიანის თქმით, ეს იქნება გამოცდა, რამდენად კომერციულები არიან ეს დიზაინერები, რადგანაც ჩვენება აბსოლუტურად კომერციული უნდა გამოვიდეს. “გამოვიტანთ ტანსაცმელს, რომელიც უნდა გაიყიდოს”, – ასეთია ექსპერიმენტის ავტორის პრინციპი.

ასათიანის რჩეულებს შორის არიან ქართული მოდის სამყაროში ცნობილი დიზაინერები, ასევე დამწყებებიც. თუმცა, თავად ასათიანი დამწყებებზე არანაკლებ იმედს ამყარებს. თუნდაც, თიკა შენგელიაზე. “თიკას ძალიან დიდი პოტენცია აქვს; ვიმედოვნებ, რომ ამ ექსპერიმენტის შემდეგ იგი დაიწყებს აქტიურ მუშაობას”, – აქვე, მაკა ასათიანმა გაამხილა, რომ წინა ჩვენებებში თიკას ორი იდეა გამოიყენა. ასათიანს დიდი იმედი აქვს, რომ ამ ექსპერიმენტით ქართულ მოდაში დააბრუნებს გიორგი ნადირაძეს, რომელმაც ბოლო დროს თეატრში მუშაობა გადაწყვიტა. “არ შემიძლია არ გავიხსენო შთაბეჭდილება, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გიორგის პარკებით შეკერილი კოლექციის ნახვისას შემექმნა. მაშინ პარიზში ვსწავლობდი და გაოგნებული დავდიოდი, ეს რა ვნახე თბილისში-მეთქი”, – ეს შთაბეჭდილება მაკა ასათიანმა 1994 წელს, “ქარვასლაში” გამართული ჩვენებისას მიიღო. ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა, რა დაინტერესება აქვთ მაშინ პროფესიონალ დიზაინერებს, რომელთაც საკუთარი ნამუშევრები მაკა ასათიანის სამარკო ნიშნით უნდა გაყიდონ? ამ შეკითხვაზე გიორგი ნადირაძემ გვიპასუხა, რომ მისთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა ექსპერინმენტი: “არასდროს მიმუშავია ვინმესთან ერთად; მგონია, რომ ჩემთვის ძალიან საინტერესო იქნება”. იგივე შეკითხვაზე მაკა ასათიანის პასუხს, რომ ამ ექსპერიმენტით დიზაინერებს თვითგამოხატვის შანსი ეძლევათ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

მაკა ასათიანის რჩეულ დიზაინერებს შორის არის მაკა კიკაჩეიშვილი, რომელიც თბილისელებს შარშან “მეტეხში” გამართული ჩვენებიდან ემახსოვრებათ; საკონკურსო ჩვენებიდან მაკა მოსკოვის კონკურსზე, Руский силует-ზე გააგზავნეს. ექსპერიმენტში მონაწილეობს ასევე, პროფესიონალი დიზაინერი, იკა ბობოხიძე, რომელიც მაკას სახელოსნოში მუშაობს. ასათიანის თქმით, საინტერესო იქნება ეკა ჩანჩიბაძეს ნამუშევრები. ეკა ჩვენებაზე თეატრალიზებულ, ანუ არაყოველდღიური ვარცხნილობის სტილსა და მაკიაჟს წარადგენს.

შეკითხვაზე, ხომ არ აპირებს მაკა ასათიანი ამ ექსპერიმენტით ევროპაში მოძველებული მისი სახელი როგორმე გააცოცხლოს, დიზაინერმა საკმაოდ თავმდაბლურად უპასუხა: “მაკა ასათიანი ევროპაში მოძველებული კი არა, განთქმულიც არ არის”. თუმცა, ჰქონდა უფრო თამამი განცხადებებიც. პროვოკაციულ შეკითხვაზე, ამ გზით ხომ არ აპირებს მაკა კონკურენტების ჩამოშორებასო, მაკამ დაუფარავად აღიარა: “დღეს თბილისში ჩემი კონკურენტი არ არის, იმიტომ რომ ჩემი სტილისტიკით აქ არავინ მუშაობს; ევროპაში ბევრი არიან, აქ – არა. შეიძლება ჩემი კონკურენტები ამ ხალხშიც აღმოვაჩინო”, – დიზაინერმა მითითება მისი რჩეული კოლეგების მისამართით გააკეთა.

საერთოდ, გუშინდელ შეხვედრაზე მაკა ასათიანი ნაკლებს საუბრობდა საკუთარ თავზე. კომპლიმენტებს კი, ძირითადად, კოლეგების მიმართ არ იშურებდა. განსაკუთრებით კი, ქეთი მესხის გარეგნობაზე ამახვილებდა ყურადღებას. “ქუჩაში რომ შევხვდები ხოლმე ქეთის, იმდენად ლამაზია, რომ ბევრ რამეს მისგან ვსწავლობ. მე პირადად, იმ დიზაინერთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებსაც ძალიან ეზარებათ ჩაცმა. ქეთი კი პროფესიონალურ ნიჭს საკუთარი ჩაცმულობაშიც ამჟღავნებს”.

შეხვედრაზე დიზაინერებს არაფერი უთქვამთ საკუთარ კოლექციებზე. იმის მიუხედავად, რომ ჩვენებამდე დრო არც ისე ბევრია, ბევრ მათგანს ნამუშევრები არც დაუწყია. დიზაინერების თქმით, ერთადერთი, რაც მათ კოლექციებს გააერთიანებს, ეს მაკა ასათიანის მასალა და სახელი იქნება. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ყველა მათგანი ალბათ, საზაფხულო კოლექციებს გააკეთებს. მართალია, ღონისძება თვის ბოლოს უნდა იყოს, მაგრამ ბევრი დეტალი ჯერ-ჯერობით, დაუკონკრეტებელია. დაუზუსტებელია დრო – სავარაუდოდ ორგანიზატორები 23 ივნისს ასახელებენ; გარკვეულია, რომ ჩვენება მაკა ასათიანის მაღაზიის წინ, ქუჩაში გაიმართება. ჩვენებას მუსიკალურად ნიკა მემანიშვილი გააფორმებს, რეჟისორული მხარე კი სურთ, დათო დოიაშვილს მიანდონ.

ბოლოს კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც მაკა ასათიანი თბილისელ მაყურებელს სთავაზობს. უახლოეს მომავალში თბილისის რომელიმე შენობის სახურავზე (გეგმაში სასტუმრო “თბილისის” სახურავი იყო) პანკისის გახმაურებული ჩვენება გაიმართება, პირდაპირი ტრანსლაციის მეშვეობით კი, ჩვენებას მთელი საქართველო იხილავს.

# ქართული პაბების მამა

ანა კორძაია-სამადაშვილი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ამჟამად ახვლედიანის ქუჩაზე ოცამდე საზოგადოებრივი კვების დაწესებულებაა. ზოგი კარგად მუშაობს, ზოგი – არც ისე. პეროვსკაია (თბილისი, მოგეხსენებათ, ახალ სახელწოდებებს ძნელად ეგუება) – პატარა, გამავალი ქუჩა – თავისებური ფენომენია: მანქანას ვერსად დააყენებთ, ყველაფერი უფრო ძვირია, ვიდრე სადმე სხვაგან, იმდენი ბარი და რესტორანია, გაუთვითცნობიერებელ კაცს თავ-გზა აებნევა, მაგრამ ქუჩა შესანიშნავად მუშაობს.

განსაკუთრებით პოპულარული სამი პაბია: “ბორბლები”, რომელიც ქალაქში უფრო “გინესის” სახელითაა ცნობილი, “ნალი” და “დუბლინი”. მათ “სათავეებში” ერთი კაცი დგას: ტრავმატოლოგ-ორთოპედი და რეჟისორი ჯემალ გაბუნია.

**ჯემალი**: “როცა ამ საქმით დავინტერესდი, პეროვსკაია უკვე “შექმნილი” იყო. აღმოვაჩინე, რომ კარგად მუშაობს, ფული მოდის. ჰოდა, გავაკეთეთ “ბორბლები”, ლუდხანა – პაბი ხომ ჩვეულებრივი ლუდხანაა. ჯერ გვინდოდა გერმანული Bierstube, მერე მოვიდა იდეა – გინესი. მართალი გითხრა, მაკანკალებდა, ეს ძალიან ძვირი ლუდია, აქ ხომ ასე უნდა ითვალო: სამჯერ მეტი. მთელი ფილოსოფიაა: ერთი წილი – თვითღირებულება, მეორეს არც ვიცი, რა ვუწოდო - ღალა, ბეგარა, მოკლედ, გადასახადები, და მესამე, დიდი-დიდი, 30% გრჩება. თან უცხო ხილი იყო, მანამდე ქილებში იყიდებოდა, მერე გაჩნდა ჩამოსასხმელი.

ბედად, ქართველები დიდი მარიაჟი ხალხია, დასავლეთისკენა აქვთ მიდრეკილება. ფული ხომ არ იყო, არაფერი არ იყო, 1996-ში ბნელოდა, ციოდა, წვიმდა, თოვდა, არაფერი ხდებოდა, გამწარებული ხალხი კი სულ სვამდა და რაღაცას ღეჭავდა, მოკლედ, საჭმელი იყიდებოდა. თან აქ უცხო ხილი იყო, გინესი, ინგლისური სიმღერები, რაღაცა სხვა და საპრანჭავი.. საკმაოდ კარგი ფული შემოვიდა, მე და ჩემი პარტნიორები ძალიან კმაყოფილი ვიყავით. “ბორბლები” პოპულარული გახდა, პრიზიც კი მაქვს აღებული: მაისის თვეში მსოფლიოს მასშტაბით პაბებში ყველაზე მეტი ლუდი გავყიდეთ.”

ის, რომ პაბები მუშაობს, მნიშვნელოვანწილად ჯემალის დამსახურებაა: ბევრს ლაპარაკობს, სიამოვნებით ცეკვავს, თანაბრად კეთილგანწყობილია, და რაც მთავარია, არავის საქმეში არ ერევა. მისი თეორიის თანახმად, ადამიანებს მსუბუქი ურთიერთობები ჭირდებათ და არა “დაგრუზვა”, და საერთოდ, კაცმა თუ ქალების მოხიბვლა ვერ შეძლო, რა ბიზნესზეა ლაპარაკი?!

უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ყველაზე პატივსაცემი სტუმრები არიან, და არამარტო იმის გამო, რომ მშვენიერ სქესს საერთოდ განსაკუთრებით უნდა მოექცე. საქმე ის გახლავთ, რომ, ჯემალის თქმით, ქალს ერთი სიტყვით შეუძლია საქმის გაფუჭება და ასევე იოლად მოიყვანს და “დახარჯავს” სასურველ კლიენტს.

**ჯემალი**: “ჯერ კიდევ “ბორბლებში” ვიყავით. მიმტანი მოვიდა და მითხრა, კუთხეში რომ ოთხი გოგოა, ოთხი ჭიქა ადუღებული წყალი მომთხოვეს და რა ვქნაო. ქალები სწორედ ის კატეგორია ჩანდნენ, გაფრთხილება რომ უნდათ. მიუტანე-მეთქი. კიდევ ორჯერ მოვიდნენ ადუღებულ წყალზე, მერე ველარ მოვითმინე და გამოველაპარაკე. ნუ იტყვი, განტვირთვის დღეები ჰქონიათ, მერე ატყდა ერთი ამბავი, ტეკილას სმა. ძალიან დავმეგობრდით. ერთი ახლა პრინცის ცოლია, მეორე ვალენსიაში ცხოვრობს, იმათ მოყვანილ კაცებს კი სხვა ქალები მოჰყავთ და მშვენიერი კლიენტები არიან.”

ცხადია, კლიენტურის მოზიდვის გარდა, ჯემალი თავის არნახულ დიპლომატიას გარესამყაროსთნ ურთიერთობის მოგვარებასაც ახმარს. ამასთან დაკავშირებით პეროვსკაიაზე მრავალ სახალისო ამბავს ყვებიან: როგორ არწმუნებდნენ მოსახლეობა და “გამწვანების ხალხი”, რომ პაბის წინ წაქცეული გამხმარი ხე სულაც არაა გამხმარი და რომ წაიქცა, კი არ მოკვდა, ძინავს და წუთი-წუთზე გაიღვიძებს; როგორ ამაოდ ჩაუარა ჯემალს მცხოვრებლების პატივისცემის მცდელობამ – ქუჩა გაანათა და საპასუხოდ ხალხი აღშფოთდა, ველარ ვიძინებთ, ლამპიონები თვალებში გვიჭყიტინებსო (შესაბამისად, ფარდის გადაწევას ისევ ქვის სროლა ამჯობინეს) და სხვა და სხვა.

მაგრამ მფლობელის პრობლემები სტუმრებს არ ეხება. თბილისელებისთვის პაბი დასავლეთთან შეხვედრაა, უცხოელებისათვის – სახლი. აქ არავინ სთხოვს ოფიციანტს თითის შეწვას, არავინ უმწარებს სიცოცხლეს მუსიკოსებს, მამაკაცებს არ მიაჩნიათ, რომ მევიოლინემ მათ მაგიდასთან უნდა დაუკრას “ციგანსკები” და მუსიკოსს უბეში ფულს და სველ ყვავილებს არ ჩრიან.

**ჯემალი**: “ერთხელ, ღამე, “ნალიდან” მუსიკოსებმა დამირეკეს, მოდი, გვიშველეო. ვიღაცეებს უთქვამთ, 200 დოლარს მოგცემთ, ოღონდ დაკვრა შეწყვიტეთო. ცოტა არ იყოს, დავიბენი, მაგრამ აყალ-მაყალი ნამდვილად არ მაწყობდა და ვუთხარი, გამოართვით ფული და არ დაუკრათ, ვნახოთ, რა უნდათ-თქო. არაფერიც არ მოხდა, ჯიგრებმა სადღეგრძელო თქვეს სიჩუმეში, ეგ იყო და ეგ.”

მას შემდეგ, რაც ბატონი გია არსენიშვილი ავსტრიაში გაემგზავრა ელჩად (განსაცვიფრებელი, სრულიად თბილისური ლოგიკაა), “გახსნილ” ქიაჩელის ქუჩას, ჯერ აუთვისებელ სივრცეს, პეროვსკაიას ლოგიკური გაგრძელების პერსპექტივა აქვს. ჯემალი ახალი ლუდხანის გახსნას გეგმავს. აქამდე მის მოღვაწეობას თუ გადავხედავთ, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ თბილისს კიდევ ერთი სასიამოვნო ადგილი შეემატება, სადაც საღამოს ლუდის დალევას, კარგი მუსიკის მოსმენას და ჯემალ გაბუნიას გაცნობას შეძლებთ.

— ახალი ფილმი —

## მკვლელობა სიით

Murder By Numbers

აშშ, 2002

რეჟისორი: ბარეტ შრედერი

როლებში: სანდრა ბალოკი, რაიან ჰოსლინგი, მაიქლ პიტი, ბენ ჩაპლინი...

სცენარის ავტორი: ტონი ჰეიტონი

სანდრა ბალოკი დეტექტივ კესი მეივიტერის როლს ასრულებს, რომელიც მკვლელობებს იძიებს. გამოცდილი დეტექტივი ორი საშუალო მოსწავლის, რიჩარდისა და ჯასტინის კვალზე გავა, რომელნიც, სავარაუდოდ, იდეალურ დანაშაულებებს სჩადიან. ახალგაზრდებს იმედი აქვთ, რომ რიჩარდის ეშმაკური ბუნებითა და ჯასტინის ინტელექტით “იდეალურ ტვინს” შექმნიან და ამ ხერხით კანონს იოლად დაარღვევენ. პარალელურად, სანდრა ბალოკის გმირს ახალ, გამოუცდელ პარტნიორს, სემ კენედის (ბენ ჩაპლინი) მიუჩენენ. დეტექტივებს მკვლელობათა გახსნა ევალებათ. მათ საამისოდ საზარელი ნივთმტკიცებებიც მოეპოვებათ...

*ფაქტები ფილმზე:*

*თავიდან ფილმს ერქვა “თავდაცვა სულელებისგან”.*

*- როგორც ყოველთვის, სანდრა ბალოკი ამ ფილმის აღმასრულებელი პროდიუსერიც გახლავთ.*

— ტექნიკა —

## სონის CD ვოქმენი®

*პორტაბელური კომპაქტ დისკ ფლეიერი: D-EJ 1000*

*უფრო ზუსტად კი, თქვენს წინაშეა მსოფლიოში უთხელესი და ყველაზე პატარა CD ვოქმენი.*

პროდუქტის ფასი ინტერნეტ-საიტზე sonystyle.com: 199.95 დოლარი

დახასიათება: მხოლოდ ამ ვოქმენს შეუძლია ბოლომდე გაგრძნობინოთ მუსიკის უწმინდესი ჟღერადობა. დახვეწილია მისი ვიზუალური მხარეც. ოვალური ფორმა, მაგნეზიუმის შემადგენლობა და კომპაქტური ზომა მის მაღალ სტილზე მიუთითებს. ხშირად მოხმარების მიუხედავად, ფლობს მუსიკალური ჰომეხებისაგან დამცავ სუპერ სისტემას “სონისგან”, რომელსაც G Protection-Technology™ ჰქვია. მუსიკისგან მაქსიმალური სიამოვნების მიღებაში ასევე გეხმარებათ მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ბატარეა, რომელიც ფლეიერს 115 საათის განმავლობაში შეუწყვეტლად ამუშავებს. ფლეიერს მოყვება ორი დამტენი და ორიც ჩვეულებრივი AA ზომის ბატარეა. პროდუქტს ერთი განსაკუთრებული თვისებაც აქვს – MP3 მუსიკის ფაილები შეგიძლიათ დაატრიალოთ, როგორც ჩამწერი (CD-R), ასევე გადამწერი (CD-RW) დისკებით. ფლეიერს თან ახლავს დისტანციური მართვის პულტიც, რომელსაც განათებადი დაფა აქვს. და რაც მთავარია, შეგიძლიათ კომპაქტ დისკს ფლეიერის დატენვის და სიარულის მომენტშიც უსმინოთ. სონის ამ ახალ დამტენს “Charge and Go” ჰქვია.

*ძირითადი ნიშნები:*

*პროგრამული მეხსიერება: 64 ბილიკი (დამოუკიდებელი მუსიკალური ერთეული);*

*ფლეიბექის 9 სახეობა;*

*ფლობს CD-R-ის და CD-RW-ის ფუნქციებს; კომპაქტ დისკიდან მინიდისკზე ინფორმაციის გადაწერის შესაძლებლობას;*

*მოყვება: ახალი ტიპის ყურსაცვამი,*

*ბუდე,*

*ორი ცალი AA ზომის ბატარეა,*

*ორი ცალი AA ზომის დასატენი ბატარეა,*

*დისტანციური მართვის პულტი.*

— ამბები —

## სერ ელტონ ჯონი პოპ-ბიჭუნების შესახებ

ამას წინათ ელტონ ჯონმა ერთ-ერთ გაზეთს გული გადაუშალა და საკუთარი მოსაზრებები გააცნო პოპ-მუსიკის შესახებ. ყველაზე მეტი ბრიტანელი მუსიკოსისგან ჯგუფ Hear'say მოხვდა: “როდესაც გოგონებისა თუ ბიჭუნების ჯგუფს აკეთებენ, აუცილებელი პირობაა ისინი კარგად მაინც გამოიყურებოდნენ. ეს ბიჭი, დენი (Hear'say-ერთ-ერთი წევრი) კი სუფთა შრეკია”. როგორც ჩანს, სერ ელტონ ჯონს უფრო მეტად ესიმპათიურება Nsync და Blue. მუსიკოსმა მეტ-ნაკლებად დაგესლა “ბოიზონი” და “ვესტლაიფი”, რაც შეეხება რობი ვილიამსს, “იგი თავისუფალი იარაღია– თქვა ელტონ ჯონმა – თუმცა რაღაცით საკუთარ თავსაც მაგონებს, ადრეულ ასაკში. უბრალოდ, მე უფრო თავდაჯერებული ვიყავი”.

— დავით ქართველიშვილის სვეტი —

# თვითრეკლამა

სვეტის დასაწყისი ოდნავ პათეტიკურია და თან პოლიტიკური ქარიც ახლავს.

XX საუკუნეში საქართველომ, ჩვენმა სამშობლომ, ორჯერ მოიპოვა თავისუფლება. პოლიტიკურ-ფორმალურ თავისუფლებას ვგულისხმობ. პირველი (1917-1921 წ.წ.) დავკარგეთ, მეორედ მოპოვებულ თავისუფლებას კი ჯერ-ჯერობით ვინარჩუნებთ, თუმც გულზეხელისდადებით და მტკიცე ფიცით რომ ვთქვათ, ჩვენი პოლიტიკურ-ფორმალური გაუქმება არა მგონია, ვისმეს აწყობდეს ან უნდოდეს. გვერქვას რა თავისუფალი ქვეყანა, გვერქვას რა - საქართველოს რესპუბლიკა.

თუმც ჩემი სათქმელი სხვა რამ გახლავთ და აი, რა: პოლიტიკურ-ფორმალურ თავისუფლებას კულტურული თავისუფლებაც მოჰყვა. რა თქმა უნდა, ფორმალური. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ე.წ. კომუნისტურ ეპოქაში შექმნილი კულტურა ცუდია, მონური და კონფორმისტული, ანდა ფორმალიზმი აკლდა (ამ სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით).



ბესო ბულაშვილის ფოტო

აქ, უკვე ვკონკრეტდები (მომიტევეთ ჟურნალისტური კილო-კავი) და ლიტერატურაზე ვწერ, ჩვენებურ ლიტერატურაზე.

პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ქართული ლიტერატურული პრესა აივსო მანიფესტებით, ესთეტიკური წერილებით, გაიმართა სიტყვიერი გაწევ-გამოწევა აკადემისტებსა და წმინდა ხელოვნების ადეპტებს შორის. სწორედ ამას ვეძახი მე კულტურულ-ფორმალისტურ თავისუფლებას, როდესაც ამირანი გულში კი არ მღერის, არამედ - ხმამაღლა. თორემ სუფთა ლიტერატურული, ტექსტუალური ფორმალიზმი მანამდეც იყო: (ჭ. ლომთათიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ვ. ბარნოვი). თავისუფლება კომენტარის გაკეთების საშუალების უფლებაა.

დღევანდელი, თანემედროვე თვალისათვის, პირველი რესპუბლიკის ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ბევრ რამეს ყავლი გაუვიდა, ყავლი გადის ყველაფერს. დრო მოგეხსენებათ, წაუგებელი მოთამაშეა.

ისე კი, იმ პერიოდის ექსპერიმენტები 90-იან წლების დასაწყისში აღორძინდა და განვითარდა - ჟურნალების ვიზუალური მხარე (შრიფტებით თამაში და ა.შ.), აგრეთვე ტექსტუალური რამეები (სუბიექტური პუნქტუცია და ა.შ.), მაგრამ უმთავრესი, მაინც ერთი რამაა: პირველი რესპუბლიკელი ლიტერატორები და ჩვენ აბსოლუტურად ვგავართ ერთმანეთს იმაში, რომ თვითრეკლამა გვიყვარს. ეს ფსიქოლოგიური მომენტია. ესაა ძაან მარტივი რეაქცია ადამიანისა. ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანისა (მწერლის). ინდივიდუალისტური საზოგადოება, რა თქმა უნდა, ცნებაა, ცნება კი, თავისთავად ზოგადი რამეა, ერთის შეხედვით ჩვენ გარშემო ინდივიდისთვის გასაქანი არაა. ყველგან შეზღუდვებია, სახელმწიფო სტრუქტურებში, კერძო სტრუქტურებში და მე აქ ადამიანის სულიერებას ვგულისხმობ და არა პრაგმატულ რამეებს (კარიერიზმი და რამე), ამ მხრივ კი იცოცხლეთ, ინდივიდუალისტები ვართ.

ახლა სუფთა ტექსტუალურ ექსპერიმენტებზე მოგახსენებთ: როგორც 20-იან წლებში, დღესაც ქართულ პროზაში გავრცელებულია სიტყვებით კენწლაობა, მე ეს მომწონს, მე ეს მიზიდავს, ოციან წლებსა და ჩვენს შორის არ ყოფილა ცარიელი სივრცე. ამის ბრწყინვალე ნიმუშებია: ლ. გოთუას, ო. ჩხეიძის, გ. დოჩანაშვილის პროზა.

მე ასე მგონია, რომ სიტყვა მიგვიყვანს სათქმელთან. სათქმელში მე არ ვგულისხმობ სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ასახვას, გაჭირვებას, კორუფციას და ა.შ. ესეთი რამეები ვერ მოხერხდება. ამის მაგალითია ო. ჩხეიძის "თეთრი დათვი", თავისთავად გაბედული წიგნი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს რომანი თავად ბატონი ოთარის "ბორიაყთან" ვერ მივა, იგივე შემიძლია ვთქვა გ. დოჩანაშვილის "ლოდი ნასაყდრალზე". ენა ძველია, მისეული, ფონი კი ახალი. ო. ჩხეიძის, გ. დოჩანაშვილის ენობრივი მიღწევანი პირადად მე ახალი ექსპერიმენტებისკენ მიბიძგებს.

მე აქამდის განზრახ არ მიხსენებია კიდევ ერთი ჩვენი ცოცხალი კლასიკოსი, ოთარ ჭილაძე, რომელიც პირადად ჩემთვის ენობრივად საინტერესო არაა, მაგრამ მისი გავლენა მაინც დიდია ჩემზე და აი, რას ვგულისხმობ: ბატონი ოთარის ყოველი წაკითხვის შემდეგ მუდამ ერთ რამეს ვამბობ: "ასე მე ვერ დავწერ". ეს კი დიდი რამეა. თუ იცი, როგორ ვერ დაწერ, იმის იმედიც უნდა გქონდეს, რომ ოდესმე მიხვდები და გაიაზრებ როგორ შეგიძლია წერა.

ახლა რაც შეეხება თანამედროვე, ჩემთვის საინტერესო ავტორებს. ზაზა ბურჭულაძე, აკა მორჩილაძე, ბესო ხვედელიძე (ანბანის მიხედვით გასახელებთ, ძმებო). ენობრივი მიმოქცევა განსაკუთრებით ბესო ხვედელიძეს მოეჭარბა ბოლო ხანებში. ზაზა ბურჭულაძემ პირიქით, თითქმის უარი თქვა ენობრივ რამე-რუმეებზე. აკა მორჩილაძე სტაბილურად განაგრძობს სხვადასხვა ეპოქის ქართულის გამოყენებას.

თანამედროვე ქართული პროზა ეძებს, ქმნის, ეძებს წარსულში, ქმნის წარსულზე დაყრდნობით, პროზაში სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან პროზა მუდამ წარსულს ჰყვება, გასრულებულ, მომთავრებულ ამბავს.

პროზა - ცნებაა, ცნება ზოგადია. წერით კი კონკრეტული ადამიანი წერს და ხვალ რა იქნება, ღმერთმა იცის!

— კალენდარი —

## 7 ივნისი



"ლექციები ქართულად იკითხება, ხოლო მიღებით ყველანი მიიღებიან. განურჩველად ეროვნებისა და სარწმუნოებისა," - ესაა ამონაწერი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის დადგენილებიდან. საბჭოს ათ წევრს შორის იყო კორნელი კეკელიძეც. ადამიანი, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული ქართული წიგნთსაცავის შექმნა, ხელნაწერების შეგროვება-გამოცემა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიული ორტომეულის შედგენა და მრავალი სხვა.

დიდი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე 40 წლის წინ, 1962 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა.

დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტს კორნელი კეკელიძის სახელი ჰქვია.

# გურამ დოჩანაშვილის მრწამსი

## "არ შეიძლება იყო კარგი შემოქმედი და იმავდროულად, ცუდი პიროვნება"

თეა დვალი

გურამ დოჩანაშვილი ქართველი მკითხველისთვის რომ ყველაზე საყვარელი თანამედროვე მწერალია, ეს გუშინდელმა შეხვედრამაც დაადასტურა. "თეატრალური სარდაფი" სავსე იყო მისი თაყვანისმცემლებით, თავად მწერალი კი, ბავშვური აღტაცებით საღვთისმეტყველო საკითხებზე განსჯიდა.

შეხვედრის წამყვანმა, ირაკლი კაკაბაძემ საუბრის დასაწყებად ახალგაზრდა მწერლებისთვის საჭირბოროტო, თანამედროვე ლიტერატურაში ჟარგონის გამოყენების თემა შეარჩია და საილუსტრაციოდ, გიო მგელაძის მოთხრობის ირგვლივ ატეხილი ბოლოდროინდელი მითქმა-მოთქმა მოიშველია. საჭიროა თუ არა ჟარგონი და საერთოდ, უნდა წეროს თუ არა მწერალმა ისე, როგორც საუბრობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში? ისევე, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ფორმა შინაარსს არ აკნინებს და მეტიც, თუ შინაარსი ღირებულია, იგი ნებისმიერ ფორმას ამართლებს. კონკრეტულ შემთხვევაზე კი გურამ დოჩანაშვილმა მოკლედ უპასუხა: "გავეცანი მგელაძის მოთხრობას და ძალიან მომეწონა, თუმცა კრიტიკოსების აღშფოთებაც მესმის. ამის თავიდან ასაცილებლად, ალბათ უკეთესი იქნებოდა უცენზურო სათაური ბრჭყალებში ჩაესვა ავტორს, მაშინ პრობლემებიც ნაკლები იქნებოდა". გურამ დოჩანაშვილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა უდაო ჭეშმარიტება, რომ თავისუფლება პირობითი სიტყვაა და რომ მისთვის თავისუფლება, პირველ რიგში, პიროვნებად ჩამოყალიბებას გულისხმობს. "თავისუფლება ეგონათ ჰალსტუხის ნაცვლად ბოლოკების გამოყენება, აღიარებდნენ კიდეც მათ, მაგრამ რომელი შემორჩა ისტორიას, ბოლოკიანი მწერლები, თუ კლასიკოსები?" – ბოლოკიანი თავისუფალი შემოქმედები მწერალმა შეხვედრის განმავლობაში, ცხადია ირონიულად კიდევ რამდენჯერმე მოიხსენია. "ჩემთვის, ღვთისადმი მორჩილებაზე მეტი თავისუფლება არ არსებობს" - ფაქტობრივად, ამის შემდეგ შეხვედრაზე დასმული ყველა პრობლემა თუ თემა მწერალმა საღვთისმეტყველო საკითხებს დაუკავშირა. უნდა ითქვას, რომ ირაკლი კაკაბაძემაც დროულად შემოიტანა ლევ ტოლსტოის თემა, რასაც ლოგიკურად, დოჩანაშვილის მხრიდან მართლმადიდებლური ეკლესიის აპოლოგეტიკა მოყვა. "ტოლსტოიმ უბრალოდ, ვერ გაიგო ორი უდიდესი საიდუმლო, ზიარება და ეკლესია. ევქარისტია, რომელიც ქრისტეს სისხლთან და ხორცთან ზიარებაა, ტოლსტოიმ კანიბალიზმთან გააიგივა, თორემ, ტოლსტოის, როგორც მწერლის სიდიადე ეჭვგარეშეა".

ლიტერატორებში ტრადიციული თემის, ალბერ კამიუსა და ჟან-პოლ სარტრის შედარების გარეშე არც გუშინდელ შეხვედრას ჩაუვლია. "საერთოდ, მიკვირს ხოლმე, რატომ ადარებენ ამ ორ ადამიანს. ჩემთვის ისინი ცა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისგან". საკუთარი მოსაზრების გასამართლებლად დოჩანაშვილმა მარტივი მაგალითი მოიყვანა: სარტრი არის მწერალი, ვისი ნაწარმოებების წაკითხვისას თითქმის შეუძლებელია დადებითი ემოცია გაგიჩნდეს, კამიუს შემთხვევაში კი, ყველაფერი აბსოლუტურად პირიქითაა.

დოჩანაშვილი შემოქმედისა და პიროვნების განუყოფელობასაც შეეხო. "არ შეიძლება იყო კარგი შემოქმედი და იმავდროულად, ცუდი პიროვნება", ამ თეზისით მწერალი სოლჟენიცინისა და ჭაბუა ამირეჯიბის შედარებას შეეცადა და გაიხსენა ის პერიოდი, როდესაც რუსი მწერლის შემოქმედებამ გარკვეული შთაბეჭდილება მასზეც მოახდინა. დოჩანაშვილის აზრით, წუწუნი, რომელიც სოლჟენიცინს ახასიათებს (ციხეში გატარებული ცხოვრების აღწერისას) და მისივე ხმამაღალი განაცხადი, რომ იგი მართლმადიდებელი ქრისტიანია, არ შეესაბამება ერთმანეთს. "მორწმუნე ადამიანი ყოველი განსაცდელისას ემადლიერება ღმერთს, რომ ამით მას ერთგულების დამტკიცების საშუალება ეძლევა, სოლჟენიცინი კი, მუდმივად წუწუნებს. ამიტომაც ვაღიარებ, რომ ჭაბუა ამირეჯიბი დიდებული მწერალია. არანაკლებ პირობებში ცხოვრების მიუხედავად, მისთვის უცხოა საყვედური განგების მიმართ".

შეხვედრა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და მას მკითხველების გამოსვლების გარეშე არ ჩაუვლია. გურამ დოჩანაშვილმა კი, მათ სასიამოვნო ცნობა ახარა – სავარაუდოდ ერთ თვეში მკითხველი წიგნის მაღაზიების თაროებზე დოჩანაშვილის ახალ რომანს იხილავს.





იური ლობოდინის ფოტოები

# საფიჩხიელებმა "მოცლილი მაყურებელი" დაიბრუნეს

## "გრიბოედოვში" ქუთაისის თეატრის გასტროლები დაიწყო

თამარ სუხიშვილი

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი თბილისის სტუმარია. ეს მართლაც ღირშესანიშნავი მოვლენაა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში, რადგან უკვე თითქმის ათ წელზე მეტია, ქუთაისის თეატრი თბილისელი მაყურებლის წინაშე არ წარმდგარა. არადა, როგორც თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ აღნიშნა, "ეს გასტროლები გვაძლევს საშუალებას, ვიგრძნოთ ხალხის დამოკიდებულება". ქუთაისის თეატრის რეპერტუარში უკვე 18 სპექტაკლი დაგროვდა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ, როგორც რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ გუშინ კულტურის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, "ამ დიდი ტრადიციების მქონე თეატრმა მაყურებელი დაიბრუნა". და დაიბრუნა არა მარტო ქუთაისში, არამედ უკვე თბილისშიც. თეატრის მოღვაწეებმა პრესკონფერენციაზე განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს ჯეირან ფაჩუაშვილს, მთავარ რეჟისორს, ნუგზარ ლორთქიფანიძეს (რომელიც გასტროლზე წარმოდგენილი ოთხი სპექტაკლიდან სამის დამდგმელი რეჟისორია) და თემურ შაშიაშვილს, რომელმაც, როგორც სპექტაკლის დაწყების წინ გაგვიმხილა, საერთოდ ქუთაისის თეატრების დიდი გულშემატკივარია და მათი უკლებლივ ყველა სპექტაკლი აქვს ნანახი.

გუშინ ლადო მესხიშვილის თეატრის დასმა გრიბოედოვის თეატრის სცენაზე რეზო კლდიაშვილის პიესა "იადონას თეატრი" წარმოადგინა. "კი გაჭირდა ცხოვრება, მაგრამ თეატრისთვის უნდა მოიცალოთ," - ამბობს სპექტაკლის მთავარი გმირი იადონა და "თეატრისთვის მოცლილი", ქუთაისურ იუმორს მონატრებული თბილისელი მაყურებელი ლამის დაიხოცა სიცილით. სპექტაკლი ქუთაისზეა, იმ ქალაქზე, სადაც პიესის ავტორი დაიბადა. მთავარი გმირი, მსახიობი ქალი იადონა ქუთაისური ენაკვიმატობით გვიამბობს თავის ახალგაზრდობაზე...

გამოუშვით იადონა თეატრში, თორემ გეგვექცა ხალხი და ეგაა.... იხვეწებიან თეატრის მსახიობები. დედა კი იადონას იმ ვანიჩკასთან თეატრში სათამაშოდ არ უშვებს. მიეწიოს ეგ "გაქსუებული" ჩემ დედამთილს საფიჩხიას სასაფლაოზე და თუ შენსას არ იშლი, შენც მიეწიე მაგას, - წყევლა-კრულვას არ იშურებს დედა იადონასთვის, რომელიც ჯიუტად თამაშობს კლუბში გამართულ ყველა სპექტაკლში, თანაც სწორედ ვანიჩკასთან ერთად. რა სიტყვებით აღარ იწყევლება იადონას დედა, "რამეს არ გადაგყაროს, გოგო, მაგ ქალებში ნათრევმაო", - აფრთხილებს მეგობარი გუცუნია იადონას, მაგრამ... მართალია, "ოტელოს" წარმოდგენის დროს იადონას ბიძაშვილის, ხუტუნიას მარჯვე ნახტომი რომ არა, ქუთაისელი მავრი, ნამეტანი სიყვარულითა და დუშიკოზე ეჭვიანობით, კინაღამ მართლა დაახრჩობს ქუთაისელ დეზდემონას, გოგო არც თამაშს იშლის და არც ვანიჩკასთან სიარულს...

"იადონას თეატრი" ტრაგიკომედიაა. მასში გამოყენებულია ნაწყვეტები სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებებიდან. ამ პიესას კარგად იცნობს თბილისელი მაყურებელი, სპექტაკლი ხომ მარჯანიშვილის თეატრშიც დაიდგა, მაგრამ, როგორც ქუთაისლები ამბობენ, "ჩვენ ჩვენებური ვერსია გვაქვს, თქვენ - თქვენებურიო".

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი კიდევ სამი სპექტაკლით წარდგება თბილისელი მაყურებლის წინაშე. დღეს მაყურებელი "შავი სიის კავალერებს" ნახავს. სპექტაკლს საფუძვლად ირაკლი ჯავახაძის ამავე სახელწოდების რომანი დაედო, მაგრამ ინსცენირებაში მისი თითქმის ყველა მოთხრობაა ჩართული. 8 ივნისს გრიბოედოვის თეატრის სცენაზე "მარიამ სტიუარტს" ვიხილავთ (რეჟისორი დათო მღებრიშვილი), კვირას კი გველის აკაკის ლექსით მოთხრობილი ამბავი "სამეფოო, ძველთა-ძველო!"

თბილისელი მაყურებელი დარწმუნებულია, რომ პირველი დღის შთაბეჭდილებები დღეს, ხვალ და ზეგ კიდევ უფრო დაიტვირთება.



ალეკო კარტაშიანის ფოტო

# ახალი ბრიტანული ცეკვა თბილისში

## დედოფალ ელისაბედისა და ციფრული გამოსახულების საკეთილდღეოდ

დავით ბუხრიკიძე

დღეს თანამედროვე ცეკვაში მეტნაკლებად თვალახელილებს მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი ელით. ბრიტანეთის საბჭო საქართველოში დედოფალ ელისაბედ მეორის "ოქროს იუბილეს" კავკასიის ექს-ძმურ ქვეყნებში (ჯერ თბილისში, შემდეგ ბაქოსა და ერევანში) contemporary dance-თ აღნიშნავს. უფრო ადამიანურად ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე ცეკვის ბუნდოვან ანბანს ბრიტანული დასი **"რენდომ დენსი"(random dance)** ორი დღის განმავლობაში უშუალოდ და ცხადად გვაზიარებს.

ჩვენთვის უჩვეულო სანახაობა სახელწოდებით "ტრილოგია" რუსთაველის თეატრში გაიმართება, სადაც ორი დღის განმავლობაში - 7 და 8 ივნისს რვა ბრიტანელი მოცეკვავე უახლესი ტექნოლოგიით "დამზადებულ" ცეკვა-სანახაობას გვპირდება. "რენდომ დენსი" კამერული საბალეტო დასია, რომელიც 1992 წელს ლონდონში დაარსდა, ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და "თავზეხელაღებული" ახალგაზრდა ქორეოგრაფის, **უეინ მაკგრეგორის** უშუალო ძალისხმევით. მისი განზრახვა და სურვილი, შეიძლება ითქვას, კეთილშობილურზე მეტი იყო, რადგან ბრიტანეთი არასოდეს გამოირჩეოდა ექსტრავაგანტული ქორეოგრაფიული ახირებებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაფინირებულ ნეოკლასიკოსს სერ ფრედერიკ ეშტონს ან ბალანჩინის არამდარე ეპიგონს - ხოსე ლიმონს.

"ტრილოგია" უეინ მაკგრეგორის სავიზიტო ბარათია, სადაც თანამედროვე ტექნოლოგია, ფუტურისტული ესთეტიკა და თანამედროვე ქორეოგრაფიის ენა ერთმანეთთან მშვიდად თანაარსებობენ. გარდა ამისა, პრეს-რელიზით გვანათლებენ, რომ "მაკგრეგორის ნამუშევარი ახლებურად წარმოგვიდგენს ბალეტისა და ახალი ტექნოლოგიის ურთიერთქმედებას. ტექნოლოგია იგრძნობა სცენური სივრცის ყოველ ასპექტში, რაც წარუშლელ კვალს ტოვებს ქორეოგრაფიასა და დიზაინზე." "ტრილოგია" ბოლო დროს შექმნილ "ინტერდისციპლინურ პროექტს" ეფუძნება, სადაც რთული დასახელების სამი წარმოდგენა გაერთიანდა – "მილენარიუმი"(1997), "სულფურ 16"(1999) და "ეონი"(2000).

გამოყენებულია არა მხოლოდ წმინდა ქორეოგრაფიული ენა, არამედ მომაჯადოვებელი "ჰაი-ტეკის" ისეთი უჩვეულო საშუალებები, როგორიცაა ციფრული გამოსახულება, ანიმაცია, ელექტროსაუნდი, სამგანზომილებიანი არქიტექტურა. სასურველია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ ენის გასატეხად არ დარჩეს რუსთაველის თეატრში მოსული მაყურებელისათვის.

ამისათვის დროებით მაინც უნდა დაივიწყოთ კლასიკური საბალეტო გამოცდილება, ტბასთან ტანჯულად მონავარდე გედები, მელანქოლიური პრინცები ან არაბუნებრივად აღგზნებული ბოშა ქალები. სამაგიეროდ, გაიხსენოს ალაგ-ალაგ ჩვენთანაც შემოღწეული თანამედროვე ცეკვა. მაგალითად, გასულ წელს თბილისში ჩამოსული დანიელ ლარიო, ტურის ქორეოგრაფიულ ცენტრში დადგმული სანახაობით "როგორ მშვიდად ვიყავით", ან საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქარის" მიერ გაკეთებული ნამდვილი საჩუქარი - ცნობილი ქორეოგრაფი და მოცეკვავე, კატრინ დივერესი, რომლის სოლო პაზოლინის ტექსტის ფონზე დღემდე სიზმარივით მახსოვს.

უორენ მაკგრეგორის დასის მიერ ორი დღის განმავლობაში გამართული "ტრილოგია" ერთგვარი ტესტი იქნება ჩვენი მაყურებლისათვის, რომლის გამოცდილება ნაკლებად იტევს ახალი ტექნოლოგიებით შექმნილ პროექტებს. და ბოლოს, ინფორმაცია სპექტაკლის შესახებ. რეჟისურა და ქორეოგრაფია – **უეინ მაკგრეგორი**, დეკორაცია და სცენოგრაფია – **ვიკი მორტიმერი**, კოსტიუმები – **ბენ მაერი**, განათება – **ლუსი კარტერი**, მუსიკა - ფრანგი კლასიკოსი **მარინ მარე**. სპექტაკლი 7 და 8 ივნისს გაიმართება, დასაწყისი 20 საათზე.




ამბები

## ფრანგი რეჟისორები საქართველოში

ფრანგი რეჟისორის, **ემანუელ ფინკიელის** ფილმი **"მოგზაურობები"**, რომლის პრემიერაც თბილისში, "კინოს სახლში" გაიმართა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში დაფანტული ებრაელების ცხოვრებაზე მოგვითხრობს. "მოგზაურობები" ემანუელ ფინკიელის პირველი ფილმია. ასევე პირველი ნამუშევარია იგი პროდუსერ **იაელ ფოჯიელისთვის**, რომელსაც ძალიან უყვარს მოგზაურობა, თითქმის მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი და ახლა საქართველოშია სტუმრად. ის თბილისში სულ სხვა მიზნით ჩამოვიდა, მაგრამ, ქართველი მაყურებლის თხოვნით, პრემიერა აქაც გამართა.

საქართველოში ჩამოსვლამდე ამ ფილმმა, თავისი პროდუსერის მსგავსად, ბევრი იმოგზაურა. 1999 წელს ლუი დელუკის პრიზით დაჯილდოვდა, 2000 წელს კი მიიღო 2 სეზარი საუკეთესო დებიუტისთვის და საუკეთესო მონტაჟისათვის.

ფრანგი პროდუსერის მოგზაურობა გრძელდება. იაელ ფოჯიელი ახალ ფილმზე მუშაობს. ფილმი საფრანგეთში წასულ ქართველ ემიგრანტზეა, რომლის ოჯახის სამი წევრიც საქართველოში რჩება. ფილმს ცნობილი ქართველი რეჟისორის - ოთარ იოსელიანის ყოფილი ასისტენტი **ჟული ბერტუჩელი** იღებს. ასე რომ, ბერტუჩელიც დღესდღეობით ჩვენს დედაქალაქში იმყოფება. გუშინ იგი "კინოს სახლში" თავისი ფილმის თბილისურ პრემიერას დაესწრო. ფილმი დოკუმენტურია, 1999 წელს არის გადაღებული და სახელად ასე ჰქვია: **"მობრძანდით დიდ მაღაზიაში"**.

## ახალი მხატვარი ძველ გალერეაში

"ძველი გალერეაში" **მედეა გურგენიძის** პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. სადებიუტო გამოფენისთვის მან მორის მეტერლინკის "ლურჯი ფრინველის" ილუსტრაციები შეარჩია. "ილუსტრაცია არ არის იოლი; ჩემი აზრით, მედეა ძალიან საინტერესო ილუსტრატორი იქნება" – გვითხრა გალერეის დიასახლისმა, მანანა დარჩიამ. აპირებს თუ არა მედეა ილუსტრატორობას, ჯერ არ გადაუწყვეტია, მორიგი გამოფენებისთვის კი, იგი უკვე ემზადება.

მედეა გურგენიძის ყველა ნამუშევარს რომანტიული ავტორის ხელი ატყვია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან სამხედრო მოსამსახურის ოჯახში დაბადებული მედეასთვის სევდას, ნოსტალგიასა და რომანტიკას იწვევდა განუწყვეტელი მოგზაურობა თუ ცხოვრება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში. განსხვავებული კულტურებისა და გარემოს შთაბეჭდილებებით არის ნაკარნახევი მხატვრის ყველა ნამუშევარი.

გამოფენა "ძველ გალერეაში" კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

## ლენონის ქვრივი ისევ სასამართლოშია

**იოკო ონო** ჯონ ლენონის ყოფილ თანაშემწეს, **ფრედ სიმენს** უჩივის. ლენონის ქვრივი ითხოვს, რომ სიმენმა მათი ოჯახური ფოტოები არ გაყიდოს. ეს სურათები ექს-ბითლის ცხოვრების უკანასკნელ წლებშია გადაღებული. მანჰეტენის სასამართლოში შეტანილ საჩივარში ნათქვამია, რომ ფრედ სიმენი ლენონის სახეს ექსპლუატაციას უწევს. გარდა ამისა, ქვრივს სურს, მიიღოს ის 45 ათასი ფუნტი სტერლინგიც, რომელიც სიმენს ლენონის წერილების და ნახატების გაყიდვიდან შეუვიდა.

თუმცა, ლენონის თანაშემწე თავს დამნაშავედ არ გრძნობს. ის ამტკიცებს, რომ 650-ივე ფოტო (მათი საერთო ღირებულება 650 ათასი ფუნტი სტერლინგია) საკუთარი ფოტოაპარატით გადაიღო და, აქედან გამომდინარე, მისი საკუთრებაცაა.

ცნობისთვის: იოკო ონო და ფრედ სიმენი პირველად ერთმანეთს 1981 წელს დაუპირისპირდნენ. მაშინ სიმენმა აღიარა, რომ ლენონის დღიურები ჰქონდა მოპარული და იოკომ ის სამსახურიდან დაითხოვა.




ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, რომ მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის. მოწევა ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას.

## სკანდინავიური კროსვორდი



### წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი

**თარაზულად:** ჩაჩი; ბობსლეი; აფრიკა; პონტო; ილფი; ტონიკი; რაინდი; ბრიტანეთი; აისი; კატა; ბიბლაო; სლაიდი; ნერონი; მინორი; კრუზი; აპისი; რუსო; აკროპოლისი; იდო; ნენსი; აბი; სალარო; მერმისი; პიცერია; ეგრისი; უნარი; არენა; იქედნე; არამი; ტრაქტი; უაილდი; ვუალი; პრიმა; შირეა; 35. სტეფანია; 36. პიურე; რიო; კაპრიზი; ზიტა; აკრი; ლუი; ხდე; დორა; ვიტრინა; ქობა; მოცვი; ცდა; ურნა; ირაო; ორიონი; აიაჩო.

**შვეულად:** კომა; კალამი; კაბარე; ბე; უკრაინა; სტიმული; რენტა; პრინცი; დამბა; ქვევრი; ბაირონი; რიტუალი; ხვია; კოჰორტა; სტიქია; ზადი; ონანისი; პიკეტი; ასპიტი; ეპოქა; დუისი; რკო; ლოკატორი; ლაგუნა; ტურინი; ლენინი; ოსანა; ეილერი; ანცი; სნიკერსი; პრადო; ორთქლი; სანდრა; აიდა; სოს; პირსი; ჩაფი; პიკი; ნარდი; აცანა; ბრა; რიდი; ინოლა; არსი; ზიდანი; უილისი; იბერი; ალმური; იკაროსი; იშემია; იტერა; მაია; კვიცი; მარსი; კოალა; გო.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდი პასუხი

**თარაზულად:** 1. სერვერი; 5. ონდატრა; 9. კვერთხი; 10. ლინოტიპი; 11. კასანდრა; 14. ნამი; 16. იმუნიტეტი; 18. ემუ; 19. ალაგი; 21. ჩხართვი; 22. პაროდია; 28. აბატი; 29. კალამბური; 31. ერი; 32. ფიესტა; 33. შნო; 34. არდი; 37. დმანისი; 40. კელტი; 42. ლენგი; 44. მუსკულატურა; 45. მიტკალი; 47. ეტლი; 48. კიდო; 50. აისედორა; 52. ზვარაკი; 53. ტემპი; 54. კეისი; 55. კილიკია.

**შვეულად:** 1. სალონი; 2. რენომე; 3. ესტე; 4. რეისი; 6. ნემსი; 7. ათონელი; 8. რიურიკი; 9. კიკუ; 12. ანარა; 13. ატავიზმი; 15. იმპორტი; 17. მახა; 20. ფასბლინდერი; 21. ჩია; 23. პრუსი; 24. სვია; 24. შაირი; 26. კაფია; 27. ორტი; 29. კრასუსი; 30. ბერკეტი; 34. ომლეტი; 35. ანიმაცია; 38. პლაგიატი; 39. ნიამორი; 41. ფულტონი; 43. ნუდიზმი; 45. მორზე; 46. კვარი; 51. სკა.

## იაპონური კროსვორდი



## სატელევიზიო პროგრამები

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.55 კუსტოს წყალქვეშა მოგზაურობა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი "პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "პლანეტა ქეი პაქსი" მთ.როლებში: კევინ სპეისი, ჯეფ ბრიჯესი
02.00 მხ.ფ. "მეცხრე კარიბჭე" მთ.როლებში: ჯონი დეპი, ემანუელ სინიე

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: შვეცია - ნიგერია
13.30 გელკანტო
13.50 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ესპანეთი - პარაგვაი
16.00 50-50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: არგენტინა - ინგლისი
18.30 ტელესერიალი "მორიგი მსვერალი"
19.10 ჯანმრთელობა
19.40 ბასტი-ბუბუ
20.00, 22.50 მოამბე
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი (ვიდეოჩანაწერი)
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვილეოპატრული
00.25 სატელევიზიო სპექტაკლი "იოჰან სებასტიან ბახი"

### მეორე არხი

18.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
22.15 "მოამბე" მეორე არხზე
22.30 მხ.ფილმი "თაღლითობა"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
10.15, 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.40 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის შემსწავლელთა კურსები
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 გადაცემა "მომავალი"
20.00 ახალი ქსელები
21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.40 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი "კასაბლანკა"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 ალსავალი
08.20, 10.05, 11.55, 20.20, 22.05, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სკოლის შემდეგ"
10.15 მხ.ფ. "უჩინარი მწვერვალი"
20.25 მხ.ფ. "საყვარელი"
22.05 მხ.ფ. "კრიმინალით მოვაჭრე"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 "ჩაძირობანა" განმეორებით
13.30 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.25 "სწ.მედია" მხ.ფ. "პროვინციელები"
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 რუსული ათეული
23.00 "პაპარაცები"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მალხოლანდ დრაივი". მთ. როლებში ლორა ჰერინგი, ნაომი უოტსი
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ჰუმო" მთ. როლებში
03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "შიშველი პისტოლეტი 3"
13.30 მხ.ფ. "ნიჭი"
15.00 მხ.ფ. "უფსკრული"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "პოლიციის აკადემია 5"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "მამაცი გული"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-4 სერია
09.40 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-4 სერია
10.10, 13.00, 14.15, 16.20, 17.20, 18.45, 20.20, 23.50, 00.20 მუსიკა
10.20 მხ. ფილმი "ომარ მუხტარი"
13.15 დოკ. ფილმი: "თეთრი პორალური დათვი"
14.45, 21.30 მთავარი თემა
15.30, 19.00 დისქავერი
16.30 მხ.სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-9 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-5 სერია
18.15 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-5 სერია
19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
22.15 მხ.ფ. "დანდობა არ იქნება" მთ. როლებში რიჩარდ გირი, კიმ ბესინჯერი
00.40 მხ. ფილმი "ცენტრალური სადგური". მთ. როლში ფენანდა მონტენეგრო

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "ზღაპრული პრინცი"
10.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ლამაზი სიცოცხლე"
14.00 მხატვრული ფილმი "რიჩარდ 3"
15.40, 21.40, 02.30 მუსიკა
16.15 მულტსერიალი "აბა, დამაცადე!"
17.20 თრილერი "მშვიდობისმყოფელი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "მზე აქ შემიჩერებია"
19.40 თრილერი "კერკეტი კაკალი 3"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05 "პრესდაიჯესტი"
23.15 დოკუმენტური ფილმი
03.30 დრამა "მზის სხივის ძალა"

### VII არხი

09.20 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.50 "აჩიკუდა"
10.20 მოკლედ... სპორტი
10.30 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
11.55 მულტსერიალი
12.10 მუსიკალური ბიორითმი
12.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.40 გასართობი პროგრამა
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 სპორტი
17.10 პრესა
17.25 სპორტული ინფორმაცია
1730 რაგბი. "ზე-12"
18.50 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 საინფორმაციო გამოშვება
19.45 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
20.40 ასტროლოგიური პროგნოზი
20.45 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
21.35 მოკლედ...სპორტი
21.45 მუსიკალური ტაიმაუტი
22.00 "პერიფერია"
22.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.25 "კინოკლუბი" -ეკრანული სახეები - ბრედ პიტი - მხ.ფილმი "შვიდი" .
00.40 პრესის მიმოხილვა
01.10 საინფორმაციო გამოშვება
01.30 მუსიკალური ბიორითმი
01.50 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ფიკუსი"
03.20 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

7.00 “Доброе утро”
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости
10.15, 19.25 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 ФУТБОЛ. ШВЕЦИЯ- НИГЕРИЯ
13.50 "Голливуд- фабрика грез"
14.15 х.ф. "ПОСЛЕДНАЯ РЕЛИКВИЯ"
16.20 ФУТБОЛ. АРГЕНТИНА- АНГЛИЯ
18.30 Сами с усами
20.25 Док. детектив. "Пследний соблазн угонщика".
21.00 Поле чудес
22.00 Время
22.35 х.ф. "РОККИ-2" (США)
01.30 Чемпионат мира по футболу
02.25 х.ф. "ДВОЕ В ГОРОДЕ"

### РТР

06.50-10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 16.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 “Православный календарь”
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 18.10 Афиша
07.40 Дорожний патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я
09.15 Мусульмане
09.40 "Пролог" часть 2-я
10.10 Сериал "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ"
11.20 х.ф. "ВЕРТЕ МНЕ, ЛЮДИ"
13.30 Сериал "СИБИЛЛ"
14.00 Сериал “ЛОДКА ЛЮБВИ"
15.00 Сериал “дикий ангел”
16.20 Что хочет женщина
16.50 х.ф. "СТАРЫЕ ВОРЧУНЫ РАЗБУШЕВАЛИСЬ".
18.50 Гимнастический бал в "Динамо"
19.50 Сериал “комиссар рекс”
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "Обратная сторона. Чужие." Программа А.Мамонтова
22.40 х.ф. "ЖИВАЯ МИШЕНЬ"
00.30 ФУТБОЛ. ИСПАНИЯ-ПАРАГВАЙ
02.40 Дневник чемпионата мира по футболу.

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня
11.25 Совершенно секретно
12.20 Очная ставка
13.20, 19.40 Криминал
13.35 "ТЕНЫ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
15.25 "продолжение следует. . ."
16.15 Пепси-чарт
17.30 Сериал “ПО ИМЕНИ БАРОН..."
18.40 Внимание: розыск!
20.35 "Свобода слова"
22.10 Криминальная Россия
23.40 “ПОЛИЦЕЙСКИЕ. РОКОВЫЕ ОШИБКИ"
01.20 "Все сразу!" ночные развлечения
01.55 "ПИНК ФЛОЙД. СТЕНА".

### TV6

08.00, 08.15, 08.30, 08.45, 09.00, 09.15, 09.30, 09.45 Новости
09.30, 10.25 Место печати
08.15, 09.35,11.05 Свободное время
08.20, 09.20, 10.30 "АБС" 08.35
09.45 Назло
08.45, 22.45 Тушите свет
09.10 Спорт. 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00 Новости
10.35 Публичные люди
11.10 “КОРОЛЕК-ПТИЧКА ПЕВЧАЯ” 7-я с.
12.25 "Пестрая лента"
13.35 фильм "СЕНТИМЕНТАЛЬНЫЙ РОМАН"
15.00, 21.00, 01.25 "За стеклом
16.25 100 чудес света
17.25 фильм "ЗА ТРИДЕВЯТЬ ЗЕМЕЛЬ"
18.30 Сериал “детектив нэш бриджес”
19.25 "Публичные люди"
20.35 "Смотрите кто пришел"
22.50 "Один день"
23.20 Фильм "ПОПУТЧИК""

